

9 772298 1095006

საქართველოს-ლიტერატურული ჟურნალი
F - Gabriadze m.m.
Reto

საქართველოს
ლიტერატურული
ჟურნალი

თარიღი 2 მაისი


ს რ ი ლ ი

1134
2019


$$a = \Delta v / \Delta t$$

$$E = mc^2$$

$$\epsilon = -N \frac{\Delta \Phi}{\Delta t}$$



რადიო-სიხშირის
სიხშირის
ფუნქციონირების
მოდელი



2019 / საქართველო

6 (284)

ს ა რ ი ლ ი ნ ი უ ტ ო ნ ი

ადამიანთა მოღვაწის მშვენიება

სარჩევი



- ესე 1 ტომას სტერნზ ელიოტი | თანამედროვე განათლება და კლასიკური ფილოლოგია ინგლისურიდან თარგმნა მალხაზ ხარბედიამ
- 7 უილიამ ლოგანი | პაუნდის ჩინეთი / პაუნდის „Cathay“ ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
- 16 ლექსო ლობჯანიძე | ლიტერატურა შავი დღისთვის
- პროზა 22 ლევან გელაშვილი | მეგაპლაზმა
- 28 თეკლა ერემეიშვილი | ლურჯი ღამეები რომ განთიადებად გარდაიქმნებიან | პური და სანახაობა
- პოეზია 31 გიორგი ჩუთლაშვილი
- თარგმანი 36 ალასი აივაზიანი | ეშმაკის დახმარება | ორთაჭალის ბაღები თარგმნა მედეა იმერლიშვილმა
- 42 მაგდა ნოვაკოვსკა | ლექსები თარგმნა ზვიად რატიანმა
- რეცენზია 46 დათო ქარდავა | გზამკვლევი „განათებული სიბნელის“ დასაძლევად

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კვიციანი, ვასილ მალღაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, ჰაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამიზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარაღი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეყანა
სსსი

ტომას სტერნზ ელიოტი

თანამედროვე განათლება და კლასიკური ფილოლოგია¹

ინგლისურიდან თარგმნა მალხაზ ხარბედიამ



1. ტექსტი (Modern Education an the Classics) პირველად გამოქვეყნდა კრებულში T.S. Eliot, Essays Ancient and Modern. London. Faber & Faber, 1936. თარგმნილია 1963 წლის კრებულიდან T.S. Eliot, Selected Essays. London. Faber & Faber.



განათლებასთან დაკავშირებულ კითხვებს ხშირად ისე განიხილავენ, თითქოს მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდეთ სოციალურ სისტემასთან, არადა, სწორედ მის ფარგლებში და მისი გულისთვის არსებობს განათლება. ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიზეზი იმისა, რომ განათლებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხები არ გვაკმაყოფილებს ხოლმე. მხოლოდ კონკრეტული სოციალური სისტემის ნიაღში იძენს განათლების სისტემა თავის საზრისს. თუკი დღეს განათლება უფრო გაუარესებული გვეჩვენება, უფრო და უფრო ქაოტური და უაზრო, ეს, პირველ რიგში, იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ გაგვანია მყარი და დამაკმაყოფილებელი სოციალური წყობა, და კიდევ იმიტომ, რომ გაურკვეველი და იმავდროულად განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს სასურველი საზოგადოების ბუნებასა და ხასიათზე. განათლება ისეთი საკითხია, რომელიც შეუძლებელია განიხილო სიცარიელეში, ვაკუუმში: რადგან ჩვენი კითხვები სხვა კითხვებს წამოწვევენ წინ - სოციალურს, ეკონომიკურს, ფინანსურს, პოლიტიკურს. და შედეგი ის გახლავთ, რომ ამით ზემოწამოთვალზე უფრო საფუძვლიან პრობლემებს მივადგებით: იმისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ რას ვითხოვთ განათლებისგან, უნდა ვიცოდეთ ზოგადად, რა გვინდა. განათლების ჩვენი თეორია ჩვენი ცხოვრების ფილოსოფიისგან უნდა გამომდინარეობდეს. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი რელიგიურ პრობლემად იქცევა.

ზოგ შეუძლია განათლების კრიზისზეც ისაუბროს. ყველა ქვეყანას, ყველა ცივილიზაციას თავისი კერძო პრობლემები აქვს, ისევე, როგორც ყოველ მშობელს აქვს თავისი განსაკუთრებული პრობლემები; თუმცა მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის, და არააცივილიზებულისთვისაც, რადგან იგი ცივილიზებულისგან იღებს მავალითს, არსებობს ერთი საერთო, ზოგადი პრობლემა, რომელიც ერთნაირად მწვავეა იაპონიაშიც, ჩინეთსა და ინდოეთშიც, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთში, ევროპასა და ამერიკაში. განათლების პროგრესი (გავრცელებას არ ვგულისხმობ) რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ერთი მხრივ აცდენას წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი ბიძგს. ამის გამო მან ადვილად განიცადა წარმატების იდეის ზეგავლენა. თითოეული ინდივიდი მეტ განათლებას ესწრაფვის არა როგორც სიბრძნის დაუფლების საშუალებას, არამედ - როგორც წარმატების, წინსვლის წყაროს; ერს სურს მეტი განათლება, რათა სხვა ერებზე უკეთესი გახდეს, კლასს კი იმისთვის სურს განათლება, რომ სხვა კლასზე ძლიერი იყოს, ან, ყოველ შემ-

თხვევაში არ ჩამორჩეს მაინც. ამიტომაც ასოცირდება განათლება ერთი მხრივ ტექნიკურ პროდუქტიულობასთან, მეორე მხრივ კი სოციალურ წინსვლასთან. განათლება ისეთ რაციულ იქცა, რაზეც ყველას აქვს „უფლება“, მათი უნარების მიუხედავად; და როცა ყველა იღებს მას - ამ დროისთვის განათლება რატომ უნდა უკვე გაზავებული და გაყალბებულია - ბუნებრივად ვხვდებით, რომ განათლება აღარაა წარმატების მიღწევის უტყუარი საშუალება და მეორე შეცდომას ვუშვებთ: ესაა „განათლება მოცალეობისთვის“, თანაც „მოცალეობის“ ცნების გადახედვისა და ხელახლა გააზრების გარეშე. როგორც კი ეს დახვეწილი სწობური მოტივი ქრება, ქრება განათლების წყურვილიც; თუკი განათლება აღარ იქნება მეტი ფულისა და სხვებზე მეტი ძალაუფლების მოპოვების წინაპირობა, თუკი ვერ დაგვიმკვიდრებს უკეთეს სოციალურ მდგომარეობას, ან, ბოლოს და ბოლოს, მუდმივი და რესპექტაბელური სამსახურის გარანტი ვერ იქნება, ცოტა ვინმე თუ გაირთულებს ცხოვრებას განათლების მიღებით. რადგან, როგორადაც არ უნდა გააუარესო და დაბლა დანოი განათლების დონე, იგი მაინც დიდ შრომასთან იქნება დაკავშირებული. ადამიანთა უმრავლესობას კი არ აქვს მოცალეობით, უქმობით ტკბობის შესაძლებლობა - მოცალეობა კი ნიშნავს ანაზღაურებადი საქმიანობის უქონლობას მიუშვამთ შემოსავალი და ღირსეული სოციალური სტატუსი - გარდა ყველაზე უბრალო სიამოვნებებისა, როგორიცაა ბურთის ვაგორება ხელით, ფეხით ან სხვადასხვა სახის მექანიზმებითა და ხელსაწყოებით; ბანქოს თამაში; ძაღლების, ცხენებისა თუ ადამიანების თვალყურის დევნება, როდესაც ისინი ერთმანეთს სისწრაფეში ან სხვა რაიმე უნარებში ეჯიბრებიან. თუკი განათლებელი (ცარიელი გონების მქონე) ადამიანი გათავისუფლდება ფინანსური საზრუნავისგან და ვინაშე შეზღუდულობისგან, დაიწყებს გოლფ-კლუბებსა და საცეკვაო დარბაზებში სიარულს და ა.შ. ისიც დატკეპება მოცალეობით და არანაკლები სიამოვნებით შეავსებს თავისუფალ დროს, ვიდრე განათლებული ადამიანი.

ადამიანთა უმრავლესობას არ ესმის რას ნიშნავს განათლება და ეს პირველ რიგში სკოლაში სწავლების დროის გახანგრძლივების თემაზე გამართულ საჯარო დისკუსიებში იჩენს ხოლმე თავს. უმნიშვნელო და მოჩვენებითი იდეის თავიდან მოსაშორებლად, თითქოს დამამთავრებელი კლასების ასაკის ზრდა უმუშევრობას ამცირებს - ეს კი იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სხვა პრობლემას ვერ ართმევენ



თავს - ადამიანთა უმრავლესობას (ამ პრობლემის განხილვაში მონაწილეობა ძალზე ბევრს სურს) უყალიბდება აზრი, რომ რაც უფრო მეტია განათლება - უფრო ზუსტად, მეტია სწავლის ნიშნები - მით მეტი სარგებელია, „თუკი ერს აქვს ამის საშუალება“. არადა, ერს ექნებოდა ამის საშუალება, სწავლის გახანგრძლივება მართლა ასეთი სასარგებლო რომ იყოს. მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას, თუ რა არის ეს განათლება, რომელიც ზედმეტი არავისთვისაა; და ყოველთვის კარგია თუ არა საზოგადოება, სადაც მეტი განათლება კარგს ნიშნავს. თუკი მაგალითად, „ერს“, ან ამ ერის წარმომადგენელ ადამიანებს ცოტა ფული აქვთ, ჩვენი მხრიდან უკეთესი ხომ არ იქნებოდა დაწყებითი განათლება ისეთ დონეზე აგვეყვანა, რომ ვერანაირმა ფულმა ვერ შეძლოს მისი გაუმჯობესება მანამ, სანამ უფრო ამბიციური და მიზანიმართულ პროგრამას არ ვცდივთ (ვისაც რამდენიმე კვირა მაინც უსწავლებია პატარებისთვის, იცის, რომ მოსწავლეების რაოდენობა (კლასის მოცულობა) დიდ გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. თხუთმეტი იდეალური ციფრია; ოცი - მაქსიმუმია; ოცდაათთან გაცილებით ნაკლებს მოახერხებთ; ოცდაათზე მეტი ბავშვი თუა კლასში, მასწავლებელი პირველ რიგში წესრიგის დაცვაზე ფიქრობს და ნიჭიერი, ჭკვიანი ბავშვები კი ამის გამო სხვა დანარჩენებით მიჩანჩალავენ)?!

პირველი, რაც ნებისმიერ წარმოსახვით დიქტატორს შეიძლება გაეკეთებინა ქვეყნის განათლების სფეროში, ესაა დაწყებით განათლებაზე ზრუნვა, რომელიც იმდენად კარგი უნდა იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია; შემდეგი უკვე იმაზე იფიქრება, რომ არავის მიეგოჭარბი განათლება და ამ მიზნით თუნდაც სამჯერ შეამცირებდა „უმალღესი განათლების“ მიღების ამჟამინდელ მსურველთა რაოდენობას (დიქტატორს განათლების სფეროშიც კი არ ვისურვებდი, თუმცა ხანდახან გამოდგება ჰიპოთეტური დიქტატორის სახე საილუსტრაციოდ), რადგან უნივერსიტეტებში მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი პოტენციური მიზეზი უფრო დაბალ დონეზე მოდომარეობის გაუარესებაა. უნივერსიტეტები იძულებული არიან თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ასწავლონ მათ, ვისაც ყოველწლიურად იღებენ როგორც მასალას: დღესდღეობით ისინი მხოლოდ ინგლისურს ასწავლიან ინგლისში. ამერიკული უნივერსიტეტები, ჯერ კიდევ ჩარლზ უილიამ ელიოტისა და მისი თანამედროვე „პედაგოგების“ დროიდან მოყოლებული, რაოდენობისთვის გიჟურ ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი და ცდილობდნენ, რაც შეიძლება

დიდი მასშტაბებისთვის მიეღწიათ: გაცილებით ადვილია მცირე უნივერსიტეტი დიდ უნივერსიტეტად გადააქციო, ვიდრე უზომოდ გაზრდილის რაოდენობა შეამცირო. და მას შემდეგ, რაც ელიოტმა ასწავლა ამერიკას, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად დიდი უნდა ყოფილიყო (და მე მინახავს უნივერსიტეტი, რომელიც ამაყოფადა, რომ ერთ წელს 18 000 სტუდენტი მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ მათში საღამოს განყოფილება იგულისხმებოდა), ამერიკა ძალიან გამდიდრდა, ასპარეზზე გამოიყვანა ბევრი მილიონერი და უკვე შემდეგი თაობა უნივერსიტეტების აღმშენებლობის კიდევ უფრო გიჟურ პროგრამაში ჩაება და ისინი ძალზე მოკლე ვადებში ამთავრებდნენ აუარება შთამბეჭდავ და გრანდიოზულ, თუმცა კი ხანდახან ნაჩქარევად ნაშენებ და უხარისხო ნაგებობას, საერთო საცხოვრებლებს და ეკლესიებსაც კი. და როცა ამდენი ფული დახარჯეთ აგებასა და აღჭურვაში, როცა მამაკაცების ამხელა შტატი არსებობს (თუმცა ყოველთვის კარგად ანაზღაურებადი არა), რომელთა უმრავლესობაც დაქორწინებულია და რამდენიმე შვილიც ჰყავთ, როცა ასპირანტურებიდან უფრო და უფრო მეტ მამაკაცს უშვებთ, შესაბამისი განათლებით და ისინი მზად არიან, სხვა უნივერსიტეტებში ასწავლონ და შესაძლოა ასევე აპირებენ დაქორწინებასა და შვილების ყოვლას; როცა მთელი თქვენი უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემა მორგებულია ექსპანსიის ეპოქაზე და ქვეყანაზე, რომელიც ცდილობს უსასრულოდ გაზარდოს მოსახლეობის რიცხვი, გამდიდრდეს და კიდევ ააშენოს უნივერსიტეტები, ყველაფერ ამის შემდეგ შენ ხვდები, თუ რა ძნელია უკანდახევა.

ის, რაც ამერიკაში ხდება, არც ბრიტანეთისთვისაა უცხო, როგორც ჰგონიათ ხოლმე. რადგან, ზემოთაც ვთქვი, განათლების კრიზისი არა ერთ, არამედ ყველა ქვეყანაში უნდა ვაღიაროთ - კრიზისი, რომელსაც თავისი საერთო ნიშან-თვისებები აქვს ყველგან. ის, რაც ამერიკის უნივერსიტეტებში ხდება, ინგლისის პროვინციულ უნივერსიტეტებშიც შეიძლება მოხდეს. და ის, რაც ხდება პროვინციულ უნივერსიტეტებში, გავლენას ახდენს ოქსფორდზე და კემბრიჯზე. ჩვენ უკვე შევამოხვეთ დიდი სოციალური ცვლილებების ეპოქაში. ამის სანაშაღმდეგო არაფერი მაქვს; თუმცა ვფიქრობ, თუკი ვაღიარებთ, რომ სოციალურ ცვლილებებს აუცილებლად მოსდევს ცვლილებები განათლების სისტემაში და თუკი შეიცვლება ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მიიღოს განათლება და როგორ, და უფრო რომ გავართულოთ, რატომ ვიღებთ განათლებას,


მაშინ ჩვენთვის უკეთესი ხომ არ იქნებოდა განათლებისთვის გონივრული მიმართულება მიგვეცა, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ თავზე მიგვედნო იგი.

სწორედ ამ ცვალებადი ფართო ფონის საპირინოდ, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემ მიერ დახატული სურათისთვის, ვაპირებ დავსვა საკითხი თანამედროვე განათლებაში კლასიკური ფილოლოგიის ადგილის შესახებ. ჩვენ სამ ტენდენციას გამოვარჩევთ განათლებაში, ისევე, როგორც პოლიტიკაში: ლიბერალურს, რადიკალურს და ტენდენციას, რომელსაც მე, - შესაძლოა იმიტომ, რომ იგი ჩემია - *ორთოდოქსულს* დავარქმევდი. როცა განათლებაში არსებული ტენდენციების განსაზღვრისთვის ამ ტერმინებს ვიყენებ, ამით არანაირ ახლო პოლიტიკურ პარალელებს არ ვავლებ, რადგანაც პოლიტიკაში არაფერი არ არსებობს სუფთა სახით.

ლიბერალური მიდგომა განათლებაში ჩვენთვის ყველაზე კარგადაა ნაცნობი. იგი იხრება თვალსაზრისისკენ, რომელიც აშკარად არ იწვევს კამათს და მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ განათლება არ არის უბრალოდ ფაქტების ათვისება, არამედ გონების, როგორც ინსტრუმენტის ვარჯიშია, რომელსაც ნებისმიერი კლასის ფაქტებთან შეიძლება ჰქონდეს საქმე და გულისხმობს აზროვნებას, დასკვნების გამოტანას და ერთ სფეროში მიღებული ცოდნის გამოყენებას სხვა სფეროებში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთი რომელიმე საგანი ისეთივე სასარგებლოა განათლებაში, როგორც მეორე; ხოლო სტუდენტმა თავის მოწოდებას უნდა მისდიოს და ის საგნები შეისწავლოს, რომლებიც მას ყველაზე მეტად დაინტერესებს. შესაძლოა, ერთი სტუდენტი გეოლოგიაში გაიტაცოს, მეორე კი - ენების შესწავლას გაჰყვას, ბოლოს კი ორივემ საკუთარი თავი მაინც ვაჭრობის სფეროში იპოვოს: იგულისხმება, რომ თუკი მათ ბოლომდე გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი და თუკი თანაბარი უნარები აქვთ, ისინი ორივენი ერთნაირად შეეფერებიან თავიანთ პროფესიასაც და „ცხოვრებასაც“. ჩემი აზრით, ძალზე ფართოდ შეიძლება განივრცოს თეორია, რომლის თანახმადაც გონებას ნებისმიერ საგანში შეიძლება კარგად გაიწვრთნას, ხოლო შესასწავლი ფაქტების კლასის არჩევანს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. არსებობს საგნების ორი ტიპი, რომლებიც ადრეულ სტადიაზე ცოდნას განაპირობებენ, თუმცა გონებას ნაკლებად ავარჯიშებენ. ერთ-ერთ ასეთ ტიპს მიეკუთვნებიან საგნები, რომლებიც უფრო მეტად თეორიებითა და თეორიათა ისტორიით

არაირ დაკავებული, ვიდრე ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდებით, რაც თეორიის შესაშუბვებლადაა აუცილებელი: ასეთი ძალზე პოპულარული საგანია *ეკონომიკა*, რომელიც არაერთი რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიისგან შედგება, საგანი, რომელსაც არანაირად არა აქვს პრეტენზია მეცნიერების სტატუსზე, როგორც წესი, აკრძალულ დაშვებებს ეფუძნება და ეთიკის უკანონო შვილს წარმოადგენს, მშობლისა, რომელმაც უარი თქვა მასზე. *ფილოსოფია*ც კი, რომელიც გაეყარა ღვთისმეტყველებას, ცხოვრების ცოდნასა და დადგენილ ფაქტებს, არის მარტოოდენ ლიტონი, ფუჭი იდეა, რომელიც წამიერად გვიტაცებს, შედეგად კი მოჰყვება იმედგაცრუება და სიცარიელე. საგნის მეორე ტიპი, რომელიც გულისხმობს განურჩევლად სწავლებას, ძალზე წვრილმანი და კონკრეტულია. გაურკვეველია, რა კავშირი აქვს მას ძირითად ცხოვრებისეულ საქმიანობასთან. არის კიდევ მესამე საგანი, რომელიც გონების ვარჯიშისთვისაც არ ვარგა, გარდა იმისა, რომ არცერთ მოცემულ კლასში არ თავსდება. იგი თავისივე თავიდან გამომდინარე არ ვარგა: და ეს საგანია *ინგლისური ლიტერატურა*, უფრო ფართოდ კი მშობლიური ლიტერატურა.

განათლებისადმი ლიბერალური მიდგომის კიდევ ერთი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტმა თავად უნდა აირჩიოს საგანი, რომელიც მას ყველაზე მეტად აინტერესებს. ზოგიერთი სტუდენტისთვის ეს მთავარი უფლებაა. ყველაზე ადრეულ, სასკოლო საფეხურზეც კი შეიძლება გამოყოფილი რამდენიმე ინდივიდი, რომელთაც საგანთა ამა თუ იმ ჯგუფისადმი გარკვეული მიდრეკილებები გააჩნიათ. ამ ილბლანაწებს ის საშიშროება ემუქრებათ, რომ თუკი მხოლოდ მათ მივანდობთ არჩევანს, ისინი ძალზე ვიწრო სპეციალისტები გახდებიან, რომელთაც წარმოდგენა არ ექნებათ ადამიანური ყოფიერების ზოგად ინტერესებზე. ასე თუ ისე, ჩვენ ყველას თანდაყოლილი სიზარმაცე გვახასიათებს და უფრო ადვილია მხოლოდ ის საგნები შევისწავლოთ, რომლებშიც ძლიერები ვართ და გამოვირჩევით. მაგრამ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას, მათ, ვინც განათლებას იღებენ, არა აქვთ სპეციალიზაციისკენ აშკარა მიდრეკილება, რადგან არ აქვთ გამოკვეთილი ტალანტი ან გატაცებები. ისინი კი, ვისაც შედარებით ცოცხალი გონება აქვს და ცნობისმოყვარეა, უფრო ზედაპირული ცოდნის მიღებით იქნებიან დაინტერესებულნი. ვერავინ გახდება რეალურად განათლებული, თუ არ ეცდება იმის შესწავლასაც, რის მიმართაც მას ინტერესი არ ამოძრავებს, რადგან იმ საგნებით



დაინტერესების უნარი, რომლებსკენაც არ გვაქვს მიდრეკილება, განათლების ნაწილს წარმოადგენს.

დოქტრინა, რომლის თანახმადაც იმ საგანს ესწავლობთ, რომელიც მოგვწონს (და ბევრი ახალგაზრდისთვის, მათი განვითარების პროცესში, ესაა საგანი, რომელიც მათ კონკრეტულ მომენტში მოსწონთ), განსაკუთრებით დამლუბველია მათთვის, ვისი ინტერესებიც თანამედროვე ენების ან ისტორიის სფეროზე ვრცელდება, და უფრო მეტად მათთვის, ვისაც თავი მომავალ მწერლად წარმოუგენია. რადგან სწორედ ამ ადამიანებისთვის - და ასეთები ბევრნი არიან - სასწავლო პროგრამაში ლათინური და ძველი ბერძნული ენების არარსებობა ყველაზე დიდი უბედურებაა. მხოლოდ ცოტას თუ აქვს ამ მკვდარი ენების დაუფლების ნამდვილი ტალანტი და მათ ალბათ ბედნიერებას ანიჭებს შესაძლებლობა, რომ თავიანთი თავი ნებაყოფლობით მიუძღვნან კლასიკურ ფილოლოგიას - თუ რა თქმა უნდა, ამის საშუალება მიეცათ. მაგრამ ჩვენს შორის უფრო მეტია ისეთი, ვისაც თანამედროვე ან მოზოზოლიური ენების, ან კიდევ - ისტორიის შესწავლის ნიჭი აქვთ, სამაგიეროდ, საკმაოდ მოკრძალებული შესაძლებლობებით გამოირჩევიან ლათინური და ბერძნული ენების შესწავლის საქმეში. ძნელია ახალგაზრდობაში ვინმემ ვალიაროთ, რომ ლათინური და ბერძნული ენების საფუძვლის გარეშე ზემოწამოთვლილი საგნების შესწავლისას ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდული იქნება.

ახლა, როცა ლიბერალიზმი იცავს უგუნურ იდეას, თითქოს ნებისმიერი საგანი ერთნაირად სასარგებლო იყოს სწავლისთვის, და რომ ლათინური და ბერძნული არაფრით სჯობს აუარება სხვა დისციპლინას, რადიკალიზმი (ლიბერალიზმის პირიშო) უარყოფს საყოველთაო შემეცნარებლობის ამ პოზიციას და ლათინურს და ბერძნულს კიდევ უფრო ნაკლებმნიშვნელოვან საგნებად აცხადებს. ლიბერალიზმმა ზედაპირული ცნობისმოყვარეობა შვა. ამ რაოდენობის სხვადასხვანაირი ინფორმაცია ადრე არასდროს ყოფილა ასეთი ხელმისაწვდომი ყველასთვის, თანაც იმდენად გამარტივებული, რომ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის ადვილი ასათვისებელი იყოს. ამას დ.ჰ. უელსის სახალისო მოკლე კონსპექტების პოპულარობაც მოწმობს; ახალი აღმოჩენების შესახებ წამში იგებენ მთელს მსოფლიოში; და ყველამ იცის, რომ სამყარო ფართოვდება ან პირიქით, ვიწროვდება. ამ გაბნეული, გაფანტული ცნობისმოყვარეობის პირობებში, რომელიც ასეთ სიახლეებს გულისხმობს, ძალიან

ბევრი ადამიანი - რომელთა უმრავლესობა დარიბი და ღირსეულია - ფიქრობს, რომ გონებას სრულყოფენ ან კარგად ატარებენ თავისუფალ დროს. რადიკალიზმი კი ამასობაში აგრძელებს „საჭირობოროტო თემების“ შექმნას და უარყოფს, რაც საჭირობოროტო არაა. ერთმა თანამდროვე ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, რომელმაც სახელი ლიტერატურის მარქსისტული კრიტიკით მოიხვეჭა, გვითხრა, რომ ჩვენი დროის ნამდვილი გმირები ისეთი ადამიანები არიან, როგორებიც იყვნენ ლენინი, ტროცკი, გორკი და სტალინი; ასევე - აინშტაინი და ჰანტი მორგანი. ამ კრიტიკოსისთვის ცოდნა „პირველ რიგში სამეცნიერო ცოდნაა გარემომცველი სამყაროს და თავად ჩვენ შესახებ“. გამოთქმული მოსაზრებისთვის შეიძლება შესაფერისი ინტერპრეტაცია მიგვეცა; თუმცა ვშიშობ, იგი იმას გულისხმობდა, რასაც - ნებისმიერი გამგელი. „გარემომცველი სამყაროს შესახებ სამეცნიერო ცოდნაში“ იგი არ მოაზრებს ცხოვრების გაგებას. თავად ჩვენს შესახებ სამეცნიერო ცოდნაში იგი არ გულისხმობს თვითშემეცნებას. მოკლედ რომ ვთქვათ, თუკი ლიბერალიზმმა არ იცოდა, კონკრეტულად რა უნდოდა მას განათლებისგან, რადიკალიზმმა ეს იცის; რადიკალიზმს არასწორი რამ უნდა.

თუმცა რადიკალიზმი უნდა დაეფასავთ, რადგან მას რალაც მაინც სურს. უნდა დაეფასავთ შერჩევას და ზედმეტის უგულებელყოფის სურვილის გამო, მიუხედავად იმისა, რომ იგი არასწორად ირჩევს და უგულებელყოფს. თუკი თქვენ საზოგადოებისთვის გარკვეული იდეალი გაგაჩნიათ, მხოლოდ მაშინ გაქვთ იმის კულტივირების უფლება, რაც ამ საზოგადოების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის სასარგებლოა და შეგიძლიათ განაგდოთ ყველაფერი უსარგებლო და ზედმეტი. ჩვენ კი დიდი ხნის მანძილზე იდეალის გარეშე ვიყავით. დღეს უკვე ბანალურია იმაზე საუბარი, რომ კომუნიზმი რუსეთში რელიგიად იქცა. თუ ასეა, ქვეყნის მმართველებმა ამ რელიგიის დოგმატები უნდა ასწავლონ ახალგაზრდებს. მე კი ახლა ვცდილობ ფუნდამენტური საფუძველი მოვნიშნო ლათინური და ბერძნული ენების შესწავლისთვის. ჩემი მიზანი არაა საუკეთესო არგუმენტები წარმოვიდგინოთ იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ უნდა შევისწავლოთ ეს ენები. ამას იმედია თავადაც მიხვდებით. საბოლოო ჯამში არსებობს მხოლოდ ორი ჯანსაღი პიპოთეზა ცხოვრების შესახებ: კათოლიკური და მატერიალისტური. კლასიკური ენების შესწავლის დაცვა, ისევე, როგორც აქტიურ ცხოვრებასთან შედარებით ჭკრეტიტი ცხოვრების უპირატესობის დაცვა, პირველ პიპოთეზასთან ურ-



თიერთობას უნდა ეფუძნებოდეს. სენტემენტალურ ტორიზმთან², საპროფესოროებთან და თემთა პალატაში ლათინურ ციტატებთან კლასიკური ენების დაკავშირება სუსტი გამართლება იქნება მათთვის. თუმცა არც ისე სუსტი, როგორც ჰუმანიზმის ფილოსოფიის პოზიციებიდან ამ ენების დაცვა. ყველაფერი ეს არიერგარდის დაგვიანებული, შენელებული ბრძოლებია, რომლებიც ლიბერალიზმის პროგრესის შეკავებას ცდილობენ მისი საბრძოლო მარშის დასრულებისას, ბოლო ეტაპზე: და ამ ბრძოლებს აწარმოებენ ძალები, რომლებიც უკვე სანახევროდ ლიბერალიზმის არიან. დროა კლასიკური ენების დაცვა გამოვაცალკეოთ იმ საგნებისგან, რომლებსაც, რაც არ უნდა ბრწყინვალენი იყვნენ გარკვეულ მდგომარეობასა და ვითარებაში, მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა გააჩნიათ - ტრადიციული საჯარო სკოლების სისტემა, ტრადიციული საუნივერსიტეტო სისტემა, რომლებსაც სოციალური სისტემის დაცემისკენ მივყავართ - და პირიქით, მტკიცედ დაეუკავშიროთ დაცვის საქმე რაღაც მტკიცეს - ისტორიულ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მე ვაღიარებ იმ უზარმაზარ ფასს, რომელიც უარყოფისა და წინააღმდეგობის ძალას გააჩნია. რაც უფრო დიდხანს შეინარჩუნებენ ჩვენი ქვეყნის სკოლები და უძველესი უნივერსიტეტები (ამერიკაში მათ უკვე უარი თქვეს ბრძოლაზე) კლასიკური განათლების გარკვეულ სტანდარტს, მით უკეთესი იქნება მათთვის, ვინც მომავალს რეფორმების აქტიური სურვილითა და ცვლილებების გონივრული მიღებით უყურებთ. ჩვენი საგანმანათლებლო ინტიტუციებისგან მომავლისთვის რაღაც უფრო პოზიტიური წვლილის დანახვა ამო იქნებოდა. მხოლოდ კათოლიკეებმა და კომუნისტებმა იციან კარგად, რომ მთელი განათლება, საბოლოო ჯამში, რელიგიური უნდა იყოს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ განათლება მხოლოდ სასულიერო პირებისთვის ან საბჭოთა ბიუროკრატის მაღალჩინოსნებისთვის უნდა არსებობდეს, არამედ გველისხმობ, რომ განათლების იერარქია რელიგიური იერარქია უნდა იყოს. უნივერსიტეტები ზედმეტად სეკულარიზებული არიან, მათ დიდი ხნის წინ დაკარგეს გარკვეული ზოგადი ფუნდამენტური წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რისთვის არსებობს განათლება. თანაც ისინი ძალიან გაიზარდნენ. საფიქრებელია, რომ ისინი ან საბოლოოდ ფეხს აუწყობენ გარემოს, ან საინტერესო არქიტექტურულ გადმონაშთებად - დაცულ ძეგლებად - იქცევიან. ყოველ შემთხვევაში,


მათგან ლიდერობას არ უნდა მოველოდეთ.

რა თქმა უნდა, სრულიად შესაძლებელია, რომ მომავალმა არც ქრისტიანული ცივილიზაცია მოგვიტანოს და არც მატერიალისტური. შესაძლოა მომავალმა ქაოსისა და გაქვავების, უძრაობის გარდა არც არაფერი მოგვიტანოს. თუ ასე მოხდა, მე აღარ მაინტერესებს მომავალი; მე მხოლოდ ორი ალტერნატივა მაინტერესებს, რომლებიც, ჩემი აზრით, ყურადღების ღირსია. ამ შემთხვევაში მივმართავ მხოლოდ იმ მკითხველს, ვინც მზადაა ქრისტიანული ცივილიზაციის მხარეს დადგეს, თუკი მას არჩევანის წინაშე დააყენებენ; და მხოლოდ ასეთ მკითხველებს - რომლებსაც სურთ ქრისტიანულ ცივილიზაციას ცოცხალს და განვითარებადს ხედავდნენ - მინდა ვუთხრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლათინურისა და ბერძნულის შესწავლა. თუკი ქრისტიანობა არ იცოცხლებს, ვერ გადარჩება, ჩემთვის სულერთი იქნება, თუნდაც ეტრუსკულ ენაზე დანერგილ ტექსტებზე უფრო გაუგებარი გახდეს ბერძნული და ლათინური ტექსტები. ხოლო ერთადერთ იმედად ლათინურისა და ბერძნულის შესწავლის საქმეში, რათა ამ ენებს საჭირო ადგილას დაეუფლონ და ჭეშმარიტი მიზნებისთვის გამოიყენონ, სამონასტრო ორდენების აღორძინება და გავრცელება მიმაჩნია. არსებობს კიდევ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც, რომელთა გამოც შეიძლება სამონასტრო ცხოვრების (მთელი თავისი მრავალფეროვნებით) აღორძინება ვისურვოთ, თუმცა ქრისტიანული განათლების შენარჩუნებასა და გადარჩენას ამ მიზეზებში უკანასკნელი ადგილი ნამდვილად არ უკავია. პირველი საგანმანათლებლო ამოცანა მათთვის, ვისაც ეს ეხება, უნდა იყოს სამონასტრო განათლების შენარჩუნება, რომელიც მის კედლებს მიღმა არსებული ბარბაროსობის წარღვრით არ იქნება შელახული; მეორე ამოცანა - საერო პირებისთვის განათლების უზრუნველყოფა, რომელიც რაღაც უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე უბრალოდ განათლება სამოქალაქო სამსახურში ადგილის მოსაპოვებლად, ან ტექნიკური უნარების დასაუფლებლად და სოციალური თუ საჯარო წარმატების მისაღწევად. ის არ იქნება არც იაფფასიანი, ჭყეტელა „განათლება მოცალებობისთვის“ (Education for Leisure). რაც უფრო სეკულარული ხდება მსოფლიო, ნამდვილი ქრისტიანებისთვის მით უფრო აუცილებელი ხდება ქრისტიანული განათლება, რომელიც უნდა იყოს განათლება ამ სამყაროსთვისაც და მლოცველისთვისაც ამ სამყაროში.

უილიამ ლოგანი

პაუნდის ჩინეთი / პაუნდის „Cathay“¹

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ნახევარი საუკუნის წინ ნიუ-ჰეივენში გახლდით და ბენეკეს ბიბლიოთეკას ვენვიე. როდესაც ორ რიგად ჩამწკრივებულ წიგნებს ვათვალიერებდი, მცველმა მიაჩნო, რომ „ბარნები რაჯის“ ნაკითხვის შემდეგ ედგარ ალან პოს უთქვამს, ჩემი ყორანი სჯობია დიკენსის ყორანსო. პაუზის შემდეგ მცველმა დასძინა: „აი, აქ ინახება ყორნის ორიგინალი“. და მართლაც, თაროდან შუშის შავი თვალით გვიყურებდა გრიპის - დიკენსის მიერ მომინაურებული ყორნის - ფიტული.

მცველს არ უხსენებია თოკებით შეკრული და დაბეჭდილი ჩვიდმეტი სკივრი, რომლებიც სარდაფში, ორ ლიფტს შორის ეწყო. უწარწერო სკივრების ირგვლივ იგრძნობოდა იდუმალი ცოდნის აურა, რომლითაც გარემოცულია პლატონის აკადემიის გადარჩენილი ტექსტები და პალმირის

ნანგრევები. გამბედაობა მოვიკრიბე და ვიკითხე, სკივრებში რა აწყვია-მეთქი. მათში ინახებოდა ეზრა პაუნდის არქივი, რომელსაც არ ხსნიდნენ - მისი მესაკუთრის დადგენასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის დასრულებას ელოდნენ.

ამ სკივრებში წიგნებსა და ხელნაწერებს შორის ეწყო მასაჩუსეტსელი ხელოვნების ისტორიკოსის რვეულები, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაინერა კლასიკური ჩინური პოეზიის კვლევისა და თარგმნის შედეგები, რაშიც ორი სპეციალისტი ეხმარებოდა. მკვლევარს ერნესტ ფენოლოზა ერქვა. ფენოლოზამ ჰარვარდი დაამთავრა და ოცდახუთი წლის ასაკში ტოკოს უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. ჯერ ორმოცისაჯ არ იყო, როდესაც აზიის ხელოვნების კურატორად დაინიშნა ბოსტონის სახვითი ხელოვნ-

1. ჩინეთის ალტერნატიული ისტორიული სახელწოდება ინგლისურად.

ნების მუზეუმში. პირველ მეულღესთან განქორწინებისთანავე ცოლად შეირთო თავისი თანაშემწე. ბოსტონის საზოგადოებამ ფენოლოზას ქცევა დაგმო, რის შედეგადაც ის მუზეუმშიდან გააძევეს. ეს ამბავი თითქოს ედით უორტონის „უმანკოების ეპოქიდანაა“ აღებული. შემდეგ ფენოლოზა ოჯახიანად იაპონიაში გადასახლდა.

მოთმინება სათნოებად ითვლება, მაგრამ მწერლისთვის მოუთმენლობა სწორად აუცილებელია. ეზრა პაუნდმა თავისი მოუთმენელი სურვილის (ინგლისური ლექსის რეფორმირების) ხორცშესხმა დაიწყო საკმაოდ ტლანქი, ძველმოდური ეკვილიბრისტიკით პოეტისა, რომელიც ჩოსერის შემდგომი ეპოქების პოეზიას თითქმის არ იცნობდა. შუა საუკუნეების პოეზიისთვის დამახასიათებელი ლულარჭნილი სტილით გატაცება დიდხანს გაგრძელდა („What thou lovest well remains, / the rest is dross“), მაგრამ ეს უფრო აბსტრაქტული გატაცება იყო და პაუნდის სტილზე რეალურად არ ასახულა. ახალგაზრდობისას, ჯერ იტალიაში, შემდეგ კი ლონდონში, პაუნდი ერთიმეორის მიყოლებით, სწრაფად წერდა ლექსებს და აქვეყნებდა ნიგნებს: *A Lume Spento* (1908), *A Quinzaine for This Yule* (1908), *Personae* (1909), *Exultations* (1909), *Canzoni* (1911), *The Sonnets and Ballate of Guido Cavalcanti* (1912), *Ripostes* (1912), და *Des Imagistes* (1914, რედაქტორი). სანამ „ძველ ჩინეთს“ (1915) დაწერდა, თავის სტილს ეძებდა. ორმოცდაერთი წლის ასაკში პაუნდმა ადრეული ლექსები გამოაქვეყნა კრებულში „Personae“, სადაც შეიტანა 100-ზე მეტი ახალგაზრდული ნაწარმოები, თუმცა ამ შემთხვევაში „ახალგაზრდული“ ასაკი შუახნის ასაკსაც მოიცავდა. მართლაც, პაუნდმა, რომლისთვისაც შემოქმედებითი სიმნიფის ხანა დადგა, განწმინდა თავისი ადრეული ქმნილებები იმ სტილისტური ხარვეზებისგან, რომელთა გამო კრიტიკოსები სასაცილოდ იგდებდნენ.

ჩინური პოეზიის პნკარედები და პარაფრაზები, რომლებიც ფენოლოზას არქივში ინახება, პაუნდს ინგლისური პოეზიის რეფორმირებაში დაეხმარა. ალბათ, ამის გარეშე არ შეიქმნებოდა ახალი სტილი - ვერლიბრი, რაშიც პაუნდმა უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვიდრე მარტინ ფარკურ ტაპერისა და უოლტ უიტმენის უტვიზონ ეპიგრამა - და ეს მოასწავებდა მსოფლმეგრძნობის ცვლილებას, რომლისთვისაც საჭირო იყო ახალი ენა. იმაჟიზმი - მოძრაობა, რომლის ფუძემდებელიც პაუნდი იყო, განვითარების ზენიტში გახლდათ 1913 წელს, როდესაც მან „Poetry“-ს მარტის ნომერში გამოაქვეყნა „A Few Don'ts by an Imagiste“. გაურკვეველია, უბიძგა თუ არა სწორედ იმაჟიზმმა პაუნდს ჩინური პოეზიისკენ, მაგრამ „ძველ ჩინეთში“ იმაჟიზმის პრინციპებია ხორცშესხმული. პაუნდმა აღმოაჩინა, როგორ უნდა აესახა რეალობის მკრთალი ნათება მოდერნისტულ ლექსში, რაც სხვა პოეტებმაც აიტაცეს.

მწერლის ცხოვრებაში არის იმდენიანი მომენტები და ეს, ჩვეულებრივ, დაუმსახურებლად, შემთხვევით ხდება. 1908 წლის გაზაფხულზე ლონდონში დასახლებული პაუნდი, რომელიც „პოეტთა კლუბის“ წევრი გახდა, დაინტერესდა აღმოსავლური პოეზიით და რამდენიმე ჰაიკუც კი დაწერა. შავი ვარიანტი ორტაეპედისა „მეტროს სადგურში“ მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. ლექსი დაინერა მას შემდეგ, რაც 1911 წელს პაუნდი ეწვია პარიზს. ამკარაა ამ ნაწარმოების მსგავსება კლასიკურ ჰაიკუსთან, თუმცა მასში ამ ჟანრის კანონიკური ფორმისგან განსხვავებული სიგრძის მქონე რიტმული ერთეულები ვგვხვდება. 1913 წლის შემოდგომაზე ჟურნალში „Poetry“ პაუნდმა გამოაქვეყნა თავისი მეგობრის, ალენ აპორდის, ლექსების სერია:

„გზად მიმავალმა დავინახე მტვრიანი ჟოლოსფერი ბუმბულით შემოსილი თუთიყუშები, რომლებიც ხორცის ნაჭრის გამო კინკლაობდნენ, მაგრამ შენს სურნელთან წერილს ვყნოსავდი და მათი ხმები არ გამოვიგონა.“

მეთუნემ, როდესაც სამყაროს ქმნიდა, გადაავლო ის, რაც თიხის უსარგებლო ნაგლეჯად მიიჩნია და აღმოაჩინა, რომ თავისი მარცხენა ხელი გადაეგლო.

როდესაც ლი ბოს შესანიშნავ ლექსებს ზეციურ სამსჯავროზე ხოტბა შეასხეს, ერთმა შურიანმა მანდარინმა უკმაყოფილება გამოთქვა პოეტის სამარცხვინო ქცევის გამო. ღვთაებრივმა იმპერატორმა, რომელიც თავის ბაღში დასეირნობდა, მანდარინს ვარდი გაუწროდა და ჰკითხა: „განა გძრძობ ნაკელის სუნს?“

აპორდის ეს ლექსები ჩინურიდან არ უთარგმნია - მან შეთხზა ისინი. ჩინეთისთვის დამახასიათებელი მისტიციზმი შეიჭრა პაუნდის ლექსებშიც, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩინეთის კულტურასა და პოეზიას გაეცნობოდა.

1913 წლის სექტემბერში პაუნდის მეგობარმა, ლორენს ბინიონმა (რომელიც იმხანად გრავიურებისა და ნახატების განყოფილების მცველის თანაშემწე იყო ბრიტანეთის მუზეუმში) პოეტს გააცნო ერნესტ ფენოლოზას ქვრივი მერი. ასევე, ლონდონში ბინიონმა აჩვენა პაუნდს იაპონური გრავიურები მუზეუმის ვრცელი კოლექციიდან. როგორც ჩანს, მისის ფენოლოზაზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა პაუნდის მიერ გამოქვეყნებულმა აპორდის ლექსებმა. ეჭვგარეშეა, მისის ფენოლოზა ესაუბრებოდა პაუნდს თავისი ქმრის შესახებ, რომელიც გატაცებული იყო ძველი და შუა საუკუნეების ჩინეთით. ქალი იმდენად მოიხიბლა პაუნდით, რომ დეკემბერში პოეტს თავისი ქმრის ხელნაწერების უდიდესი ნაწილი გადასცა და უთხრა ის სიტყვები, რომლებიც პაუნდს ნახევარი საუკუნის შემდეგაც ასსოვდა: „ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელიც დაასრულებს ამ საქმეს ისე, როგორც ერნესტ სურდა.“



ამ ხელნაწერებმა დაარწმუნა პაუნდი, როდესაც ღრმად იცნობდა ფენოლოზა კლასიკურ ჩინურ პოეზიას. ამერიკელმა პოეტმა დაიწყო „ნოს“ პიესების ფენოლოზასეული თარგმანებისა და პუბლიკაციების რედაქტირება. მან გამოაქვეყნა ისინი სახელწოდებით „Certain Noble Plays of Japan“ (1916) და „Noh“ or Accomplishment“ (1916). პაუნდს ერთი წელი დასჭირდა, რომ ჩინური პოეზიის ფენოლოზასეული თარგმანებს გასცნობოდა. ფენოლოზა, რომელმაც მხოლოდ არასრულყოფილად იცოდა (ან საერთოდ არ იცოდა) კლასიკური ჩინური ენა, 1899 წელს ჩინურ პოეზიას მორი კაინანის (კანშის, შესაძლოა, საუკეთესო პოეტის) დახმარებით კითხულობდა. მორი იაპონელი პოეტი იყო, რომელიც კლასიკურ ჩინურ ენაზე წერდა (სამი წლით ადრე ფენოლოზას პნკარედებს უშზადებდა ნაკლებად განაფული თანამშრომელი ჰირაი კინძა, რომლის მიერ დაშვებული შეცდომები მართლაც რომ აღმაშფოთებელია. ჰირაის მიერ შესრულებული პნკარედები პაუნდმა მხოლოდ ერთი ლექსის თარგმნისას გამოიყენა, ამიტომ არც ისე დედად დაზარალდა).

ვინაიდან მორი ინგლისური კარგად არ იცოდა, ფენოლოზა კი სრულყოფილად ვერ დაეუფლა იაპონურს, მათ დახმარებისთვის მიმართეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, პროფესორ არიგა ნაგაოს. არიგამ, რომელიც თავისუფლად ფლობდა კლასიკურ ჩინურს, მოამზადა პნკარედი კრებულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსისთვის „Song of the Bowmen of Shu“. როგორც ჩანს (ტიმოთი ბლინგსის დაკვირვებით), მორი და არიგა იყენებდნენ კითხვისა და თარგმნის „კუნდოკუს“ მეთოდს. ადამიანებს, რომლებიც ჩინურად არ ლაპარაკობდნენ და ასობებს მხოლოდ იაპონური მანერით წარმოთქამდნენ, კუნდოკუ საშუალებას აძლევდა ყურადღებით წაეკითხათ და ადეკვატურად გაეზრებინათ ტექსტები. საუკუნეების განმავლობაში სწორედ ასე შეისწავლიდნენ ლათინურს ევროპაში, სადაც სტუდენტები და სწავლულები ზოგჯერ ვერ მტყუვლებდნენ ამ ენაზე და როდესაც მტყუვლებდნენ, მათი წარმოთქმა, ალბათ, განარისხებდა ძველი რომის მკვიდრთ - თუმცა, ამ მრავალეროვნული ქალაქის მცხოვრებნი, ალბათ, მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ უცხოელები ამახინჯებდნენ ლათინურს, და ღვარძლიანადაც ხუმრობდნენ ამის გამო.

პაუნდი განსაკუთრებით დაინტერესდა იმ ლექსებით, რომელთა ავტორი იყო ტანის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო პოეტი ლი ბო (ბოლო ხანებამდე მას ინგლისურად ლი პოს ეძახდნენ), მაგრამ პაუნდი იცნობდა ამ პოეტს როგორც რიჰაკუს (ლი ბოს იაპონური სახელი). სახელის ცვლილება მოხდა მას შემდეგ, რაც ჩინელებმა თინღეს სისტემა პინ-ინი, რომელმაც, მაგალითად, Peking-

ი Beijing-ად გადააქცია. პაუნდს სჯეროდა, რომ „ძველ ჩინეთში“ შეტანილი ყველა ლექსი ლი ბოს დაწერილი იყო, თუმცა სამ მათგანს სხვა ავტორები ჰყავდა. მეთვრამეტე საუკუნის ლექსების თარგმნა, რომლებიც, ძირითადად, ამავე საუკუნეში შედგენილი ანთოლოგიიდან იყო ამოღებული, ამგვარი პნკარედული კითხვის მშვეობით ხდებოდა. მორი (როგორც წიგნის რედაქტორი მიჩნევს), თავდაპირველად კითხულობდა ტაეს ჩინურ-იაპონური გამოთქმით (ტანის ეპოქის დროს ჩინურში იყო „გაყინული“ ბგერები, რომლებიც მოგვიანებით მანდარინში შეიცვალა, მაგრამ შენარჩუნებულ იქნა ძველ რითმებში, რომელთა გაგონებაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა). ალბათ, ტაეის წაკითხვის შემდეგ მორი თანმიმდევრობით განმარტავდა ჩინურ ეგროგლიფებს, არიგა თარგმნიდა პნკარედებს ინგლისურ ენაზე, ფენოლოზა კი იწერდა მათ. მთელი ლექსის დამუშავების შემდეგ მორი უბრუნდებოდა ლექსის დასაწყისს და განმარტავდა თითოეულ ტაეს (ამგვარი პარაფრაზი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პნკარედისგან, ზოგჯერ კი სრულიად განსხვავებული დედაზრი ჰქონდა). კონტექსტი ცვლის დედაზრს. მორი განმარტავდა ალუზიებს, ისტორიასა და ლექსის ტექნიკას და არიგა კვლავ თარგმნიდა, ფენოლოზა კი მიდევნის ფუნქციებს ასრულებდა.

მეთოდის ინტენსივობა, მთარგმნელთა პედანტური კეთილსინდისიერება და თვითკორექტირება გვაფიქრებინებს, რომ იაპონელებმა კარგად იცოდნენ ჩინური პოეზია და საგანგებოდ შეისწავლიდნენ მას. ამასთან, პაუნდს თითქმის არ უნახავს ჩინური ორიგინალები და ხშირად პნკარედებს უპირატესობას ანიჭებდა პარაფრაზებთან შედარებით. ამგვარი თავისუფლება საშიშია. პაუნდის მიერ დაშვებული შეცდომების უმრავლესობა - იქ, სადაც შეცდომები გვხვდება - გამომდინარეობს იქიდან, რომ მას არასოდეს გაუთვალისწინებია: პნკარედი სულაც არაა თარგმანი per se, ის შეიცავს მხოლოდ პოტენციურ დედაზრს, რომელსაც ზოგჯერ უგულბებლყოფს პარაფრაზი. ამგვარი მთარგმნელი, პროსპეროს სიტყვების - „And rifted Jove’s stout oak/ With his own bolt“ წაკითხვისას, bolt-ს (პნკარედი) ასე თარგმნის: short arrow/ discharge of lightning/ sudden spring or start/ act of gorging food. ადვილად წარმოსადგენია, როგორ მოიქცეოდა პაუნდი ასეთ შემთხვევაში.

ამ მეთოდის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ერთი მოკლე ლექსი, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე ხშირად გვხვდება ანთოლოგიებში. ესაა „The Jewel Stairs’ Grievance“. ქვემოთ მოყვანილია მორის პნკარედები, მის მიერვე შექმნილი პარაფრაზი (ორივე მათგანი არიგას ნათარგმნია), შემდეგ კი, ფრჩხილებში, მოცემულია

2. „მანდარინს“ უწოდებენ ყველაზე უფრო გავრცელებულს ჩინური ენებიდან - ჩრდილოჩინურ ენას.

პაუნდისეული თარგმანი:
 Jewel steps grow white dew
 The jewel stairs jave already become white with dew.
 (dew was thought to grow on things)
 [The jeweled steps are already quite white with dew,]
 night long permeate transparent stocking
 attack gauze
 Far gone in the night, the dew has come to me/gauze sock.
 [It is so late that the dew soaks my gauze stockings,]
 let down down water crystal sudare
 So I let down the crystal curtain
 [And I let down the crystal curtain]
 transparent clear look at autumn moon
 And still look on the bright moon shining beyond.
 [And watch the moon through the clear autumn.]

პნკარედებსა და პარაფრაზებს ერთვის მორის ვრცელი კომენტარი:

„Gioku kai (ლექსის პირველი ორი იდეოგრა-მა) აქ ნიშნავს ადგილს, სადაც ცხოვრობენ სეფექალები, და, კერძოდ, იმპერატორის ერთ-ერთი სატროფო. ლექსში საუბარია იმის შესახებ, რომ სეფექალი ამაოდ ელოდა მიჯნურის მოსვლას. ამ ნაწარმოების ხიბლი კი ის გახლავთ, რომ გმირი აშკარად არ გამოხატავს ლოდინს+ წყენას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლექსის თემა სწორედ ამო ლოდინია. დიახ. ლექსის გმირი ქალი სასახლიდან გადის, რათა კართან შეხვდეს მიჯნურს. კიბე შემკულია ძვირფასი თვლებით. ქალი აქ იმდენ ხანს დგას, რომ ღამის ნამი წინდებს უსველებს, შემდეგ კი, იმედდაკარგული, ფანჯრებზე ფარდას ჩამოაფარებს. და კვლავ უყურებს ქათქათა მთვარეს. მას მიჯნურის მოსვლის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან ესოდენ მშვენიერია ღამე; ქალი ასე, ღვიძილში, ატარებს ღამეს“.

ინგლისური ენის ოდნავი სიტლანქისა და არასრულყოფილების გათვალისწინებით, არიგამ, ეჭვკარეშეა, მეტ-ნაკლებად ზუსტად თარგმნა ლექსის ტაქები. პაუნდს მოსწონდა ლექსები, რომელთა დედაზრი გამოხატული იყო ფარული მნიშვნელების მეშვეობით და, აგრეთვე, ჩინური პოეზიის ის თავისებურება, რასაც 1911 წელს „მეტყველი დეტალები“ უწოდა. ამ დეტალების მეშვეობით მკითხველს უნდა ამოეცნო ლექსის სიღრმისეული სემანტიკა. მინიშნებები წარმოქმნის ლექსს როგორც მთლიანობას. ესეში „ჩინური პოეზია“ პაუნდი მოგვიანებით წერდა ამ ლექსის შესახებ: „აქ კონან დოილის როლი უნდა გაითამაშოთ“. „ძველ ჩინეთს“ მან შემდეგი კომენტარი დაურთო:

„აქ ნახსენებია ძვირფასი თვლებით შემკული კიბე. მაშასადამე, იგულისხმება სასახლე; ნახსენებია წყენა, მაშასადამე, არსებობს უკმაყოფილების საფუძველი; ნახსენებია მარამაშის წინდები, მაშასადამე, ლექსის ლირიკული გმირია სეფექალი და არა მსახური; ნახსენებია უღრუბლო შემოდგომა, მაშასადამე, მიჯნურს ავდარი ვერ შეუშლიდა ხელს; ასევე, ქალი დიდი ხნით ადრეა გასული მიჯნურის შესახებდრად, რადგან ნამმა


არა მარტო კიბის საფეხურები გადაათვრა, არამედ წინდები დაუსველა. ლექსის თავისებურება ისაა, რომ გმირი საყვედურს უშუალოდ არ გამოთქვამს“.

ესაა ერთადერთი მეტ-ნაკლებად ვრცელი კომენტარი „ძველ ჩინეთში“.

ფენოლოზას რვეულების გარეშე პაუნდი, რომელიც საკმარისად გათვითცნობიერებული არ იყო ჩინურ კულტურასა და ხელოვნებაში, ვერასოდეს ჩანსწვდებოდა ლექსების საზრისს. ეს უკანასკნელი მჭიდროდ უკავშირდება ჟესტსა და ტრადიციას. ბილინგსი შენიშნავს, რომ „The Jewel Stairs' Grievance“ ემყარებოდა ერთ-ერთ უძველეს ხალხურ მოტივს - გოდებას სასახლეში. იუანის დინასტიის ერთ-ერთი სწავლული განმარტავს: „ამ ლექსებში არც ერთი პერსონაჟი არ გამოთქვამს აღშფოთებას, მაგრამ სტრიქონებს შორის იგრძნობა ფარული წყენა“.

პაუნდის კომენტარის ბოლო წინადადება თითქოს ააშკარავებს პოეტის უჩვეულო ინტუიციას - თუმცა, ესაა მხოლოდ პარაფრაზი მორის სიტყვებისა: „ლექსის ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ გმირი არ გამოხატავს ლოდინს+ წყენას“. წინადადებაზე კრიტიკული გამოცემა გვარწმუნებს, თუ როგორ ცდება ბევრი მეცნიერი, როდესაც ამგვარ პოლომისეულ დედუქციებს პოულობს მთელ „ძველ ჩინეთში“ - მაგრამ აქ პაუნდი უფრო შორს მიდის, ვიდრე - მისი წყაო. მორი არსად ახსენებს სასახლეს, არ აკავშირებს მარამაშის წინდებს სეფექალებთან, არ ამბობს, რომ უღრუბლო ცა მიჯნურის საქციელის ყოველგვარ გამართლებას გამოირიცხავს და არ ასკვნის, რომ ქალი ძალზე ადრე მივიდა პაემნის ადგილას. პაუნდი ადასტურებს, რაოდენ დიდია ინტუიციის ძალმოსილობა.

რედაქტორის შენიშვნები ნათელყოფს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო დანაკარგი, როდესაც ჩინურ ტექსტებს თანმიმდევრობით ამუშავებდნენ მეცნიერი, მთარგმნელი, ფენოლოზა, პაუნდი. მაგალითად, The Jewel Stairs' Grievance ორიგინალში ნეფრიტის კიბეა. ნეფრიტის აღნიშვნელი ჩინური სიტყვა, იაპონურში, ზოგადად, „ძვირფას თვლებს“ აღნიშნავს. ტანის ეპოქაში იაპონელებმა ჩინურიდან გადმოიღეს უამრავი სიტყვა და ზოგჯერ მათი მნიშვნელობები თანდებთან იცვლებოდა. „sudare“- ერთ-ერთი იაპონური სიტყვაა პნკარედებში (და გვაგრძობინებს, რომ ფენოლოზა ცოტათი იაპონელი გახდა). ის აღნიშნავს ბამბუკის ფარდას ან ეკრანს. თუ ტექსტში მოხსენიებულია „სუდარეს ჩამოფარება“, მაშინ, ცხადია, იგულისხმება ფარდა (რაც ჩინური იეროგლიფის ზუსტი თარგმანია). „Crystal“, ალბათ, დედანში აღნიშნავდა „მძივებით ნაქარგს“ - სიტყვას, რომელსაც ბილინგსი იყენებს სე ტიას ადრეული ლექსის თარგმნისას. არ გამოკვირდება, თუკი მუარის აბრეშუმი, რომელსაც მთვარის შუქზე კრისტალური სტრუქ-



ტურა აქვს (მძივებით ნაქარგს ნაავავს), თანამედროვე გამოგონებას არ წარმოადგენს.

ნიგნში შეიმჩნევა სხვადასხვანაირი უზუსტობები, რომელთა გამო პასუხისმგებლობა კუნდოკუს მეთოდს, თვით მთარგმნელებს და თარგმნის ჯაჭვურ მეთოდს ეკისრება. მერფის კანონის თანახმად, ის შეცდომები, რომლებიც შეიძლება დაშვებულიყო თარგმნისას, „ძველ ჩინეთში“ მართლაც იქნა დაშვებული. თანამედროვე იაპონურ ენაში კლასიკური ჩინური ლექსიკის დამახინჯება თვალსაჩინოდ ვლინდება მთარგმნელთა უხეშ შეცდომებში, ფენოლოზას არასწორი სმენითი აღქმისა და პაუნდის მიერ არასწორი ნაკითხვის შედეგად. გარდა ამისა, ნიგნში გვხვდება უამრავი უზუსტობა, სადაც პაუნდი ნებისთ თუ უნებლიეთ, ამახინჯებს ორიგინალს უფრო შთამბეჭდავი პოეტური ეფექტის მიღწევის მიზნით.

მორის და არივას მიერ დაშვებულ ყველაზე ცნობილ ლაფსუსებს შორის აღსანიშნავია „სპილოს ძვლისგან დამზადებული მშვილდის“ ჩინური იეროგლიფების თარგმნა (როგორც ბლინგის შენიშნავს, „მშვილდის ბოლოები, უბრალოდ, შემკული იყო სპილოს ძვლით“). მორიმ და არივამ ეს იეროგლიფი თარგმნეს, როგორც „სპილოს ძვლისგან დამზადებული ისრის ბუნიკი“. ეს არაზუსტი პარაფრაზი პაუნდთან იქცა წინადადებად: „მხედართმთავრებს აქვთ სპილოს ძვლის ისრები“. ასევე, ჩინური სიტყვა *qing* მოიცავს ფერების დიპაზონს ლურჯიდან შავამდე, და, როგორც ერთმა მკვლევარმა აღნიშნა, თავისთავში აერთიანებს

„ცისფერს, ლაჟვარდისფერს, მორუხო ლურჯს, მწვანეს, ლურჯს, მუქ ლურჯს, ბაც ლურჯს, მოლურჯო მწვანეს“ და სხვ. მაგრამ ეს სიტყვა იაპონურში აღნიშნავს „ცისფერს“ და ამგვარადვე იქნა თარგმნილი და პარაფრაზირებული. ამის გამო პაუნდი მოიხსენიებს ცისფერ ბალახს, ცისფერ ლერწამს, უმნიფარ ცისფერ ქლიავს და ცისფერ კარს. მას შეეძლო ცისფერი ძროხების ნახირიც კი გაეტარებინა თავის ერთ-ერთ ლექსში, მაგრამ გადაიფიქრა. უცნაურია, რომ მორიმ ეს უზუსტობები ვერ შეამჩნია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ მხედართმთავრებს შესაძლოა ჰქონოდათ ძვირფასი ალჭურვილობა (აქ შეიძლება გავისხენოთ გენერალ პატონის უჩვეულო კოლტი, რომელსაც სპილოს ძვლის სახელური ჰქონდა - ის იარაღიც იყო და ფუფუნების საგანიც. გარეგნული ბრწყინვალეობა ძალბოსილების გამოხატულებაა), მაგრამ გაურკვეველია, როგორი უნდა ყოფილიყო სპილოს ძვლისგან შექმნილია (სპილოს ეშვები ძალზე მრუდია). სპილოს ძვლისგან დამზადებული ბუნიკი შეიძლება მახვილი იყო, მაგრამ სიმსუბუქის გამო ისეთი ბასრი ვერ იქნებოდა, როგორც - პრინჯაო. საერთოდაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სპილოს ძვლისგან დამზადებული ისრები არ არსებობს. ამასთან, პაუნდის ფანტაზია ანაზღაურებს ჩინური დედნის თარგმანის დაბალ ხარისხს - ზოგჯერ უზუსტობები უფრო ფასეულია, ვიდრე - სიზუსტე.



პაუნდის თარგმანებმა გზა გაუხსნა იმით, ვინც არაფრად ავადებს ზუსტი იმიტაციის სკოლას, თარგმნის დრამისეულ ტრადიციას, მაგრამ ის, აგრეთვე, პასუხისმგებელია იმ თავისუფლების გამო, რომლითაც ეკიდებიან თავიანთ საქმეს გაცილებით ნაკლებად ნიჭიერი მთარგმნელები. საბოლოო ანგარიშში, პაუნდის ფანტაზიებმა განაპირობეს ის, რომ კრისტოფერ ლოვი ტროის ომის აღწერისას ახსენებს ავტომატებს, ვერტმფრენებსა და სპაგეტის.

ფენოლოზას ზოგჯერ კარგად არ ესმოდა არიგას ინგლისური მეტყველება, თუმცა, ამას მეტნაკლებად მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები არ მოჰყოლია. საგულისხმოა ისიც, რომ ფენოლოზას ძალიან გაურკვეველი ხელწერა ჰქონდა. ერთხელ ტომას პინჩონმა პატიება ითხოვა იმის გამო, რომ მის ერთ-ერთ ადრეულ თხზულებაში დიალოგები საშინლად გაჭიანურებულია. მწერლის აღიარებით, ეს სმენის ერთგვარი დეფექტით იყო გამოწვეული. ბევრი რედაქტორი - მათ შორის, ახლახან გამოცემული „რობერტ ფროსტის ჩანაწერების“ კითხვისას - სიმწრისგან თმებს იგლეჯდა, როდესაც ცდილობდა გაერჩია დიდი ხნის წინ გარდაცვლილი პოეტის გაურკვეველი ხელწერა. საბედნიეროდ, ფენოლოზამ შეასწორა თავისი ნაწერები. ამდენად, პაუნდს მათი კითხვა არ გასჭირვებია და თარგმნისას თავი არ უმტვრევია იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს „გემის ნაწლავები“ (ship's intestines). ფენოლოზამ შეასწორა ეს ადგილი და „ცხვრების ნაწლავები“ (sheeps' intestines) ჩაწერა.

თუმცა ფენოლოზას კალიგრაფია ფროსტის ხელწერაზე უკეთესია, მაგრამ მასში გარკვევა მაინც ძნელია. განსაკუთრებით რთულია მოკლე ფრაზების შინაარსის დადგენა, როდესაც მათი კონტექსტი ბუნდოვანია. მთარგმნელისა და პოეტის ერთ-ერთი ყველაზე უარესი ნაკლი - ქედმაღლობაა, მაგრამ იმის გამო, რომ პაუნდს ამგვარი ქედმაღლობა ახასიათებდა (რამაც, მნიშვნელოვანწილად, გამოიწვია მისეულ თარგმანებში დაშვებული უზუსტობები), კრიტიკოსებმა არ უნდა გაკიცხონ ის. ვაპატიოთ ბოლინგს სიამოვნება, რომლითაც ის აკრიტიკებს პაუნდის შეცდომებს. მაგალითად, პაუნდმა, როგორც ჩანს, წაიკითხა „from the West“ როგორც „For the West“ (მოგვიანებით კი პიუ კენერმა როგორც როგორც „further West“), რის გამოც ლექსში მოხსენიებული მოგზაური მცდარი მიმართულებით წაიყვანა. „Sitting“ იქცა „fill full“-ად; Outsiders - Outriders-ად; Housegates - banquets-ად და ა.შ. აი კიდევ უფრო საოცარი უზუსტობის მაგალითი: to no purport იქცა howl portents-ად, რის გამოც პაუნდს მოუხდა გამოეგონა შესანიშნავი, მაგრამ მცდარი შინაარსის მქონე ტაეპი: „For them the yellow dogs howl portents in vain“. ზოგჯერ არასწორი წაკითხვა შემთხვევით ხდებოდა, სხვა შემთხვევებში - გან-

ზრახ, მაგრამ ბოლინგსმა საკმარისი კეთილგონიერება გამოიჩინა და არ განსაჯა მთარგმნელი ამის გამო.

ახდენს თუ არა ზეგავლენას თარგმანის ლირებულეზე ეს უზუსტობები? უმრავლეს შემთხვევებში, არ ახდენს. თუკი თარგმანში მოხსენიებული ერთი დეტალი ისეთივე ეგზოტიკურია, როგორც დედნის შესაბამისი დეტალი, მკითხველი უზუსტობებს ყურადღებას არ აქცევს. მაგალითად, „The River Song“-ის პირველი ტაეპის მორისეული პარაფრაზი ამგვარია: „A (fine) boat of shato wood, with sides of mokuran“, ხოლო moku ran თარგმნილია, როგორც „მაგნოლია“. პაუნდმა, რომელიც ყოველთვის ეძებდა კონკრეტულ დეტალებს - და ეს იყო „A Few Don'ts by an Imagiste“-ის ერთ-ერთი პირობა - ეს სტრიქონი ამგვარად თარგმნა: This boat is of shato-wood, and its gunwales are cut magnolia“. სამწუხაროდ, აქ მნიშვნელოვანი შეცდომაა დაშვებული. მორის მიხედვით, shato არის მრავალწლოვანი მოყვავილე ხე, რომელიც თელას წაავაგეს; მაგრამ სინამდვილეში ესაა წყალგაუმტარი მერქნის მქონე მსხლის ხე, ისეთივე, როგორც ტეპის ხეა. ბოლინგის სტრიქონით, უარესია, რომ ადრეულ კომენტარებში ნინაალმდეგობრივადაა განმარტებული „ნავის ქიმისა“ და „ნიჩბის“ აღმნიშვნელი იეროლიფი, თუმცა უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში მკვლევრები მას „ნიჩბად“ მიიჩნევენ. ამასთან, იმას, შეიძლება თუ არა ნავის ქიმის ან ნიჩბების დამზადება მაგნოლიისგან, არსებითი მნიშვნელობა აქვს მეზღვაურისთვის, მაგრამ არა მკითხველისთვის, რომელმაც არ იცის, რა არის შატოს ხე ან moku ran. თარგმნისას გადამწყვეტი ღირებულება ენიჭებოდა ეგზოტიკას. პაუნდის იმპროვიზებული ფრაზა „იმუშავებს“, თუკი ზღვაში გასვლისას მისი ინსტრუქციებით არ ვისვლმძღვანელებთ (შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც „იმუშავოს“. აქ მხოლოდ ტანის ეპოქის გემთმშენებელი მოგვცემდა სასარგებლო რჩევას).

ბოლოს, თვით პაუნდის თარგმანებში სიტყვების მნიშვნელობათა შეცვლის მრავალფეროვანი და გასაოცარი, ზოგჯერ სრულად დაუშვებელი შემთხვევები გვხვდება (თუკი ვინმე შეუზღუდავად იყენებდა პოეტურ ლიცენციას ოსტატური პოეტური შტრიხის შესაქმნელად, ეს, რა თქმა უნდა, პაუნდი იყო). მაგალითად, მან არ იცოდა, როგორი იყო მდინარის აღმნიშვნელი ჩინური იდეოგრამა და დაწერა „River Kiang“, ესე იგი, „River River“. ბოლინგსი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ მდინარის სახელწოდების ჩასმა ორსიტყვიანი სინტაგმის ბოლო პოზიციაში უცხოა თანამედროვე ამერიკული ინგლისურისთვის. მართალია, ბოსტონში აქამდე ამბობენ the River Charles, მაგრამ ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა River Hudson, River Potomac - მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ აღარ გამოიყენება, ისეთ კონსტრუქციებთან ერთად, როგორებიცაა Wash-



ington City და City of Mexico.

პაუნდისთვის პნკარედები და პარაფრაზები თანაბარი ღირებულებისა იყო. მაგალითად, ლექსში „The River-Merchant’s Wife: A Letter,“ ის აერთიანებს ისეთ იეროგლიფებს, როგორებიცაა ride on, bamboo და horse - პარაფრაზის მეშვეობით: „You came by on bamboo stilts“ და წერს: „You came by on bamboo stilts, playing horse“. ყოველთვის მეგონა (როგორც ჩანს, არც ისე უსაფუძვლოდ), რომ ეს სტრიქონი იდუმალი იყო. „ბამბუკის ცხენის“ - ესე იგი, სათამაშო ცხენის - აღმნიშვნელი ჩინური იეროგლიფები იაპონელებმა ისესხეს „ბამბუკის ოჩოფეხების“ აღსანიშნავად. ამიტომ მორიხი სტრიქონი ინტერპრეტაცია, უბრალოდ, მცდარია. ამასთან, პაუნდი, თავისი უმეტესობის წყალობით, ზოგჯერ პნკარედისა და პარაფრაზის ბრწყინვალე ნაზავს ქმნიდა. „ძველი ჩინეთის“ ბევრი შიამბეჭდავი სტრიქონი არ გვექნებოდა, პაუნდს რომ მეტი სიფრთხილე, მეტი სიზუსტე გამოეჩინა.

ტ.ს. ელიოტმა თქვა, პაუნდმა ჩინური პოეზია შეთხზაო. ძველ ჩინურ პოეზიას. ალბათ, ალბათ, ადრე თუ გვიან სხვაც თარგმნიდა, მაგრამ პაუნდი არაზუსტი თარგმანის მიუხედავად (ან მისი წყალობით) ალღოთ გრძნობდა ლექსების დედააზრს. სიზუსტის მომხრე ვერც ერთი მთარგმნელი ვერ შეძლებდა ორიგინალის სიღრმის წოდომას ისე, როგორც ეს პაუნდმა შეძლო. მართალია, თარგმნის პაუნდისეული მეთოდი ექსცენტრიკული და თვითნებური, მაგრამ სწორედ მან აქცია ტანის ეპოქის პოეზია ცოცხალ პოეზიად. ის, თუ როგორ გაიაზრა პაუნდმა მორის ინტერპრეტაციები, ააშკარავებს მის უჩვეულო შეხედულებას რედაქტირების შესახებ - და ათი წლის შემდეგ პაუნდმა „უწყალო მინის“ ნედლ მასალაში განჭვრიტა (ისევე, როგორც მიქელანჯელო ჭურჭლად მარმარილოს სვეტში), ფიგურა, რომელიც იქიდან გამოსვლას ლამობდა.

„ძველი ჩინეთის“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ლექსი ჩინურ პოეზიას არ მიეკუთვნება. მრავალი წლის წინ პაუნდმა თარგმნა „The Seafarer“ - ანგლოსაქსური პოეზიის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, რომელიც შემონახულია ვერჩელის კრებულში. მეათე საუკუნის მეოცე ნახევარში გადაწერილი ხელნაწერი თითქმის ათასი წლის განმავლობაში იყო დაცული ქალაქ ვერჩელის Biblioteca Capitolare-ში. პაუნდმა ეს ლექსი ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას თარგმნა და, ბილინგვის თქმით, ხშირად იყენებდა პნკარედებს, ისევე, როგორც შემდგომში - ძველი ჩინური პოეზიის თარგმნისას. ლექსის ოცზე მეტი სტრიქონი მან გვიანდელ ქრისტიანულ ჩანამატებად მიიჩნია (პოლემიკა სეკულარული და ჰომილეტიკური პასაჟების შესახებ, რომელიც და-

ინყო პაუნდის დაბადების წელს, დღესაც ვრძელდება).

პაუნდის თარგმანი გამოქვეყნდა „The New Age“ -ში 1911 წელს, სამი წლით ადრე, სანამ „ძველ ჩინეთზე“ მუშაობას დაიწყებდა. მისი მეთოდი მდგომარეობდა ანგლოსაქსური პოეზიის ორტაქტიანი ნახევარტაქებისა და ალიტერაციული სტრიქონის იმიტირებაში. პაუნდისეული თარგმანი ზოგჯერ არ ემთხვევა ძველინგლისურ მნიშვნელობას, მაგრამ ძველი ლიტერატურული სტილი მასში ყველაზე უფრო ზუსტადაა იმიტირებული:

May I for my own self song’s truth reckon,
Journey’s jargon, how I in harsh days
Hardship endured oft.
Bitter breast-cares have I abided,
Known on my keel many a care’s hold,
And dire sea-surge, and there I oft spent
Narrow nightwatch nigh the ship’s head
While she tossed close to cliffs. Coldly afflicted,
My feet were by frost benumbed.

ასე იწყება თარგმანის ოთხმოცდაცხრამეტი ტაქტი, „მეტრონომისებრი საზომით“ (როგორც ბერიმენმა თქვა ლოუელის ადრეული ლირიკის შესახებ), მკვეთრი უწყვეტი ალიტერაციებით და ძველი ინგლისური სინტაქსის მსგავსი ნივით. პაუნდისეული თარგმანი - მიახლოებითია, დედნის მნიშვნელობისგან გადახრილი და გენიალურად გაყალბებული. სიზუსტეს აქ პოეტურობა ენაცვლება (ბილინგსი საგულდაგულოდ აღნიშნავს პაუნდის ძალულ გრიმასებს). ფანტაზიის გავლენით შეიძლება სტილიური კონსტრუქცია განადგურდეს, მაგრამ პერფორმანსი ძლიერ მხარედ რჩება. სამწუხაროა, რომ პაუნდმა არ მიმართა ამგვარ მანერას, როდესაც თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა „ბრძოლა ბრუნან-ბურგთან“, ფრადმენტი, ბრძოლა ფინსბურგთან“ ან ბეოვულფის ვრცელი ნაწყვეტი. დედანთა დეფორმაციები იშვიათადაა თვითმიზნური და არასოდესაა ჭარბი. როდესაც ის „benumbed“-ს წერს „bound, fettered“-ის ნაცვლად და „scur“-ს „showers“-ის ნაცვლად, ეს სხვა არაფერია, თუ არა არქაიზების შესანიშნავი ნიმუშები.

პაუნდი ხშირად იყენებდა (გასაოცარი ეფექტით) კალკებს, ესე იგი, ზუსტ, მაგრამ არადიომურ თარგმანს, ან, უფრო ზუსტად, ბილინგსის თქმით, „ეგზოტიკურად ზედმინეწით თარგმანს“, რაც სასონარკვეთილებაში ავდებდა სიზუსტის მომხრე მთარგმნელებს. ის, რასაც ბილინგსი უწოდებს გამოგონილ კალკებს („ისეთ ფრაზებს, რომლებიც წარმოქმნის „ზუსტი“ თარგმანის ილუზიას“), ბრწყინვალედ გადმოსცემს ინტონაციას ან განწყობილებას. ხშირად ეს კეთდებოდა ფრაზის ხატოვანების ან მისი „გაცოცხლების“ მიზნით:

3. ეს ხერხი შეიძლება მივიჩნიოთ ნაირსახეობად „გაუცნაურების“ მხატვრული ხერხისა, რომელიც შემუშავებს რუსმა ფორმალისტებმა (მთარგმნ.).

ლი ბოს ლექსის თარგმანში „Lament of the Frontier Guard,“ „trees drop leaves“-ის ნაცვლად ვკითხულობთ „trees fall“, ხოლო „The Seafarer“-ში გვხვდება „cseras“ („იმპერატორები“), „Caesars“-ის ნაცვლად.

უფრო რადიკალური მეთოდი, რომელსაც ბილინგსი „ჰომოფონურ სუბსტიტუციას“ უწოდებს, ემყარება მსგავსი ბგერითი შედგენილობის მქონე სიტყვების ურთიერთშენაცვლებას. ამ ხერხს პაუნდი ვირტუოზულად იყენებს, თუმცა მის თარგმანებს ხშირად აკრიტიკებენ. მაგრამ ბეოვულფისა და მის თანამოდმეთა უფონური, ბრიყვეული თარგმანები სხვა რამეს მოწმობს.

ჰომოფონური სუბსტიტუცია, რომელიც ფართოდ გამოიყენება „მეზღვაურის“ პაუნდისეულ ვერსიაში, ააშკარავებს, რომ ზოგჯერ ნაყოფიერია ორიგინალისგან გადახრა და თეატრალური ეფექტის მქონე დევიანტური ტექსტის შექმნა ზუსტი დედაზრის უგულბეულობის ან შეცვლის მეშვეობით. რედაქტორის ალტაცებული შენიშვნები ააშკარავებს, რომ დიდი პოეტი თავის ტალანტს ნაყოფიერად იყენებდა და ბრწყინვალე თარგმანები თითქმის ყოველთვის სწორედ პოეტთა ნახელავია. „The Seafarer“-ში პაუნდი ხშირად მნიშვნელოვან ცვლის ორიგინალს „benumbed“ „gebunden“-ის ნაცვლად; „care's hold“ „cearselda“-ს ნაცვლად, ისე, რომ თარგმანში შენარჩუნებულია უხეში ანგლოსაქსური მანერა და ჭეშმარიტი დედაზრი ხშირად იმალება ბუკვალური დედაზრის საფარქვეშ. ამ ლექსში, რომელშიც აღწერილია მეზღვაურის ცურვა ცივ ამინდში (ან - ცურვა მეტაფორულ ზღვაში, წარმოსახული ნაპირებისკენ), ის ზოგჯერ უფრო ღრმად სწვდება ანგლოსაქსონურ პოეზიას, ვიდრე სარკისებრ ზუსტ თარგმანში მოხდებოდა.

არ ვეთანხმები რედაქტორის მხოლოდ ერთ შენიშვნას იმ ნახევარტაეპის შესახებ, რომელიც პაუნდმა ამგვარად თარგმნა: „Corn of the coldest“ („სიმინდის ყინულოვან მარცვლებად“). დედანში ტაეპი ასე გამოიყურება: *h gl foll on eor an, / corna caldast*. ბილინგსი შენიშნავს: „როგორც ჩანს, პაუნდს „მარცვლები“ წარმოედგინა, როგორც პატარა მყარი ნაწილაკები, მაგალითად, ქვიშის ან მარილისა. მაგრამ შესაძლოა, სიტყვა „მარცვლები“ მისთვის ასოცირდებოდა არა ინგლისელთა წარმოდგენასთან მარცვლების შესახებ (პურის ან შერიის მარცვლები), არამედ ამერიკულ სიმინდთან, რომლის მარცვლები ძალზე წაავსებს სტყვიის მარცვლებს.

კლასიკური თარგმანი ხშირად მოითხოვს პოეტურ გადახრას, რათა შეიქმნას ორიგინალური, მკითხველთათვის გაუმჭვირვალე, და, იმავდროულად, დედნისგან განსხვავებული ტექსტი, რომელიც ორიგინალად აღიქმება მკითხველთა ან მსმენელთა მიერ. თუკი მკითხველს არ მოეწონება თარგმნის პაუნდისეული მანერა, მას, ალ-


ბათ, ალტაცებას განაცდევინებს მისი უზომო გაბედულება.

„The Seafarer“-ში პაუნდი სცილდება ორიგინალს და წერს: „There storms beat on the stone cliffs, there the icy-feathered sea-swallow answered them“, იმის ნაცვლად, რომ დანეროს „Storms, on the stone-cliffs beaten, fell on the stern/ In icy feathers“. აქ ორიგინალისგან გადახრა საპატივებელია, თუკი გავიხსენებთ, რომ „stearn“ და „stern“ ზღვის მერცხლის (tern) ანგლოსაქსური სახელწოდებები იყო. შენაცვლება კარგი პოეზიის სასარგებლოდ ხდება. თვით პაუნდის სახელგანთქმული უხეში შეცდომა, როდესაც მან „cities“ შეუნაცვლა „berries“, კრიტიკას მაინც არ იმსახურებს და ბილინგსი მარჯვე არგუმენტებს წარმოგიდგენს ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ (ანგლოსაქსური სიტყვები იყო *byrig* და *brige*) - პნკარედი, რომელსაც პაუნდი ეყრდნობოდა, მცდარი გახლდათ. მაგრამ პოეტის მიერ „English“-ის ჩანაცვლება „aungels“-ით (*englum*) გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვივარაუდებთ, რომ პაუნდს სურდა ლექსის განწმენდა ქრისტიანული ჩანართებისგან. სემ ჯონსონმა ეს ქილეს ბუნდოვანი თარგმანის შესახებ შენიშნა: „ჩვენ უნდა შევფასოთ მის იმგვარად, როგორც ვაფასებთ ინგლისურ პოეზიას; მხოლოდ ასე შეიძლება განესაჯოთ თარგმანის ღირსებები“. ეს დიდებული პიროვნება მოგვიანებით რომ დაბადებულიყო, ალბათ, იმავეს იტყოდა პაუნდის „ძველი ჩინეთის“ შესახებ.

მკვლევრები, რომლებისთვისაც მიუწვდომელი იყო ფენოლოზას ჩანაწერები ან რომლებმაც ნახეს ისინი, მაგრამ ვერ შეაფასეს მათი მნიშვნელობა, დაუსჯელნი როდი დარჩნენ. ბილინგსი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ჩინურ ენასა და პალეოგრაფიას, მასხრად იგდებს ამგვარ ამპარტავან მეცნიერებს.

თუკი ისეთმა თვალსაზრისით მეცნიერმა, როგორც რონალდ ბუში იყო, „drum“ ტრანსლიტირებისას ჩანერა როგორც „dream“, რადგან არ იცოდა, რომ ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობა *gu* (დოლი), ხოლო პიუ კენერმა ნაიკითხა „red /of beni“ როგორც როგორც „red / (of berry)“, რადგან არ იცოდა, რომ *beni* იაპონურად „ფერულ მარილს“ ნიშნავს, რატომ უნდა დავადანაშაულოთ ფენოლოზა იმის გამო, რომ ხელწერა არ უვარგოდა?

„რა თქმა უნდა, - შენიშნავს რედაქტორი, - კარგი იქნება, ცოტათი მაინც ვიცოდეთ ჩინური, როდესაც ვეცნობით გამოკვლევას ჩინური პოეზიის შესახებ და, ასევე, ცოტათი ვიცოდეთ იაპონური, თუკი გამოკვლევების ავტორი იაპონურ ლიტერატურას განიხილავს“. ბილინგსის კომენტარი უზუსტობების შესახებ, სადაც ციტირებულია სხვა კრიტიკოსთა მცდარი მოსაზრებები (ზოგჯერ ერთის შეცდომა ბიძგს აძლევს სხვის მცდარ



დასკვნებს) - ამ წიგნის ყველაზე უფრო სევდიანი და ყველაზე უფრო სახალისო ნაწილია.

წინამდებარე კრიტიკული გამოცემის უდიდესი აღმოჩენაა ის, რომ პაუნდმა თარგმნისას რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. თარგმნის მისეული მეთოდები საკამათოა, მაგრამ მას დაშვებული აქვს მხოლოდ მცირერიცხოვანი შეცდომები და ზოგიერთ მათგანს შეიძლება მხატვრული ხერხიც კი ვუწოდოთ (ერთმა მეცნიერმა მხოლოდ რვა ფაქტობრივი შეცდომა აღმოაჩინა „The Seafare“, -ში - ვრცელ ლექსში, რომელსაც ხშირად კიცხავდნენ აკადემიური ორიენტაციის მკვლევრები). პაუნდის უპირატესობაა ის, რასაც ოდესღაც „სწორი უმარტოებულო სიტყვა“ ვუწოდებ. ის ზოგჯერ გენიალურ შეცდომებს უშვებს, მაგრამ, სამაგიეროდ, გადაჰყავს თარგმანი ახალ ტერიტორიაზე, რათა პედანტიზმის საფრთხეს აარიდოს თავი.

კარგი თარგმანი წააგავს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას მტრულად განწყობილ ორ მეზობელს შორის, ბრწყინვალე თარგმანი კი - მათ ომს. „ძველი ჩინეთის“ თარგმნიდან გასული ასი წლის განმავლობაში (ძნელად თუ იპოვიდით ამ პერიოდის განმავლობაში მთარგმნელს, რომელიც თუნდაც ერთ სიტყვას ვერ იტყოდა იმ ენაზე, რომელსაც ებრძოდა), არც ისე მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული (უფრო გვიანდელი ჰომოფონური თარგმანები, მაგალითად, კატულუსის თარგმანი ლუის და სელია ზუკოვსკების მიერ, უმეტესად, უვარგისია). არცერთი არ იყო იმდენად სრულყოფილი, როგორც „ძველი ჩინეთი“ - და ამის მიზეზი მათში დამშვებული უზუსტობები როდია. არცერთმა მათგანმა არ ჩავახედა ძველ სამყაროში ისე უშუალოდ, თუმცა კი არასრულყოფილად, როგორც - პაუნდმა. შესაძლოა, პაუნდის წარმოდგენა მეთურამეტე საუკუნის ჩინეთის შესახებ იმაზე უფრო ზუსტი არ ყოფილა, ვიდრე მისი ფანტაზიები მეთორმეტე საუკუნის პერიოდის შესახებ, მაგრამ თარგმნის ხელოვნებაში მას ვერავინ გაუტოლდა.

პოეტებად უნებურად და შეცრად ვერ გადაიქცევიან. პოეტები კიბორჩხალასავით მოძრაობენ, ხან წინ მიიწევენ, ხან კი უკან ბრუნდებიან. მათი ტალანტი ზენიტს აღწევს იდუმალი, თანდათანობით ევოლუციის მეშვეობით, რომელსაც სტივენ ჯეი გულდმა პროგრესულ-რეგრესული ეკვილიბრისტიკა უწოდა. 1911 წელს დაწერილი „The Seafarer“ პაუნდის წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ; „In a Station of the Metro“, რომელიც პაუნდმა მომდევნო წელს დაამთავრა, კიდევ ერთი ამგვარი ნაბიჯი იყო; მაგრამ დახვეწილი ოსტატობა გოდებისა და სიყვარულის, ეჭვებისა და ვარაუდების სცენებში, რომლებსაც ვეცნობით „ძველ ჩინეთში“ შეტანილ ისეთ ლექსებში, როგორებიცაა: „The River-Merchant's Wife: A Letter“, „Song of the Bowmen of Shu“,

„Lament of the Frontier Guard“, „Exile's Letter“, სხვა არაფერია, თუ არა გიგანტური ნახტომი ისტორიის ფართო თვალსაწიერისკენ, ურთიერთგანსხვავებული ენების ხმაურისკენ, ფერწერული ლანდშაფტებისკენ და მკვეთრი დეტალებისკენ, რომლებიც ახასიათებდა მის პოეზიას „ძველი ჩინეთის“ შემდეგ. ამ წიგნმა აჩვენა, როგორ უნდა შევიჭრათ ერთ სამყაროში მეორის ლიტერატურის მეშვეობით. პაუნდი აქ ჯერ კიდევ არ წარმოგვიდგება იმ პოეტად, რომლადაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა - 1910 წლის პაუნდი და 1920 წლის პაუნდი, ალბათ, ვერც კი იცნობდნენ ერთმანეთს და ამაში პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანილად, „ძველ ჩინეთს“ ეკისრებოდა.

რა მოხდებოდა, მისის ფენოლოზა ქმრის გადაცვალების შემდეგ ამერიკაში რომ დაბრუნებულიყო და მისი დოკუმენტები მტვრიან არქივში შეენახა? რა მოხდებოდა, პაუნდი საფრანგეთში 1912 წელს (და არა 1920 წელს) რომ გამგზავრებულიყო, მედიევისტად დარჩენილიყო და გეორგიანელების წინააღმდეგ ებრძოლა? რა მოხდებოდა, რომ დაკარგულიყო 1912 წელს ჰარიეტ მონროს მიერ პაუნდისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის ინვევად ამერიკელ პოეტს, ემუშავა „Poetry“-ში? რა მოხდებოდა, რომ 1913 წელს პაუნდი არ შეხვედროდა ფროსტს, რომელიც პაუნდის მხრივ ნახალისების გარეშე მარტოოდენ „A Boy's Will“-ის ავტორად და ახალი ინგლისის წვრილ ფერმერად შეიძლება დარჩენილიყო? რა მოხდებოდა, რომ 1914 წელს ჩამილიყო ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში და მსოფლიო ომი გადავადებულიყო? რა მოხდებოდა, ელიოტს პაუნდი რომ არ გაეცნო, ოქსფორდში დასახლებულიყო, შემდეგ კი ამერიკაში დაბრუნებულიყო (რასაც ომი ხელს არ შეუშლიდა) ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის დასაცავად და ფილოსოფია ესწავლებინა პარვარდში? შესაძლოა, ის შეთხზავდა რამდენიმე კატრენს სამხრეთ ბოსტონის უცნაურ მკვიდრთა შესახებ, მაგრამ არასოდეს დაქორწინდებოდა ვივიენ ჰაი-ვუდზე, არასოდეს დაიტანჯებოდა ნევრასთენიული კოლაფსით, არასოდეს დანერდა „უნაყოფო მიწა!“ რა მოხდებოდა, უილიამს პაუნდი და ელიოტი რომ არ გაეცნო? პაუნდის იმპაუსტური ლექსების გარეშე, ელიოტის კრიტიკის გარეშე, უილიამსი მხოლოდ დროდადრო დანერდა უმნიშვარ ნაწარმოებებს თავის რეცეპტების წიგნაკში და პატარა ქალაქის პედატრად დარჩებოდა. მოდერნისტული ხანძარი ჩაქრებოდა ან არასოდეს გაჩაღდებოდა.

ტიმოთი ბილინგსმა მოამზადა შესანიშნავი გამოცემა წიგნისა, რომელმაც ხელახლა აღმოაჩინა ორი სამყარო და შვა თანამედროვე პოეზია.

ლექსო ლობჯანიძე

ლიტერატურა შავი დღისთვის

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო

ქართული ხალხური ანდაზა

კაენი: შენს უფალს სისხლი მეტად უყვარს! გაფრთხილდი აბელ, რომ მან ეს სისხლი არ მიიღოს დღეს აქ ზედმეტი.

ჯორჯ გორდონ ბაირონი, „კაენი“

ნეტარ არიან ამბოხებულნი,

რამეთუ მათი არს ამა ქვეყნის სასუფეველი

ყოზე სარამაგუ, „კაენი“


ფრანგი ფილოსოფოსი როლან ბარტი ნაშრომში S/Z ინტერპრეტაციაზე, როგორც ტექსტის მრავლობით ნარმონაქმნზე საუბრობს და ამბობს, რომ ის სრულიადაც არ ნიშნავს ტექსტის თავისუფალ გააზრებას. „აქ საუბარია არა იმაზე, რომ ვალია-როთ ესა თუ ის აზრი და დიდსულოვნად ვცნოთ, რომ ყოველი მათგანი, გარკვეულწილად, ჭეშმარიტია, არამედ იმაზე, რომ ყოველგვარი გულგრილობის გარეშე დავადასტუროთ სიმრავლის არსებობა, რომელიც არ შეადგენს სავარაუდო და შესაძლო ჭეშმარიტებათა ჯამს“, - წერს ფილოსოფოსი და გამორიცხავს რა ინტერპრეტაციისა და ჭეშმარიტების ურთიერთობას, განმარტავს, რომ ინტერპრეტაცია არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ დადასტუროს საკუთარი თავის სიმრავლე. თუ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გაბატონებულ ამ ჰერმენევტიკულ წესს დაუჯერებთ, სრულიად გამართლებული იქნება მოცემულ წერილში ჩემი მსჯელობა ქართველი მწერლის, ერლომ ახვლედიანის მოთხრობით, „შურიანი კაცის ამბავით“ დავიწყო და იმაზე მეტი ვთქვა, ვიდრე, შესაძლოა, თვითონ ამბობდეს საკუთარ თავზე, რადგან, ჩემი აზრით, ის იმ ტექსტთა შორის იმსახურებს ყოფნას, რომლებშიც, გადამერისეულად თუ ვიტყვით, აზრობრივი პროცენტზე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის, რაც მათ ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ერლომ ახვლედიანი ამ მოთხრობაში ერთი შურიანი კაცის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც გარშემო ყველაფრის შურდა: „დებოდა და დანოლისა შურდა, თვალს გაახელდა და თვალის დახუჭვისა შურდა, მარჯვნივ გაიხედავდა და მარცხნივ გახედვისა შურდა. ეს, ერთი შეხედვით, პარანოიდული შური იქამდე გრძელდება, სანამ თვითონ შურის არ შეშურდება და მასზე შურისძიებას არ გადაწყვეტს. ამის შემდეგ ტექსტის მთავარი პერსონაჟი იმის ბაძვას იწყებს, რისიც შურს. ბოლოს მას ხის შეშურდება. მონახავს ადგილს, სადაც ხის მსგავსად დადგება და ფესვებს გაიდგამს. „ახლაც იქ დგას შურისაგან დამცხრალი შურიანი კაცი. დგას და შრიალებს“ - ასე ამთავრებს მოთხრობას ქართველი მწერალი და მკითხველს იმედაცარუებულს ტოვებს, რადგან ტექსტი ენითა და ფორმით იგავურია,

მინიმალზმით დიდაქტიკურს ჰვავს, დიდაქტიკური ტექსტები კი გევასწავლიან რა დამართათ მათ, ვინც ეშმაკს ჰყავდა შეყვრობილი, ვინც ბოროტი იყო და კეთილს ებრძოდა, ერთი სიტყვით, ვისაც შურდა, თუმცა, ამის ნაცვლად, მოთხრობის ფინალმა ერთგვარ მარადიულ ანემიკოში გამოგვამწყვდია, რომლიდანაც თავის დასალწევად მხოლოდ ორი საშუალება არსებობს: ან უბრალოდ უნდა დავგმთ შური და მოვკლათ ლიტერატურა, ან უნდა ვთქვათ, რომ ხის მსგავსად შურიანი კაცის ფესვების მიწაში გადგმა შურის ბუნებით სანყისებზე მინიშნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩვენში ძევს, ის ბუნებრივად გვახასიათებს, თანდაყოლილი და არსებობის იმპლიციტურია. ტექსტის დასასრულით კი ადამიანი ბუნების ნაწილი ხდება, ის ჰარმონიულად ერწყმის მას და ასე გრძელდება სიცოცხლე.

შური, ალბათ, ადამიანის ტოლია. რელიგიურად თუ შეხედვით, ის ადამიანზე დიდიც შეიძლება იყოს. ლათინურ ენაში არსებითი სახელი *invidia* არსებობს, რომელიც ერთდროულად ნიშნავს ეჭვს, დანანებას, ბოროტ განზრახვას, ზიზღს, სიძულვილს და ა.შ. ამ სიტყვიდან წარმოიშვა ლათინური ზმნა *invidere* რომელიც ვინმეზე აღმაცერად, ბოროტად ყურებას ნიშნავს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „შურს“ ანტიკურობიდანვე ჰქონდა ის ნეგატიური მნიშვნელობა და კონტექსტი, რა სახითაც დღეს ჩვენ ნინაშეა.


შურს, როგორც ერთგვარ ემოციურ კომპლექსს, რომელიც სოციალურ ურთიერთობებში გლინდება, ამერიკელი პოეტისა და პუბლიცისტის, ედვარდ მაკ სანდერის აზრით, შინაპირობა აქვს. ფსიქოლოგი ნიგნში „შური და ეჭვიანობა კლასიკურ ათენში“ წერს: „იმისათვის, რომ შური არსებობდეს, სამი გარემოებაა საჭირო: 1) ობიექტი უნდა ფლობდეს სხვა ობიექტი 2) მე, როგორც სუბიექტს, არ უნდა მქონდეს ეს ობიექტი და 3) ეს სიტუაცია არასწორი, არასამართლიანი უნდა იყოს.“ სანდერის ეს მართებული შენიშვნა შურის ნინაპირობის ერთგვარი ფორმულაა, რომელსაც ადამიანური, პოლიტიკური თუ ლიტერატურული ურთიერთობები ეყარება. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ცხოვრებაში, ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, სადაც შურს



ყოველთვის დიდი ადგილი უკავია, დავინახავთ, რომ ყველაფერი რალაცის ან ვილაცის არქონისა და არ-ყოლის საკითხამდე დაიყვანება. „ადამიანებს ბუნე-ბით აქვთ მინიჭებული მეგობრობისადმი მიდრეკი-ლება, რადგანაც ერთმანეთი სჭირდებათ. ისინი ერ-თმანეთს იბრალებენ და ხელშეწყობით ერთმანე-თისათვის სარგებლობა მოაქვთ და რაკი ეს უმთო, ერთმანეთის მიმართ მაღლიერებითაც არიან გამ-სჭვალულნი, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ მტრობისა-კენ მისწრაფებაც აქვთ თანდაყოლილი, რადგან, თუ რაიმეს მშვენიერ და ამავე დროს სასიამოვნო საგ-ნად ჩათვლიან, მის გამო ბრძოლას იწყებენ, ხოლო თუ ამ საგანზე სხვადასხვა აზრი გაუჩნდათ, ერ-თმანეთს უპირისპირდებიან. ჯიბრი და რისხვა სწო-რედ რომ მტრობის მაუწყებელია, მომხვეჭელობის სიყვარულიც შულლსა და ქიშპობას იწვევს, ხოლო

შური მუდამ ზიზღის საბაბი ხდება“ - შენიშნავდა ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე.

არანაკლებ საინტერესო მოსაზრება აქვს არ-ტურ შოპენჰაუერს. ის მცირე თხზულებათა კრე-ბულში, რომელსაც „ცხოვრების ამაოება და სიმწა-რენი“ ჰქვია, შურის ბუნებრივ სანყისებზე მიუთი-თებს და მას სიამოვნებას უწოდებს. შოპენჰაუერი ამბობს, რომ ეს მანკიერება ადამიანთა ბედნიერე-ბის მტერია და ამ სასიამოვნო აქტის მოკლება მისი მოსალოდნელი შედეგების შიშით უნდა მოვახერ-ხოთ: „არასდროს სიძულვილი არაა ისე შეურიგებე-ლი, როგორც შური. ამიტომ ძალიან ნუ შევეცდებ-ბით მის გაღვივებას ადამიანებში. პირიქით, ეს სია-მოვნება უნდა მოვიკლოთ, როგორც ბევრი სხვა მოგვიკლია; უნდა მოვიკლოთ მისგან მოსალოდნე-ლი შედეგების შიშით.“



ძვ.წ. მე-4 საუკუნეში არისტოტელე „რიტორიკაში“ შურს, როგორც სხვისი იღბლით გამოწვეულ ტკივილს, ისე განმარტავს: „გვშურს იმით, ვინც სწრაფად მიიღო ის, რაც ჩვენ დაბრკოლებებით ან საერთოდ ვერ მივიღეთ“. არისტოტელეს აზრით, მოხუცებს ახალგაზრდების შურთ. ვინც ბევრი დახარჯა რაიმე საგნის შესაძენად, იმას შურს მისი, ვინც ცოტა დახარჯა იმავე საგნის შესაძენად. თუმცა ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ შურისთვის ორი გარემოებაა საჭირო: შურის ობიექტი ცოცხალი, არსებული უნდა იყოს და სუბიექტს უნდა ჰგავდეს. ამის ნათელსაყოფად იგი ჰესიოდეს სიტყვებს იმეულებს: „მექოთნეს მექოთნისა შურს“.

საკუთრივ ანტიკურ ლიტერატურაში სამი უმთავრესი ციკლი არსებობს. ესენია: თებეს ციკლი, არგონავტიების ციკლი და ტროას ციკლი.

თებეს ციკლი თებეს მეფის, ლაიოსისა და მისი შვილის, ოიდიპოსის საკითხს ეხება, სადაც ფატალური წინასწარმეტყველება აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ოიდიპოსი ანაგნორისამდე შემთხვევით კლავს მამას, ცოლად ირთავს დედას და შემდეგ ივებს ჭეშმარიტებას. თუმცა საგვარეულო უბედურება ამით არ მთავრდება. ოიდიპოსის ვაჟიშვილები ძალაუფლების გამო ერთმანეთს ბრძოლაში კლავენ.

შურის ცნება ფიგურირებს არგონავტიების ციკლშიც, რომლის მიხედვითაც კოლხეთში ვოიაჟის შემდეგ მედეა და იასონი კორინთოში დასახლდებიან. ანტიკურობის გამორჩეულმა ტრაგიკოსმა ევრიპიდემ, არგონავტიების ციკლზე დაფუძნებით, მედეას მრისხანე და შემზარავი სახე შემოგვთავაზა, რომლითაც ის ლიტერატურის ისტორიას შემოირჩა. ევრიპიდესთან ლალარტისგან გამოწვეული ტკივილის გამო მედეამ კორინთოს მეფე, მისი შვილი და საკუთარი შვილები დახოცა. არისტოტელე წერს, რომ შურს იწვევს ისიც, როცა სხვები ფლობენ ან შეიძინენ იმას, რაც ჩვენ შეგვფიცის ახლა ან რაც ოდესღაც გვეკონდა. მართლაც, მედეას შურს კორინთოს მეფის ასულის, რადგან მას აქვს ის, რაც მედეას ჰქონდა და თან უფრო შეეფერებოდა.

რაც შეეხება ტროას ციკლს, ცნობილია, რომ ტროას ომი ე.წ. განხეთქილების ვაშლის გამო დაიწყო. ოქროს ვაშლი წარწერით „ულამაზესს“ განხეთქილების ქალღმერთმა ერიდამ პელევსისა და თეტისას ქორწინებაში შეაგდო, სადაც იმყოფებოდნენ ქალღმერთები: ჰერა, ათენა და აფროდიტე. ცხადია, რომ ჰერასა და ათენას აფროდიტის სწორედ იმის გამო შეშურდათ, რომ ის დაეუფლა ვაშლს, მან მოიპოვა აღიარება მშვენიერებაზე. მშვენიერება კი ის კატეგორიაა, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება ადამიანებში შურის დასაბამი.

შურის, როგორც ცოდვის ანუ მისი რელიგიური პრიზმიდან განხილვის თავის არიდება, ერთი მხრივ, აისტორიული გადანყვეტილება იქნება, მეორე მხრივ კი დიდი შეცდომა, რადგან მსოფლიო ლიტერატურას ამით ერთ დიდ საყრდენს გამოვაცლით. რელიგიურად, შური შიდა მომაკდინებულ ცოდვთაგან ერთ-ერთია. ის სიას 590 წელს რომის პაპმა, გრიგოლ I-მა დაამატა, რომელსაც მთელი შუა საუკუნეების ეთიკა-ესთეტიკა და დანტეს „ღვთაებრივი

კომედია“ დაეფუძნა. ამ მხრივ, შურის ცოდვას უველესი ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ იქამდე არსებობდა, სანამ ცოდვა იარსებებდა. ის პოტენციური ცოდვა და ქცევა იყო. საღმრთო წერილის თანახმად, ერთ-ერთმა ანგელოზმა ვერ აიტანა უფალთან სიახლოვე, მისი მორჩილება. სურდათ თვითონ გამხდარიყო უზენაესი არსება. ანგელოზს უფლის შეშურდა, რის გამოც ზეციდან გამოდევნილ დაისაჯა.

ამის შემდეგ, შურის მოტივს შესაქმის თავი ეხება, რომლის მიხედვითაც უფალმა ადამსა და ევს უბრძანა, რომ ერთის გარდა ნებისმიერი ხის ნაყოფი ეჭამათ. ადამიც დაემორჩილა ღვთის ნებას, მაგრამ დემონს, რომლის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შური იქცა, ახლა იმ კაცისა შეშურდა, რომელიც ყველა სიკეთეს ფლობდა.

შურის მესამე გამოვლენება ბიბლიაში კაენისა და აბელის ეპიზოდია. სამოთხეში ჩადენილი ცოდვა თავისი დამლუპველი შედეგით გამოჩნდა კაენში, ედემს გარეთ დაბადებულ პირველ ადამიანში, რადგან კაენი დაბადა არა მხოლოდ როგორც მოკვლავი, არამედ ლიტერატურული მკვლეელი. ბიბლია გვეუბნება, რომ პირველი მკვდარი იყო მოკლული და თანაც ძმის ხელით. აღსანიშნავია, რომ ეს დაპირისპირება არ იყო დაპირისპირება ძმებს, როგორც უმცროსსა და უფროსს შორის. ეს ორ შეუთავსებელ კულტურათა კონფლიქტია, რომლებსაც მწყემსობა და მინათმობა შეეხებოდა. ეს არ არის უბრალო შურით გამოწვეული მკვლელობა, შური აქ მხოლოდ საბაბია, ფსიქოლოგიური მოტივია იმის აღსარულებლად, რაც უნდა აღსრულებულიყო, თუმცა ლიტერატურისთვის ეს თვითმიზანი იყო, უბრალოდ მიზანი თუ შედეგი - სულ ერთია. ლიტერატურა აქრობს ისტორიულობასა და რელიგიურობას, ის ამით იკვებება.

მიუხედავად ზემოთქმულ გარემოებათა არსებობისა, შეჭვებია ის ფაქტი, რომ კაენს აბელის შეშურდა, რადგან ღმერთმა შეიწირა აბელის ძღვენი, კაენის კი არ მიიღო. ბიბლიური შურის ეს პასაჟი სწორედაც რომ იმ ტექსტების ფაბულად იქცა, რომელთა მიმოხილვასაც მე ვაპირებ. ესენია: ჯორჯ ბაირონის „კაენი“, მიგელ დე უნამუნოს „აბელ სანჩესი“, ჟოზე სარამაგუს „კაენი“, ვაჟა-ფშაველას „სინდისი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ორი ვანაჩენი“, ხორხე ლუის ბორხესის „შემოჭრილი“ და „ლეგენდა“.

ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე ჯონათან ქალერი სხნის, რომ ნაწარმოები სხვა ტექსტების გვერდით და სხვა ტექსტებს შორის არსებობს და მათდამი დამოკიდებულება უყალიბდება. მართლაც რომ ეს ტექსტები ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო კავშირში არიან, რამდენადაც ბიბლიური ეპიზოდის ჯორჯ ბაირონის „კაენსა“ და მიგელ დე უნამუნოს „აბელ სანჩესს“ შობს, ეს უკანასკნელები კი ჟოზე სარამაგუს ბოლო რომანს, ბორხესის აღნიშნულ მოთხრობებსა და ასე შემდეგ.

კაენის მხატვრული სახის პირველი ლოგიკური ინტერპრეტაცია ჯორჯ ბაირონის ლირიკული დრამა „კაენია“, სადაც ბიბლიური კაენისგან ჩამოყალიბდა მოაზროვნე კაენი, რომელიც წინ აღუდგა ღმერთის დესპოტიას. ის მიისწრაფვის სამყაროს



და მისი კანონების შეცნობისათვის და აღწევს ამას ლუციფერის შემწევობით. სამოთხედან განდევნილი ანგელოზი დაუმტკიცებს, რომ ყველა უზენაესობა ადამიანებს ღმერთმა მოუვლინა - მან გააძევა ისინი სამოთხიდან და სიკვდილისთვის გაიმეტა. ამის გაგება კაენს ბედნიერებას ვერ მოუტანს. იგი მხოლოდ ალაგებს უსამართლობის შეგრძობებით. კაენი ვერ ურიგდება უზენაეს ღვთაების ბრძანებას, რათა ადამიანებმა იცხოვრონ „როგორც მატლებმა“ და „იმრომონ იმისთვის, რომ მოკვდნენ“. იგი ჯანყით ცდილობს იმ ატავისტური მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო. კაენის ჯანყი ყოველსმომცველ ხასიათს იღებს. ის წინ აღუდგება არა მარტო ცხოვრების იმ პირობებს, რომლებიც შეუქმნეს ადამიანს დედამიწაზე, არამედ მთელი სამყაროს წყობასა და ბუნების კანონებს. კაენს სურს, რომ ამ პროტესტს სხვებმაც დაუჭირონ მხარი, ის თანაგრძნობას საკუთარ ძმასთან, აბელთან ეძებს. კაენის რევოლუციას აბელის სახით რევოლუციონერები უპირისპირდებიან. ტექსტში იშლება კონტრასტი კონფორმიზმსა და ნონკონფორმიზმს შორის. აბელს ბრძამდ სწამს ღმერთის სიკეთე, ეს კი ძმებს შორის კამათის საგანი ხდება. გაცხარებული დავის დროს კაენი აჰყვება მრისხანების გრძნობას და აბელს საფეთქელში მუგუზალს უთავაზებს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი კვდება.

საბირისპიროდ იმას, რომ ძმებს შორის ხელჩართული ჩხუბი მას შემდეგ იწყება, რაც ღმერთი კაენის მსხვერპლს არ შეინიშნავს, აქ შური იმ ფორმით მაინც და მაინც არ გვხვდება, რა ფორმითაც ის სხვა ტექსტებშია ხოლმე. მეტიც, როდესაც ლუციფერი კაენს აბელისადმი შურზე მიუთითებს, ის უკუაგდებს კიდევ მას. ამისად მიუხედავად, ტექსტის საინტერპრეტაციო სივრცე შურის საკითხისგან ბოლომდე დატლილი მაინც არ არის. ნაწარმოებში არსებული ფსიქოლოგიური ტიპები, მხატვრული სამყარო და სახეები ვერ ახერხებენ, ერთი მხრივ, ადამიანური სანყისებისგან, მეორე მხრივ კი ბიბლიური ისტორიისგან გათავისუფლებას, რადგან პერსონაჟთა ფრიდიანული, ფსიქონალიტიკური განხილვა ჰერმენევტიკულ ველზე შურის მოტივს მაინც ხელუხლებელს ტოვებს.

1963 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა ტედ ნელსონმა ტერმინი „ჰიპერტექსტი“ დაამკვიდრა, რომელსაც მოგვიანებით ჰიპერტექსტუალობის თეორია მოჰყვა. ჟერარ შენეტის ტექსტთაშორის ურთიერთობების ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით, ჰიპერტექსტუალობა ჰიპერტექსტისა და ჰიპოტექსტის ურთიერთობაა, რომლის დროსაც B (ჰიპოტექსტი) A-ს (ჰიპერტექსტი) საფუძველი ხდება, ხოლო წინარეტექსტი მომდევნოში პაროდის, პასტიშისა და იმიტაციის სახით ტრანსფორმირდება. ჰიპერტექსტუალობის ილუსტრირებისთვის თვალსაჩინო მაგალითია პორტუგალიელი მწერლის, ჟოზე სარამაგუს უკანასკნელი რომანი „კაენი“. სარამაგუს კაენი ბაირონის კაენის მსგავსია. იგი ღმერთთან დაპირისპირების რეალიზაციაა, რომლითაც მწერალი ისეთ მასშტაბურ საკითხებს ეხება, როგორცაა ყოფიერების არსი და სხვა. ტექსტში კაენი ღმერთის ერთგვარი ენობრი-

ვი ოპოზიციაა, ის ღმერთთან სასაუბროდ ახალი, ორიონული ენაა, რომელიც ბიბლიურ დოგმებს ეწინააღმდეგება და ასე ცდილობს სააზროვნო სივრცის შექმნას.

სარამაგუსთანაც აბელი მეცხოველეობას, კაენი კი მინათმომქმედებას ეწევა. მწერლის თქმით, ეს ოჯახისთვის იდეალური ვადანაწილებაა, რადგან სულ ორი ეკონომიკური დარგი არსებობს და ძმები ორივეში ჩართულები არიან. იდილია იქამდე გაგრძელდა, სანამ მსხვერპლშენივრისას ღმერთმა, აბელის მსხვერპლისგან განსხვავებით, კაენის მსხვერპლი არ მიიღო. გულუბრყვილო კაენმა, რომელიც პროფესიის გარდა, სხვა არაფრით განსხვავდებოდა აბელისგან, იფიქრა, რომ პრობლემა გეოგრაფიულ არეალშია და ძმას ადგილის გაცვლა სთხოვა, თუმცა უშედეგოდ: „ამჟამად იყო, რომ უფალი კაენს ავად უქცვრდა“ - წერს ავტორი. სარამაგუს სტილიზებას მიმართავს. აბელი სატირულ სახეს ამჟღავნებს და იმის ნაცვლად, რომ ძმა შეიბრალოს, უმონყალოდ დასცინის მას. ბევრი მცდელობისდა მიუხედავად, მთელი კვირის განმავლობაში ღმერთი მხოლოდ აბელის მსხვერპლს იღებს, კაენისას კი არა. აბელი ღვთის რჩეულად აცხადდება თავს და განაგრძობდა ძმის დაცინვას. ერთხელაც კაენმა აბელი ერთ მიწოდროში გაიყვანა და ბურქებში საგანგებოდ გადამალული ვირის ყბის ძვლით მოკლა.

ბიბლიური ნარატივის დეკონსტრუქციის ის მომენტი, როცა აბელი კაენის დაცინვას იწყებს, კაენისთვის სააზროვნო აქტის პირველი მოტივი ხდება. მკვლელობიდან ძალიან მალე მას ღმერთი გამოეცხადება და ძმის მკვლელობაში დასდებს ბრალს. კაენი ბრალს აღიარებს, თუმცა ენაბეზილურად მიუგებს, რომ ამ მკვლელობაში დამნაშავე არა თვითონ, არამედ ღმერთია: „დახა, მე მოვეკალი, მაგრამ დამნაშავე შენ ხარ. სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, მაგრამ ამ რალა ფასი აქვს სიცოცხლეს? - შენი გამოცდა მსურდა. - ვინ ხარ ასეთი, რომ შენივე ქმნილებებს გამოცდას უწყობ? - ვინ ვარ და ყოველივე არსებულის ბატონ-პატრონი. - და დაუშაბე, ყველა ადამიანის ბატონ-პატრონიც რომ გჯონია თავი, მაგრამ ჩემს ნებას ვერაფერს მოუხერხებ, მკვლელობის ნებას. ხომ იყო შენი ნება ამ მკვლელობას არ აღდგომოდი, თუმცა კი მისი აღკვეთა სულ იოლად შეგეძლო.“ - გრძელდება ღმერთისა და კაენის დიალოგი.

შურაბ კიკნაძის თეორიის მსგავსად, სარამაგუს ავითარებს იმ აზრს, რომ აღსასრულებელი უპირობოდ უნდა აღსრულდეს და კაენს ღმერთთან კამათისას ათქმევიანებს, რომ ის მხოლოდ საშუალებად იყო მიზნის მისაღწევად. „იქ, მართალია მე მოვეკალი, მაგრამ მე მხოლოდ იარაღი ვიყავი შენს ხელში, ჯალათი, განაჩენი კი შენ გამოუტანე.“ - ამბობს კაენი. ამით ჩვენ წინ ორი კონსტრასტული მხარე იშლება, რომელთაც, პრინციპში, ერთი საფუძველი აქვთ. ორივე მიზნისა და საშუალების დაპირისპირებამდე დაიყვანება. თუ ერთი მხარე ამბობს, რომ ღმერთმა აბელი მიზნის მისაღწევად მოკლა, მეორე მხარეს პირიქით მიაჩნია. მათთვის აბელი სწორედ კაენმა გამოიყენა იმისთვის, რომ ღმერთ-

თვე შური ეძია. „იმიტომ მოვკალი, რომ შენი მოკვლა არ შეემძლო“ - ეუბნება კაენი ლმერთს.

ტექსტში მათი დიალოგი ხელშეკრულებით მთავრდება. ხელშეკრულებით, რომელიც ლმერთის მხრიდან აბელის მკვლელობაზე პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობს, მაგრამ ერთი პირობით. ეს საიდუმლო ლმერთსა და კაენს შორის რჩება და, პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ამ საიდუმლოს გახსნას ვცდილობთ ისინი, ვინც ერთხელ მაინც დაეფიქრებულვართ ლმერთის, ადამიანის, სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ.

ესპანელი მწერლის, მიგელ დე უნამუნოს რომანიც „აბელ სანჩესი“ განსვავებული ვარიანტული ნაკითხვაა ბიბლიური ეპიზოდისა. ნაწარმოებში პროტაგონისტ ხოაკინ მონეგროსა და დეუტარგონისტ აბელ სანჩესს ვხვდებით, რომლებიც ძმები არ არიან, თუმცა ერთად გაიზარდნენ და ისიც კი არ ახსნათ როდის გაიცნეს ერთმანეთი. რომანის დასაწყისიდან ძალიან მალე, დეუტარგონისტი ანტაგონისტი ხდება. ბავშვობაში მომხდარი ერთი პატარა კონფლიქტის თაობაზე, რომელიც ტყეში ნასვლა-არწასვლას შეეხებოდა, ხოაკინს თავის „აღსარებაში“ ასე ჩაუწერია: „სწორედ იმ დროიდან, არ ვიცი, რატომ და რისთვის, მაგრამ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ის იყო სანდომიანიც და საყვარელიც, მე კი არასანდომიანი და საძაგელი; და ასე, სულ მარტობაში ვიზრდებოდი, ამხანაგები მუდამ გამირბოდნენ...“ დროთა განმავლობაში მათ შორის განსხვავებამ ცხოვრების სტილში გადმოინაცვლა. თუ აბელი სოციალურ ურთიერთობებში შესაშური ოსტატობით ახდენდა თავის რეალიზაციას, ხოაკინი მხოლოდ აკადემიურ სივრცეში ახერხებდა თვითრეკონსტრუქციას. აქ აღსანიშნავია უნამუნოს მწერლური ოსტატობა. თუ განხილულ და განსახილველ ტექსტებში კაენი და აბელი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სიმბოლოები არიან, რომელთა შეპირისპირებით ორი განსხვავებული კულტურა უპირისპირდება ერთმანეთს, ესპანელ მწერალთან, ხელოვნებისა და მეცნიერების ქიშპობასაც ვაძევებთ თვალს, რადგან ბაკალავრის გამოცდების ჩაბარების შემდეგ, აბელი ცნობილი მხატვარი შექმნა, ხოაკინი კი ცნობილი მეცნიერი. ამით უნამუნო მკითხველს ფართო არჩევანს სთავაზობს, რადგან, ფაქტობრივად, იგი წერს ორ ტექსტს, ორ სიუჟეტს ერთ ტექსტში, რომელსაც, ბუნებრივია, ორი ვარიანტული ნაკითხვა აქვს.

აღსანიშნავია, რომ რომანში მიგელ დე უნამუნოც ალუიითობს შურის ბუნებრივ სანქსებზე: „შური ნათესაობრივი ურთიერთობების აუცილებელი ფორმაა“ - წერს ავტორი და მართლაც ამ უაღმნიშვნელო, დაუნერვლი ფორმულის ფონზე გრძელდება მთავარი პერსონაჟების ცხოვრება. აბელი ხოაკინის საყვარელ ქალს ირთავს ცოლად, მდიდრდება, სახელს იხვეჭს, ვაჟიშვილი უჩნდება. პარალელურად გრძელდება ხოაკინის ცხოვრებაც, მაგრამ მისი სურვილების საპირისპიროდ. იგი შრომობს, მაგრამ დიდებას ვერ პოუვებს. ცოლად ირთავს მას, ვინც არ უყვარს და უჩნდება ქალიშვილი. „და მაინც, მეცნიერული კვლევის გზაზე მართლა შემოსავალზე ფიქრი როდემდ მებობოდა, - ნათქვამია

„აღსარებაში“, - მეცნიერებისკენ ჩემი ლტოლვა მხოლოდ დიდებისა და პატივის მოხვეჭის, დიდ მეცნიერად ჩემი აღიარების სურვილი იყო, ოღონდ კი ამ გზით დამერძილა აბელის მხატვრობა; სინამდვილეში მარტო შურისგების გრძნობა მამოძრავებდა; შური მინდოდა მეცნობა მათზე, ორივეზე, დამესაჯა ელენა და სხვებიც; ასე შეიკრა ჩემი შმაგი ოცნებების კვანძი.“ - ამბობს ხოაკინი. სიკვდილის წინ ნაწარმოების მთავარი გმირი ბოდიშს უხდის ოჯახს. ის აანალიზებს, რომ მას არ ეკუთვნოდა საკუთარი თავი. მისი ყოფა არათუ ცხოვრება, არამედ აბელის მიღწეულ წარმატებებზე უარყოფითი რეფლექსია იყო.

ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით, ტექსტის კიდევ ერთი ძლიერი მხარე იმ სივრცის შექმნაა, სადაც მომხდარზე არატრადიციული და მოულოდნელი ფსიქოლოგიური განწყობა ყალიბდება. ნაწარმოების მკითხველი ხედავს, რომ აქ პასუხისმგებლობა ხოაკინს არ ეკისრება. ის ყოფიერების მსხვერპლია, რადგან ექსტრალიტერატურული ფაქტორები აიძულებს იფიქროს, რომ აბელი მას განზრახ ექცევა ასე. უნამუნო ფსიქოლოგისტური გადწყვეტილებით, დეტალიზებულად აღწერს პერსონაჟთა შინაგან განცდებს, ყოველგვარ გარემოებას ქმნის, რომ ტექსტში შურის ლეგიტიმაცია მოახდინოს. ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება ცუდად მოკავშირეობს და მწერალი პიროვნულად გავაკრიტიკოთ, თუმცა საკუთარ ესეისტიკაში პირველი, რასაც უნამუნო საზოგადოების განგრენას უწოდებს, სწორედაც რომ შურია: „შეუწყნარებელია ადამიანის სწრაფვა უკვდავკმოს თავისი სხოვნა ნებისმიერი ხერხითა თუ საშუალებით. სწორედ ეს არის სთავი და მიზეზი შურისა, რაც ბიბლიური თქმულების თანახმად, გახდა იმ დანაშაულის საბაბი, - აბელის მოკვდინებისა საკუთარი ძმის კაენის მიერ, - საიდანაც იწყება კაცობრიობის ისტორია. უნამუნოს აზრით, ეს არ ყოფილა ბრძოლა პური-სათვის არსობისა, განამედ ეს იყო ბრძოლა ზეარსებობისთვის, ლმერთის მექსიერებაში დაჩრქნისთვის: „შური ათასწილად შემზარავია, ვიდრე შიმშილი, რამეთუ შური სულიერი შიმშილია. ალბათ ცხოვრების, არსობის შურის საკითხი რომ გადაჭრილიყო, დედამინა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და უკვდავებისთვის ბრძოლის კიდევ უფრო სასტიკი ბრძოლის არენად“. - წერს ის საკუთარ ესეში „უკვდავების წყურვილი“.

ალბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ თანავგრძნობა მხოლოდ იდენტიფიკაციის რედეგია. მკითხველი, ტექსტის კითხვისას, ცხადია, არ ამართლებს შურს, მაგრამ თუ ის თავს ხოაკინის ადგილზე წარმოიდგენს, აუცილებლად აღიარებს შურის ლეგიტიმურობას. ლეგიტიმური შურის საპირწონე ძალა არ არსებობს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ტექსტში მას მხოლოდ და მხოლოდ ის უსუსური ურთიერთობრივი მანიპულაციები უპირისპირდება, რომლებითაც ავტორი ცდილობს, მათი ერთადერთი საყრდენი, ფორმალური მეგობრობა და პატივისცემა გამოკვეთოს. ამაში დასარწმუნებლად, უნდა გაავსებოთ, რომ ხოაკინი მკურნალობს აშშ-ს, ის ხელს უწყობს მეგობრის შვილს კარიერულ ზრდა-



ში, თუმცა ეს მკურნალობისა და დახმარების გარდა, ყველაფერია.

შურის ცნება არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა ქართულ ნაწარმოებში განვითარების გარკვეულ ეტაპზე შური ერთხელ მაინც გვხვდება, არსებობს ჩვენში ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც პირდაპირ ემყარება კაენისა და აბელის შურის, ძმებს შორის შურის დისკურსს. ერთ-ერთი ასეთი ვაჟა-ფშაველას პოემა „სინდისია“. პოემა, რომელშიც ბიბლიური ეპიზოდი ერთგვარი საშენი მასალა და კომპოზიციური ხერხია, ავტორს სურს სინდისის ცნებაზე დაამყაროს. ის ორიგინალური ინტერპრეტაცია იმით, რომ აბელის მკვლელობის შემდეგ მასში ასახულია კაენის ტკივილი, რომელსაც მას უჩინო არსი ანუ სინდისი აყენებს. ტექსტში სინდისის პერსონიფიცირება ხდება. იგი პოემაში პერსონაჟად გვევლინება და ღმერთთან დიალოგს ამყარებს; შესთხოვს ღმერთს თავისთან წაიყვანოს, რადგან თავისი სიმკაცრის გამო, კაცობრიობამ ის განდევნა. იგი ამბობს, რომ კაცთათვის კარგი სურდა, თუმცა სატანჯველად გადაიქცა. სინდისთან საუბრისას ღმერთი კატეგორიულია. იგი ხსნის, რომ გარშემო ყველაფრის მიზანი სწორედაც რომ სინდისია და ის მუდამ დარჩება თავზე ამოწვდილ ხმლად. მან უნდა იარსებოს იმისთვის, რომ იარსებოს სინანულში. ბორხესს თუ დავესესებთ: „სანამ სინდისი ცოცხლობს, ცოდვაც ცოცხალია“.

ამავე თემას ეხება მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ორი განაჩენი“. სათაურივე მიგვანიშნებს, რომ ნაწარმოებში ვიღაც ისევბა და თან ორჯერ - ერთხელ კანონით, მეორედ სინდისით. სიუჟეტი შემდეგნაირია: მენახშირე ბიჭს, ლაზარე ჩიჩილაშვილს ქალაქში ცისფერთვალზე რუსი გოგო მამკა შეუყვარდება. ბედის უკუღმართობით ისე მოხდება, რომ მამკას ლაზარეს ძმა, მათეც გაიცნობს. მათესა და მამკას ერთმანეთი შეუყვარდებათ. ამ ამბის დღის შუქზე გამოტანის შემდეგ ძმებს შორის დაპირისპირება იწყება, რომელსაც მათე ემსხვერპლება. მოთხრობის მეორე კვანძი სასამართლო პროცესზე იკვრება, სადაც ლაზარეს მსაჯული გაამართლებს. ამ ტექსტის ნაკითხვა კიდევ უფრო საინტერესო გახდება იმით, თუ ყველაფერს მოსამართლის პოზიციიდან შევხედავთ, რომელსაც, ერთი მხრივ, განსასჯელი ჰყავს შედეგით მკვლელო, მიზნით კი ღირსების დამცველი, რომელიც საკუთარ საქციელს ძალიან ნანობს. იმდენად, რომ როდესაც გაათავისუფლებენ, თავს ჩამოიხრჩობს.

განსხვავებული ტექსტია არგენტინელი მწერლის, ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობა „ემმოჭრილი“. ის ძმებ ნილსენებზე მოგვითხრობს, რომლებსაც ერთმანეთისადმი ძილის ერთგულება აქვთ, მაგრამ ეს ერთგულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, როცა მათ საზიარო ქალი შეუყვარდებათ. მკითხველისთვის სიურპრიზი აღარ იქნება ის, რომ პოსტმოდერნისტული ტექსტი ტრადიციულად ძმებს შორის ჩხუბით არ დასრულდება, თუმცა მათ ურთიერთობასთან, როგორც ბორხესი ამბობს, კანი ახლოა. ამ მეტონიმიით მწერალი ცდილობს, კლასიკური კანენი, როგორც ძმებს შორის შურისა და ურთიერ-


თდაპირისპირების სახე, გაუმართლებელ ამბად, პარადოქსულ ჰიპოთეზად წარმოაჩინოს. ბორხესი, ერთი მხრივ, არ უშვებს მკვლელობას, მეორე მხრივ კი ებრძვის კაენს, რომელიც ამას აიძულებს. ამიტომაცაა, რომ ტექსტში პერსონაჟებს ის ხან უახლოვდება, ხანაც კი მოშორდება.

ოქსიმორონი ტროპული სახე და სტილისტური ხერხია, რომელიც ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებების დაკავშირებას ემყარება. ოქსიმორონს აუცილებლად მოსდევს ახალი ცნების გაჩენა, რადგან ჰეგელიანური ფორმულა რომ მოვიხმოთ, თესიზი (პატიება) და ანტითესიზი (შურისძიება) ქმნის სინთეზის, მათ ნაზავს (დავინყება). სწორედ ამ შეუთავსებელ ცნებათა ნაერთს გვთავაზობს ბორხესი მოთხრობით „ლეგენდა“. ძმები აქ უდაბნოში, აბელის სიკვდილის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს და თანაცხოვრებას ისე აგრძელებენ, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარა. აბელი ამბობს, რომ აღარ ახსოვს რომელმა რომელი მოკლა. ბორხესს კარგად აქვს გააზრებული, რომ შური ბუნებრივი, გარდაუვალი და აუცილებელია და თუ მისი აღმოფხვრა გვინდა, მისი წინაპირობა უნდა მოვსპოთ და თანაც ისე, რომ არ დაიკარგოს მთავარი ლიტერატურული საყრდენი - პირველწყარო. აქ ბორხესი აბსოლუტურად სწორ და ოსტატურ გადაწყვეტილებას იღებს. შურის ის შეგნძნობია დონეზე აქრობს. შესაბამისად, მოთხრობაში ყველაფერი ჰარმონიულადაა. აქ ბუნებრივია ის სიმშვიდე, რომელიც ტექსტში ძვეს, რადგან ძმები აღარაფერს გრძნობენ, ერთმანეთის სიყვარულის გარდა. ბიბლიური პასაჟის ეს რადიკალური ნაკითხვა კი გვეუბნება, რომ ნამდვილი პატიება თავის ისე მოჩვენება თითქოს არაფერი მომხდარა და ცოდვების მიტევება კი არა, მათი დავინყებაა. მართლაც, მოთხრობაში კანი ამბობს, რომ პატიება დავინყებას ნიშნავს.

დასასრულისთვის, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ლიტერატურა ამ საკითხზე ორად იყოფა. არსებობს ტექსტები, რომლებიც კაენს დანაშაულისთვის სჯის და არსებობს ტექსტები, რომლებიც პატიობს. ეს პატიება ორი სახისაა: ავტორი ან იფიყებს კაენის ცოდვას, ან ღმერთს უშეხდრებს მას. აქ გამორიცხული მესამის კანონი მოქმედებს, რადგან დუმილი სტატუს-კვოს ნიშნავს. ლიტერატურულ სასამართლოზე, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაფერი ერთი ორად საინტერესო ხდება მაშინ, როცა მოსამართლის მანქანა ვირდება. ჩვენც ორი გზა გვაქვს: ან ვსჯით კაენს და, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ვკლავთ ლიტერატურას ან ვპატიობთ მას. ჩემი შეხედულებით, კანი დაუყოვნებლად უნდა გაათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან და მორალურად მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის სახით მიენიჭოს ღმერთთან შეწინააღმდეგების უფლება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხელოვნება, გარკვეული ლოგიკით, წინააღმდეგობაა, ამბოხია ღმერთის, რელიგიის, პოლიტიკის, გაბატონებული ნესრისა თუ საკუთარი თავის წინააღმდეგ. სასამართლო პროცესს ოქროს მონმის, ყოზე სარამაგუს სიტყვებით დავასრულებ: „ნეტარ არიან ამბოხებულნი, რამეთუ მათია ამა ქვეყნის სასუფვეელი“.

ლევან გელაშვილი

მეგაპლაზმა



ზოგს გაუმართლებს ხოლმე და თავიდანვე ისეთი ტექსტის კითხვას იწყებს, სადაც მთხრობელი მკითხველის მიერ ნაგულისხმევი პროზის წესებით თამაშობს. ეს ისეთი რამეა, როცა ტექსტში გაბნეული დოზირებული ეჭვებით მკითხველს ექმნება ილუზია, რომ იგი თავად სამყაროს ცენტრია. საკუთარ თავს აიგივებს პერსონაჟებთან, მათთან ერთად იტანჯება, ტკბება და მათთან ერთად განიცდის მოვლენების სიმძაფრეს. იდუმალი მინიშნებებით ტექსტში წინასწარ მზადდება კვანძის გასხნა, შემდეგ კი, თითქოს უბრალო შემთხვევის წყალობით, მკითხველს თავს დაატყდება მოულოდნელი ფინალი. მკითხველის საკუთარი ოცნებები და შურისძიების წყურვილი, რომელიც გადაჰქონდა პერსონაჟებზე, მყისიერად იმსხვერვეა ტექსტში აღმოჩენილ თუჯის უკანალზე, ჭეშმარიტების იმ მყარ რეალობაზე, რომელიც მკითხველს ტოვებს გაოცებულს, ვითარცა ლომს მოსაქმებისას. ტექსტში განფენილ ცხოვრე-

ბის ამ უცნობ კანონზე იწყებს ფიქრს მკითხველი, რომლითაც ასე გააბითურა მთხრობელმა. სწორედ ეს ფიქრის პროცესი იწვევს ტკბობას.

ჩემო კარგებო! ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ აქ ამ ტკბობას ნუ ელოდებით, მსგავსი ლიტერატურული ემმაკობები აქ არ იქნება. ჩვენ ხომ სერიოზული ხალხი ვართ, რაკილა დაიწყე ამის კითხვა, იმასაც გეტყვით, რომ ესაა ტექსტი ისეთი რალაცის შეცნობაზე, რაც ტექსტის ბოლოსაც უცნობი რჩება. მაშ ასე, გამორთე მობილური ტელეფონი და მომისმინე.

დავინწყით თავიდან:
სფეროსებრ სივრცეში გამეღვიძა. ხის ძირში რომ კაცი ჩამოჯდებოდა დასასვენებლად, ეგრე ვიჯექი. მკლავები მუხლებში ოდნავ მოხრილ ფეხებზე მენყო. უფერო, უსუნო გარემო იყო. თვალების ფშვნეტიტ საოცრად ლამაზ, ოვალურ სივრცეს თვალი მოგავლევ; დაცხაურებული, შესქელებული კედლები ქვით-



კირივით ცივი და მაგარი შესახებდაობის ჩანდა. ღიობები და შვერილები რაღაც ლაბასებრი ფენით იყო დაფარული. შიგადაშიგ, მოძრაობაში გაყინულ, მოდრეიფე ტალღებში, სისხლისფერი ძარღვოვანი ნაკადულები ამოყოფდა თავს, დაბლა მიიკლავნებოდა, უცნაურ ტრაექტორიას ქმნიდა, ჩემს წინ ხედვის წერტილს მოივლიდა, შემდგომ ზემოთ მიცოცავდა და სიღრმეში იკარგებოდა. ოქროსფერი ელვარება გადასდიოდა არამარეს. ემბრიონის პოზაში ჯდომას არასდროს ვყოფილვარ მიჩვეული, ამიტომ ძალიან ვამიკვირად, რომ ასეთ სივინოვანი სრულიად კომფორტულად ვიყავი და არც უშპირულად მანუხებდა. ჩამიჩიში არ ისმოდა. მიყურებულ ხმებსაც ვერ გაიგონებდით, მაგრამ ვერც იმას იტყოდით, სამარისებური სიჩუმეაო, სადაც ძალიან შორიდან ნამოსული ენითამოთქმელი ხმოვანი ნაკადი, ტალღა-ტალღა, ძალიან ნელა იძვებოდა და იდუმალ აკუსტიკას ქმნიდა. მიმოვიხედე, სფეროს სილუეტებიდან ალისფერი, თბილი ფენები გამოსჭვივდა. ხავერდოვანი კედლებიდან სინათლე სადაც, შეუცნობელი სიღრმიდან აღწევდა. ნამოდგომა არც მიფიქრა, პირდაპირ საოცარი ვარემოა. აქ იმდენი ადგილია, რამდენიც მხოლოდ ჩემი აქ ყოფნისთვის არის საჭირო. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როცა არ ვიცოდი რა მექნა, არაფერი მინდოდა და მგონი პირველად, არაფერი მანუხებდა. მეც რა შენაღვლება, ვიქნები ასე, იქნებ ვინმემ მოაკითხოს, გამოანგრიოს კედლები და გამიყვანოს აქედან. მქრქალი ფერების ვარემოს თვალღერებით ვერთობდი თავს. მომდევნო საათის ყოველი წუთი, წყლის წვეთივით ვავადა ერთმანეთს.

სინათლე რომ შესუსტდა, რაღაცნაირად ვიგრძენი რომ მარტო დავრჩი. კედლის მოთითობივ ბასრი ჩრდილი წაგრძელდა. აყირავებული რელიეფის სილუეტები ნელ-ნელა მიიზღაზნებოდნენ კუნჭულებისკენ. სინათლე სულ უფრო და უფრო უღმიდამოდ ანათებდა იქაურობას. სასიამოვნოდ აგრინდა და ჩამოხვლდა. მალე მეც დაბლილობა ვიგრძენი და ჩამთვლიმა. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა, როცა გავიღვიძე, ალისფერი ემატებოდა ვარემოს. კედლებში გამოუცნობი სინათლე გიზგიზებდა, მე კი ისევ ისე მუხლებზე მენყო ხელები და მყარად ვიჯექი სფეროსებრ სივრცეში და როგორც ჩანს, არც არავინ აპირებდა ჩემს შევლას. გადავწყვიტე დახმარება მეთხოვა, დავიწყე ყვირილი. თავიდან შედარებით დაბალ ხმაზე და შემდეგ მოუორიდებლად, ხმის ჩახლენამდე. არავინ გამოხმხაურებია. რაღაცნაირად ისეთ სიმარტოვეს ვგრძნობდი, რომ არც მქონდა იმედი ჩემს დაძახებულ ვინმეს ხმა გაეცა. კედელს ხელი გადავუსვი. ნათელ ადგილებს, მუქი ზონები მოსდევდა, ამოზურცული და ჩავარდნილი კედლის გარსი ძლივს შესამჩნევი მოცახცახე ძარღვებით იყო დასერილი. მუშტი შევკარი და მაგრად დავარტყი, ყრუ გუფუნის ხმა ექოდ გავრცელდა. კედელი სულ ოდნავ შეიზნიქა. ასეთი რბილი კედელი არასდროს მინახავს, ხელის ფაფურით შევისწავლე დრეკადი ზედაპირი და ძლიერი გაქვევით გავქვითე, საკმაოდ დიდი ნაწილი ასძვრა. დავიწყე გამოთხრა. ფრჩხილებით, კბილებით, ყველაფრით ვთხრიდი. ეს ისე იოლი იყო, გაცოცხლებს ვერ ვმაღავდი. კედელი მო-

ხარშული კვერცხის გულივით რბილი იყო, იმდენად რბილი, რომ ისიც კი ვავიფიქრე სინთეტიკური კვერცხის ესენცია, მოხარშული კარტოფილი ან ზღვის გამომშრალი ქაფი ხომ არ არის თქო. ვამალებით ვმუშაობდი, ოფლი წვეთებდა მომადდა საფეთქლებზე. ძალიან მოკლე დროში საკმაოდ დიდი ღრმული გამოვიფე. სიღრმეს ბოლო არ უჩანდა. ერთდროულად რამდენიმე ადგილას ვთხრიდი, ნაპრალებს ვაფართოვებდი და მალე უზარმაზარი სივრცე შევქმენი, რომლის შიგნით კედელი კირქვასავით მაგარი ჩანდა, მაგრამ მისი ნატეხები ხელში რომ ავიღე, თოვლივით ფაფუკი და პაეროვანი აღმოჩნდა. - უანგზადი მდიდარია ეს ვარემო, გამეფიქრა და ხელისგულებით მუქი ალისფერი მასა მოვსრისე.

შემდეგ ისევ თხრა განვაგრძე. სულ რამდენიმე წუთში იმდენი გამოვთხარე, რომ თავისუფლად შევძელი ფეხზე დავმდგარიყავი. მას შემდეგ რაც ნელ-ნელა ვავიმართე, საშუალება მომეცა ზემოთა ნაწილში დამენყო თხრა. გვირაბის ზომის ოვალი გამოვღრუტენე. - ცხადია, იზოლირებულ ვარემოში ვარ, მაგრამ სადმე ხომ უნდა იყოს ზღვარი? წუთუ უსასრულო სივრცეში ვარ? ვამიელვა აზრებმა, თან ხელებით მარდავ ვმუშაობდი. ღმერთო ჩემო, ასეთი სქელი კედელი არსად მინახავს, რაც უფრო ღრმად შევდიოდი გვირაბში, სინათლე არათუ კლებულობდა, არამედ მეჩვენებოდა რომ მატულობდა კიდეც. შეიძლება ითქვას, სინათლე არსაიდან იბადებოდა. ალბათ სადაც ვიმყოფები ამ რბილი კონსისტენციის მატერიას აქვს უნარი სინათლის სხივების გატარების და ამ საფარველის მიღმა არის სინათლის დიდი წყარო, რომელიც სუსტად ატანს ჩემს სამყოფელში. რაც უფრო ღრმად შევდიოდი გვირაბში, მით უფრო მალე ვკარგავდი ილუზიას, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ვარემო. მცირე დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ კედლების მატერიალური კონსისტენცია ყველგან ერთნაირი იყო. ის შედგებოდა რამდენიმე ფხვიერი ფენისგან და გველივით დაკავანკილი ძარღვოვანი ხაზებისგან. მასა თხრის დროს ნება-ნება ამოდიოდა ბელტების სახით. შეუცნობელი სიღრმისკენ სწრაფად მივდიოდი. მალე აღმოვაჩინე, რომ ხავერდოვანი კედლის გუნდებს დატკეპვის უნარიც ჰქონდა. ეს რბილი, უხეინარი მასა დატკეპვის შემდეგ თავისთავში არსებულ ბოჭკოვან უჯრედებს ჭყლეტდა, რის გამოც ქვითკირივით მაგარი და ცივი ხდებოდა. თიხასავით იყინებოდა და წკარუნებოდა.

ერთხანს ვავიფიქრე, რომელიაღ ჩემი ნაცნობის მაკვარანცხობა ხომ არ არის-მეთქი? რაღაც ოინს მიწყობე ალბათ მეგობრები, მაგრამ ნაბიჯები გადავთვალე და 12 მეტრზე გრძელი სიგრძის გვირაბი მქონდა უკვე გამოთხრილი. თანდათან ვხვდებოდი, რომ რეალობის გამოვლინების უკვე ცნობილი არცერთი ფორმა არ იყო ეს. მოუხეშავ, მღვრიე ზედაპირს დავაკვირდი. ვთქვამს, სადაც სხვა სამყაროში მოვხვდი, სადმე ხომ უნდა ჰქონდეს ამ სამყაროს საზღვარი, საიდანაც ჩემთვის ცნობილი სამყარო დაიწყება? ან იქნებ ჩემი ნანატრი საზღვარი, ერთი სამყაროს სხვა რეგონალური მატერიაა? ამ ფილოსოფიურ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა კიდეც რამდენიმე მეტრის სიღრმის გვირაბი ვავიყვანე. ყველა იმედი გამიცრუვდა და ყველა ილუზია

გვირაბთან ერთად გამოიღრუტნა. არც სინათლე იკლებდა და არც ხმოვანი კონუსის ეფექტი შეცვლილა. იქნებ ეს ბგერაგაუმტარი კედლები საკუთარ თავში ვიბრირებენ და გამოსცემენ ყრუ ხმებს - გამიღვავა თავში. არ ვიცი როგორ უნდა აღვიქვა ეს რეალობა. ჩემმა რომელმა მე უნდა შეძლოს ეს. იქნებ ყოველივე ჩემი წარმოსახვის ნაყოფია - გამეფიქრა ჩემთვის და ისევე მიმოვიხედე - ნეტა სიზმარში ვიყო და მალე გამეღვიძოს!

უკან მივიხედე, ოქროსფრად ეღვარებდა მქრქალი გვირაბი და საოცარ სანახაობას ქმნიდა. ისევ თხრა განვარდძე. ძალიან დავიღალე და გავიოფლე, შეეჩერდი, ჩამოვჯექი და საკმაოდ დიდი ნატეხი ავიღე. გაშლილ თითებზე გავიგლისე, ნატეხების მსუბუქი ფართოფრდიანი აღნაგობა იმ წამსვე გაუფრუღდა, სავარაუდოდ, ამის მიზეზი ის იყო, რომ მან კავშირი დაკარგა პირველსანაყისთან, მე ის უკვე ხელში მეჭირა. შესაბამისად, სინათლის წყაროს მოსწყდა და ასევე კედლის გარსაცავს. პლაზმის ამ საოცარი უნარის გამოძღვანებამ დამაფიქრა. - რა გამოდის? დანაწევრების შემთხვევაში პლაზმა კარგავს თავის პირვანდელ თვისებებს? ისევ თხრა განვარდძე. შეუჩერებლად ვთხრიდი. გვირაბის თხრით რომ დავიღალე, უკან დაბრუნება დამეზარა და სხვა მიმართულებით განვარდძე იდუმალი კანონით დადგენილი საზღვრების დარღვევა. კაცმა რომ თქვას, ჩვეულებრივი გარემოა, იმდენად ჩვეულებრივი და უბრალო, რომ თავის უბრალოებით მაოცებს კიდევ ერთი ხელის გაქნევა და მეყსეულად ჩნდებოდა დერეფნები, ოთახები, დარბაზები. საოცარია, პირდაპირ თვალებს არ ვუჯერებდი. გასასვლელს ვერსად ვპოულობდი. სივრცის კედლების ნებისმიერი წერტილი ძალიან იოლად მემორჩილებოდა, მაგრამ ამ მასალის იქით ისევ ეს სქელი რბილი მასა მხვდებოდა. აქ არ არსებობს არავითარი კვშირი და არც უკუკვშირი. მე აღქმის შედეგების უბრალო რეგისტრატორი ვიყავი. ჩამოვჯექი და მკლავები მუხლებზე დავილაგე, ცხადია იზოლირებულ გარემოში ვარ - დავიწყე ისევ ფიქრი, მაგრამ რამ გამოინვია ეს განკერძობება? იქნებ ეს კარგივარის? იქნებ ამ განკერძობებით დაცული ვარ უცნობი საფრთხისგან? კედლის ღრმულიდან გორიხი ავიღე, ნებოვნება თითქმის არ აქვს, იოლად იხლიჩება, მაგრამ შეერთებისას მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს - ჰმ, ინტელექტუალური პლაზმა, ისევ ფილოსოფიურად გამეფიქრა. ამის მნახველი თავს დადებს რომ ეს არ არის ჩვეულებრივი რამ, არამედ მეგაპლაზმა, რომელიც თავისთავში მოიცავს ყველა შესაძლო რეალური ფორმების ფუძეს.

დავბრუნდი მთავარ დარბაზში, საიდანაც თავდაპირველად თხრა დავინწყე. სხვადასხვა მიმართულებით გათხრილ ჩემს გვირაბებს თვალი მოვავლე. ზოგი გვირაბი სხვა დაკლანკილ გვირაბს უერთდებოდა, ზოგიც ჩიხში შედიოდა.

გეყოთ რა, ამ სისულელის კითხვა რამე გაინტერესებთ? როცა ვთხრიდი, დაუსრულებლად ვყვიროდი და შუბლიდან ოფლს ვინმენდდი. როგორ ჩამეძინა დაღლილს და გამეღვიძა, როგორ ამიცრემლდა თვალები, როცა ირგვლივ შიშველი სივრცეები დავინახე, როგორ დავიწყე გიჟივით ყვირილი და ვე-

ხეთქებოდი ჩემსავე შექმნილ კედლებს, საერთოდაც ეს მოქმედებების აღწერა როგორ გიყვართ, გაცვანით ცნობიერების უშუალო მონაცემებს - ფიქრებს, რომელიც მეძალეობდა ყოველივე ამის კეთების დროს:

პირველად არსებობდა ისეთი რალაც, რაც ადამიანის საზღვრებს მიღმა, მერე ეს რალაც განუთარდა და სწორედ ის დადევანდელი სახე მიიღო, რომელშიც მე აღმოვჩნდი.

ეს რალაც (პლაზმა) ძალიან სუსტია, ხელის მარტივი ზემოქმედებით შემოიძლია მასზე ვიმოქმედო, მაგრამ არ შემოიძლია გავიდე ამ შრიდან.

იქნებ ის საკუთარი ტკივილების გავლით განერიდა სოციუმს და ტვინის არააქტიურ საკუჭნაოში იმალება. ნთუთ ტვინის ყველაზე ღრმა არააქტიური უბანი ასე გამოიყურება? ეს თუ ასეა, მე რა შუაში ვარ? მე რატომ ვარ აქ. იქნებ ჩემი ტვინის უბანი ვიზუალურად ასე გამოიყურება?

ვთქვით ეს არის რალაც მიზეზის შედეგი, უბრალოდ შედეგი და მეტი არაფერი, რომელიც არაფრის მიზეზი არ გახდება.

მე ვხედავ რომ გამოუცნობი სინათლე ავსებს ყველაფერს. სუსტი ელფერი და უღიმღამო მენამული გადასდის სქელ, რბილ მასას და ეს ყველაფერი მე არაფერს მეუბნება.

სალამობით სასიამოვნოდ აგრძელება ხოლმე. აყირავდებიან მოთითიმე რელიეფური ჩრდილები და მე ვიძინებ.

რომელი მესაძირკველ მე ვარ? სამსახური - სახლი, სამსახური - სახლი, რუტინული დამღლევი საშუაო. მყავს ცოლი, ორი შვილი და რექსი - ჩემი ინგლისური სეტერი. მყავს კომბი მოსკვირის ძრავაზე აწყობილი პორშე. ბანკირის კარიერა. ვიცი ველოსიპედის მართვა, ტანგო და ცურვა. მოკლედ, ხომ ხვდებით, მე აქ არ ვიყავი ვიყო. მე ერთი ჩვეულებრივი დედამინელი ვარ პროგრესის საჩხარუნო მოზილურით, ჩემგან ახალს ვერაფერს ვაიგებთ. ხო მართლა, მოზილური რატომ არ მაქვს ჯიბეში? ის მუდამ თან დამაქვს.

იქნებ ეს გარემო გამოხატავს იმას, თუ როგორ უჭირს სულს სხეულში ყოფნა.

ვთქვით ეს სიზმარია. ყველაზე დიდხანს სიზმარი 45 წუთს ვატყობდა. მე შემოიძლია დავიცავდი, არაფერი ვაკეთო და უცებ ეს ყველაფერი მორჩება, გამეღვიძება და შემეძლება რექსი გავასვირო.

შემდეგ: დამესიზმრა რომ მძინავს და სიზმარს ვხედავ, რომ მძინავს და სიზმარს ვხედავ რომ...

იქნებ ეს სხვა პლანეტის სამოთხეა ან ჯოჯოხეთი? ღმერთი ხომ წვეფრიანი კაცი არაა, არც სამოთხეა ცხოველების პარკი, სადაც სულ ზაფხულია, რა გამოდის, რომ ესლა სამოთხეში ვარ?

იქნებ ეს ღმერთის სივრცის სიღრმისეული გამოვლინებაა. უმაღლესი გონის პლაზმა - იქნებ თვით ღმერთის ნიაღში ვარ.

გულახდილად რომ ვთქვით, მე მგონია ესაა დღედე უცნობი ძვირფასი ლითონის საბადო, უდაბნოს არემარე, ლანდშაფტის თავისებურება, რომელიც ინვესს ნათებას და ხმოვან ეფექტს.

შევნიშნე რომ ჩემს მიერ შექმნილი სივრცეები ჩემს ხასიათს ჰგავს.



იქნებ მძინარე წამის ზონაში მოვხვდი, ან იქნებ მთვლემარე ოცნებების არემარეში ვარ.

დავუშვათ ჩემამადე აქ იყვნენ გასასვლელის მახიებლები, რომლებმაც გვირაბები გააკეთეს. პლაზმის კონსისტენციას კი რეგენერაციის უნარი აქვს და თავისთავში ღიად დარჩენილი სივრცეები ამოავსო. მაგრამ სად არის მათი ჩონჩხები? რამე კვალი ხომ უნდა იყოს მათგან დარჩენილი.

იქნებ ეს ინტელექტუალური მასა თვითონ არის ცოცხალი არსება და იკვებება ადამიანებით.

გვირაბების კეთებით რომ დავიღალე, კლდეები გავაკეთე. ამაზე დიდი გასართობი არაფერი მეგულება, კლდეზე ცოცვით დიდ სიამოვნებას განვიცდი. ეს ძალიან მარტივია - გამოვიღებთ გოროსს, ვაკეთებთ საფეხურებრივ რელიეფს, შემდეგ გაშლილი ხელის დარტყმით ვტკეპნით ამოტყევილ ფორმებს. ბორცვებს იმდენხანს ვტკეპნით, სანამ არ გამყარდება. როცა ის სრულიად მაგარი გახდება, შეგვიძლია ფეხის დადგმით და აცოცებით შევამოწმოთ ის.

რა იყო და რას დავამსგავსე არემარე: პლაზმის გორხები, პლაზმის ღრმულები და გიგანტური პლაზმის გორები.

იქნებ დედამინის გულია, ან კოლექტიური არაცნობიერის სივრცე.

ბადებს, ქმნის, განწმენდს და კლავს. მოკლედ, ეს ისეთი განზომილებაა, სადაც სიფიცხე და ერთბაშად გამშავებით მუშაობა არ ივარგებს. მშვიდად, აუღელვებლად მონოტონურად, ერთფეროვნად, დაუღალავად უნდა იმუშაო. საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ ეს ისეთი განზომილებაა, სადაც დრო-სივრცული გაგება არ არის და არავითარი გონიერული საზღვრები არ არსებობს. და მაინც, მას თავისი კანონები ხომ უნდა ჰქონდეს? თქვენი ცხოვრებაც ხომ ასეთია, თქვენი ხედვა სიცოცხლის შესახებ თქვენს ადამიანურ აღქმას ვერ აღემატება.

იქნებ ეს რაციონალური პლაზმაა, რომელსაც ემოციები გარეთ არ გამოაქვს.

მაცდუნებელი სიღრმე. რაღაც მომენტში მომჩვენა, რომ მალე სინათლეს ვიხილავდი, მეგონა უკანასკნელი ფენა მოვაცილე და გავედი გარეთ. რაც უფრო ღრმად მივიხვედი, სველი, ნოტიო ჰაერი მა-

ტულობდა.

და მე ისევ გამოვთხარე მორიგი მყარი სქელი შრე.

იქნებ... ჩემივე ქვეცნობიერი პროცესების სისტემურ ჩიხში ვარ. ეს ბოლო აზრი უფრო ხელჩასაჭიდა. იოლია, ყველაფერი მე დამაბრალთ: შენ გერვენებაო, შენი ილუზიების ჰალუცინაციებიო და ასე შემდეგ. შენი ფსიქოლოგიური პრობლემების რაობიდან გაქცევის სიზმირისეული გამოვლენააო. მისალეგია ეს იდეა თქვენთვის? დაფიქრდით ამაზე. ეს ამ ტექსტის ყველაზე იოლი და პატივმოყვარე დასასრული იქნება. თუ თქვენ ამ აზრს იზიარებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ კითხვა, ჩათვალეთ, ეს ტექსტი აქ დამთავრდა და არც სინდისის ქენჯნა შეგანუხებთ, რომ დაუმთავრებელი დაგრნათ წაასკითხო.

კაცმა რომ თქვას, რა უბრალო სივრცეში ვარ, რბილი, სქელი მოყვითალო სინათლის შემცველი მასა, მუხედავად იმისა, რომ ასეთი უბრალოება მთელი ძალით აფიშირდება, მაინც რა არაბუნებრივად გამოიყურება ყველაფერი.

ისიც ვერ გამიგია, სად ვარ, რას ვაკეთებ და რა მეგონია პრობლემა.

იქნებ ეს სამყაროს ყველაზე მყიფე ადგილია.

დაფარული, დახშული ღრმულები და სიღრმეში იდუმალების უსასრულო ძიება.

ბროლის ბურთების წკროლი და სიმების შეხება ჩამესმის ყურებში, როდესაც ოქროსფერ დერეფნებს შევავლებ თვალს. ჩემი ბანკირის გონება ელვის სისწრაფით ისერებოდა ურთიერთსაინანაღმდეგო აზრებით.

იქნებ ეს ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროა, ლოგარითმული დეკოდირების ზემოლავრი სკანერის სისტემური ქვეგანყოფილება და მე ერთი რიგითი ცდის პირი ვარ? ალბათ ამიტომ არის რომ თან არ მაქვს არც მობილური ტელეფონი, არც საათი, ფლეერი, საყურისები და არავითარი ცივილიზაციის მიღწევა, რაც „ტექნიკით პოზიორ კაცს“ უნდა ჰქონდეს. ესეც ძალიან კარგი აზრია, ხელჩასაჭიდი და ერთმნიშვნელოვნად საიმედო. შეანმინდეთ ყველაფერი მსოფლიო შეთქმულებას, ექსპერიმენტებს, რაკეტების და ავტომობილების გამონაბოლქვს, მე

კი მათი უბრალოდ მსხვერპლი ვარ. თუ თქვენ აქამდეც არ შევინყვევითაო კითხვა, არ გინდოდათ ჩემს ილუზიებზე გადაგეტყუათ ჯოხი, ჩათვალეთ, ტექსტი მიუახლოვდა შინაგანი გადაწყვეტილების წერტილს. დიახ ეს არის ექსპერიმენტი. ჯერ კიდევ გაქვთ შანსი ეს ნაწერი შორს მოისროლოთ. აქ დასრულდა თქვენთვის ეს ნაწარმოებიც.

გამოფეხულ სიჩუმეს დაუვუდე ყური. მაშინ ვერ მიგზვდი, მაგრამ მერე, როდესაც გავანალიზე არსებული ხმოვანი რიგი, ჩემი აზრით, ეს გახლდათ ნანოქტაგებად გათითებული ხმოვანი კონუსის ეფექტი. ეს ისეთი რამეა, რომ არც სიჩუმე და არც კონკრეტული ხმების გავარეზება შეიძლება.

ვინც ისევ აგრძელებთ კითხვას, იცოდეთ ჩემო კარგებო, რომ მე ვიყავი ამ რბილ და ნათელ გარემოში და ჩემი მგზნებარე გონება გამოსავალს ეძებდა. ხომ ხვდებით ეს რა ანტაგონისტური გარემოა, მე არ მაქვს წვდომა ამ მატერიის დაფარულ შესაძლებლობებთან.

მე მხოლოდ ერთსა და იმავეს ვაკეთებდი. აი ისევ: მას შემდეგ, რაც პლაზმას მოვაციტქენე ერთი გუნდა, მან დაკარგა ვაკვირი თავის პირველწყაროსთან და შეიცვალა მისი თვითმიყოფადობა - სინათლის თვისებები გაფერმკრთალდა და გაცვივდა.

შინაგანმა ხმამ რალაც მითხრა და დამავიწყდა. იქნებ ნეხვში ვარ კოსმოსურ სამძღნერეთში...

ჩანაწერებს არ ვანარმოებდი. რაციონალური კვლევის დაწყებისთანავე მიგზვდი ამ შეცდომას. მოვაციტქენე პლაზმას ერთი ნაწილი. დავანაწევრე ერთი ნაწილი, ხელის გულებით გავაბრტყევე, კარგად დავძევე და რომ გამაგრდა, სხვა გუნდა მოვუმატე, ისიც გავაბრტყევე, შევანებე და ასე შევექმენი დაფა, რომელსაც ზემოდან თხელი ფენა გადავუსვი. ფრჩხილით ვაკეთებდი ჩანიშვნებს.

თითქოს პლაზმას არ ჰქონდა იმის იმედი რომ სწორად გაუგებდნენ, თითქოს ამიტომაც, უტყვე გარემოს გარეთ არ გამოჰქონდა ემოციები.

ძლივს შესამჩნევ ტალოვან ზედაპირზე ფრჩხილით ვგანრავდი, ლურსმულ დამწერლობას ჰგავდა. არა, ეს ნამდვილად იყო ლურსმული დამწერლობა. ვერასდროს მიგზვდებოდი, რატომ მისცა ღმერთმა ადამიანს ფრჩხილები, რომ არ დამჭირვებოდა ახლა, აი ამ წამს.

განუწყვეტილ ეფიქრობდი უდაბური ტრამალების საოცარი უნარის გამოუმჯღავნებაზე - სქელკედლიანი გარემოს მიერ სინათლის შთანთქმა და დაბადება, როგორც დღე და ღამე.

შესაძლოა, პლაზმის მიერ ფორმების შეცვლა თავისუფლების ილუზიაა, როგორც წინასწარგანსაზღვრული თავისუფლების ფარგლებში მინიჭებული დამოუკიდებლობა. მე ვთხრი, შევდივარ სიღრმეში, მე ვგრძნობ ჩემს თავისუფლებას, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითია, რადგან ამ გარსიდან ვერ გადახარ.

იქნებ თვით სინათლისგან შექმნილი მატერიაა სამყაროს ველი, რომელიც უხილავი და მიუწვდომელი განზომილების სამყაროს ერთფეროვანი აგებულების მატერიაა და უმაღლეს რეგისტრში სინათლის ველი ასე გამოიყურება.

ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ გასაოცარ

და სრულიად უიმედო გარემოში ყოფნით. მე ისევ აქ ვარ და სხვაგვარად არ ძალმიძს, რომ არა ეს წყევლო პლაზმა.

ნუ იწუნუნებთ რომ დამძლევი მონოლოგია, მგონი აქამდეც უნდა შეგნეყვიტათ კითხვა.

იქნებ ტვინმა ილუზიების პროდუქტი შეჭამა, რეალობის აღქმა სხვა დირექტორიაში დააკობრა, რის გამოც ფიქრი და წარმოსახვა რეალობა ჰგონია, რეალობა კი - ფიქრი. შემდეგ საკუთარ თავში დამალულმა გაურკვეველმა მარტოობამ მიმიყვანა დეპრესიამდე - დეპრესია ხომ შეიძლება სწორედ ასე გამოიყურებოდეს. ცნობიერებაში არსებული განზომილებები ვიზუალურად ხომ არ ვიცით როგორ იმზირება. მოკლედ, ვერაფრით გამეგო, რა პრინციპებიდან იღებს სათავეს ეს სივრცე.

იქნებ ვიდეთამაშა, რომელიც გამოხატავს სინამდვილეს განრიგებულ სივრცე-სივრცეებს, როგორც გამოცდას: მისია - გადაურჩი ამ სივრცეებს. ნეტა შემდეგი ღვეელი რა იქნება!

გეყოთ რა! ზუსტად ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, როგორის წარმოდგენაც ამ ეტაპზე ადამიანის გონებას შეუძლია. გარემო ყველაფერი არამიწერი სილამაზითა და სიმშვიდით სუნთქავდა და მას მხოლოდ მე ვარღვევდი. ნებისმიერი ტექსტი აზრს გაქმნინებს ჩვენი ყოფიერების გავლით, ამდენად, ვერაფრით ვერ მიხვდებით სად ვარ მე, რადგან ეს სრულიად სხვა ყოფითი გარემოა და თქვენ, მხოლოდ თქვენი ყოფითი გარემოს გავლით იაზრებთ.

შესაძლოა, ეს სივრცე დედამიწის ნიაღისეულია, რომელიც თხევადი სახით არსებობდა. ასეთი მოყვითალო სქელი, რბილი მასალა თავისთავად გვაფიქრებინებს რომ ის არის გაყინული მასა, ხოლო ის ჰაერის კავსულა, სადაც მე გამეღვიძა, ჰაერის წვეთია. თაფლშიც ხომ არის ხოლმე ჰაერის წვეთები დარჩენილი, სადაც ჭია თუ შეძვრა, სანამ ჰაერია, გულუკრით იკვებება, ბოლოს კი კვდება.

ნებისმიერი ეს ვარიანტი: საბადოა, ოცნებების სისტემური ჩიხი თუ სხვა, ყველაფერი ეს, რაც გავიზრე, ვერ ხსნის იმ მოვლენას, თუ რატომ ვარ მე აქ. საჭიროა ჩემს წარსულში ჩაწვდევ იმ წერტილს, რომლის განვითარებამაც მიმიყვანა აქამდე. სანამ ჭკვიანი ფიქრობდა, ბრიყვმა ხიდი გადაიბრინაო. ჰოდა, გადაწყვიტე ფიქრისთვის თავი დამენებებინა და თხრა განვაგრძე. ვთხრიდი აუღელვებლად, მშუდად, გულდასმით. ვთხრიდი პირდაპირ, სპირალურად, ოკროპოკრულად, ვთხრიდი მოულოდნელი მოსახვევისა და ავტომაგისტრალიციით. ვთხრიდი ყველაფრით: ხელებით, თითებით, კბილებით, ფეხებით, ვთხრიდი ნაჭერ-ნაჭერ, ბელტ-ბელტ... შევდიოდი უფრო და უფრო ღრმად, გულდინჯად მივიწვდი შეუცნობელი სიღრმისკენ.

ტექსტიც მიუახლოვდა თავის საიდუმლო ადგილს - გარდაუვალ ფინალს.

თუ ფიქრობ, რომ ეს ყოველივე სიზმარია, დაიწყე მესამე ჩანარების კითხვა.

თუ გაინტერესებს ჩემი მეგობრის ვერსია, ნაიკითხე მეორე ჩანართი.

თუ გაინტერესებს ავტორისეული ამბიციური ფინალი, დაიწყე პირველი ჩანართის კითხვა:



I ჩანართი

დროთა განმავლობაში ისე დაეხელოვნდი მეგაპლაზმით ძერწვაში, რომ ერთი ხელის მოსმით ვეძინდი მთებს, გორებს, მდელოებს, მინდვრებს, საითთაო დეტალს თითებით ვძერწავდი. მერე ისიც კი მოვიფიქრე, ყალიბები შემექმნა, რომ დამკობრივბინა ერთხელ შექმნილი. ასე გავამრავლე გვირილები, ბალახები, ათასობით სახეობის ყვავილები და ხეები. მაგრამ ყოველთვის ერთნაირი არ გამომდიოდა რადგან ყალიბი დეფორმირებას განიცდიდა. ეს კარგიც იყო, ვინაიდან ორი ერთნაირი ხე არ მქონდა. იმდენად გამიტაცა ამ საქმიანობამ და ისე ჩამითრია, რომ თავაუღებელი ვმუშაობდი. ამასობაში ჩანანერები დამიგროვდა. უამრავი რამ მქონდა ჩანიშნული, უამრავი გეგმის მონახაზი გაკეთებული. საჭირო იყო ასევე რუკებიც და არც ეგ დამზარებია. ფირფიტების მთელი წყება მეღაგა ჩემს სახელდახელოდ გაკეთებულ კაბინეტში. ზოგან ლურსმული დამწერლობის მსგავსი ჩანანერები მქონდა, ზოგან კი კარტოგრაფიული რუკები.

ასე გაიარა წლებმა. მეგაპლაზმა მკვებავდა ენერგიით. თვისობრივად განსხვავებული ლანდშაფტები და რეგიონალური ალპური ზონები შეექმნა. რა შედეგებია თქვენ არ იცით! თვალის შევლებაც კი სულიერ სიმშვიდეს და სიამოვნებას შევრიდა. მუშაობა არ შემინყვეტია ან ცერთი წუთით. მდინარის კალაპოტები თუ მოჩუხჩუხე წყაროებიც არ გამომრჩენია. მუშაობის რალაც ეტაპზე ლანდშაფტი უკვე თავად მკარნახობდა, რომელი მიმართულებით უნდა გამეგრძელებინა მუშაობა. ყველაფრის ხელით შექმნა რთულია, მაგრამ დღე სიამოვნებას ვიღებდი ამის კეთებით. მეგაპლაზმის თხელი ფენისგან საჭმელსაც ვიმზადებდი, რომელსაც თავდაპირველად ყველის მონაკული ბურთების გემო ჰქონდა, შემდეგ კი გემოების კომბინაცია დავიწყე და ისეთი გემრიელი და სასარგებლო კერძები გამომდიოდა, რომ მეტიც არ შეიძლება. საიდან იბადებოდა გემო არ ვიცი, მაგრამ გარეგნულად რა კერძსაც მივაგვანებდი, მის გემოსაც ისე ვიღებდი. ასევე საჭირო იყო პლაზმის ფენების განცალკევება, გაშრობა და დაჩირვა, ფქვილის მარცვლების და სხვა ნაირსახეობის მიღება.

ხავსების და ჭაობის კეთებისას მივხვდი, რომ ჩემი მუშაობა შემოქმედებითი პროცესი იყო. რომ ეს პროცესი რალაც კიდევ ახლის დაბადებას გამოიწვევდა.

ხეებს ფოთლები გასცივდა. ამდენი წლის განმავლობაში ასეთი არაფერი მქონდა ნახაზი. გამიკვირდა, მივხვდი რომ ბუნებამ სუნთქვა დაიწყო. სასწრაფოდ ღრუბლები შევქმენი. ეს არ იყო გაყინული დეკორატიული გარემო. ის ცოცხლობდა. შემდეგ უკვე დროის ამბავი იყო, საათის მექანიზმივით ერთმანეთს მიჰყვა მწერები, ქვეყანამაგლების და ცხოველების შექმნა. ყველა ეტაპზე აქტიურად ვმონაწილეობდი და ბუნებრივი პროცესების განვითარებას ხელს ვუწყებდი: ხარვეზებს

ვასწორებდი და გულდასმით ვაკვირდებოდი სივრცეებს. ოკეანეები და ზღვები თავისით გაჩნდა. ეს არ იყო რთული, დარჩენილი უზარმაზარი ღრმულები თხელმა, სწრაფად მოძრავმა მეგაპლაზმის სითხემ დაიკავა. ყველაფერი იმ სამყაროს ემსგავსებოდა, რომლის წარმოდგენაც შემეძლო. მერე იყო ფერის ამბავი. ჩემი შექმნილი სამყარო ნაირგვარ ფერებში იმოსებოდა. მეგაპლაზმისგან გაკეთებულ მთებს როგორ უნდა მიეღო ფერი, იკითხებოდა თქვენ სრულიად სამართლიანად. ფერის ამბავი უფრო თვალის ოპტიკური ილუზიისგან უნდა მომდინარეობდეს. მე მაინც მგონია, რომ მეგაპლაზმა თავად ინახავდა იმ საიდუმლოებებს, რომლის გამოყენებაშიც ასე დაეხელოვნდი. ეს იყო ფერის, გემოს, დრეკადი და მყარი, რბილი და თხევადი შესაძლებლობების მოცემულობა, რომელიც საჭირო დროს იცვლიდა და განიცდიდად სუბლიმაციას.

ყოველივე ეს ნამდვილი ხელოვნება იყო. ხომ ხვდებით რას ვგულისხმობ? ხელობაც იყო და გენეზაც - ორივე ერთმანეთში შერწყმული. ტექსტის ფინალიც აქ იკვეთება: ადამიანის შექმნას და შემდგომ ეტაპებს აღარ მოვყვები. ისედაც ყველაფერი გასაგებია. დიდებული რამეა დედამინა.

II ჩანართი

საოპერაციოდან გამოვიდა ორი თეთრხალათიანი მამაკაცი. საუბრობენ... ერთი ეუბნება მეორეს: ვერ ვიტან, ესეთ პატარა გოგოს აბორტს რომ ვუკეთებ ხოლმე... ამის მერე შვილს ან გააჩენს, ან ვერა... მეორე თეთრხალათიანი (ასისტენტი) პასუხობს: ვინ იცის, რა კაცი გამოსულიყო, რომ არ მოეშორებინა... ანდა ეხლა რა დღეშია... პირველი თეთრხალათიანი (ქირურგი) ამბობს: აი, ეგეთ სისულელეებზე კი ნამდვილად არ ვფიქრობ... რა დღეშია და მშვენიერ დღეშია: არ სტიკია, არ სცივა, არც შია და არც წსყუბია... არაფერი ანუხებ! არც ბანკის კერი და არც იპოთეკა! ჩვენი ვიკითხოთ, თორე!..

III ჩანართი

უამრავი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ტექსტი მთავრდება მთავარი გმირის გაღვიძებით. თურმე აქამდე ყოველივე არარეალური ყოფილა, ვილაც ერთი ჩურჩუქის სიზმარი და მეტი არაფერი. არაერთი თეორეტიკოსი აღნიშნავს, რომ ნანარმოები, რომელიც სამყაროში ცნობილი კანონების მიღმა არსებულ მოვლენებს აღწერს და ფინალში სიზმრის გახსენებით მთავრდება, არაა სამეცნიერო ფანტასტიკა. თქვენი ჭირიმე რა, აინუნშიც არ აგდებენ მწერლები მსგავს მოსაზრებებს. დღეს ეს ყველაფერ იოლ დასასაზრულად ითვლება, მაგრამ თავის დროზე თავისებური მოკრძალებული ხიბლი და მიმზიდველობა ჰქონდა.

ჩემი ფინალიც შეიძლება ასეთი ყოფილიყო: მოულოდნელად გამეღვიძა, საათს დახევი, შვიდი არ იყო, ოფლიანი შუბლი მოვისრისი. უკვე ნახაზის და განცდილის გახსენება დავიწყე. ამ დროს მალკიძარამ დარეკა. ჩვეულებრივ, შვიდზე არ ვაყენებ ხოლმე. ლოგინიდან ავდექი, სამსახურში წასასვლელად გავემზადე.

თეკლა ერემეიშვილი

ლურჯი ღამეები რომ განთიადებად გარდაიქმნებიან

„ჩემმა ოცნებამ ქართველებს თავი უღარა, ჰაშიმის მსგავსად აამღვრია ჩემი იღბალი“.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ტყიბულის ჯართსაყრელზე რკინის და მოსანევის სუნი დგას. სიმარტოვით სავესე ვეტრომი ძმაკაცები უბორბლებო და უფანჯრებო, ძველისძველ „ვოლგაში“ მარისხუნას ვზრდით.

სანამ მემახტეების სახლში დაბრუნებამდე მათი ცოლები გაუბედავი შიშით იყურებიან გზისკენ, ბიჭები ორლობეში გამომწყვდეულ ავადმყოფ ღამეებს გაეურბივართ და საერთოდაც, სხვანაირ ცხოვრებაზე ფიქრსაც ვებედავთ.

ჯართსაყრელის გარდა ერთი ამოჩემებული ადგილი გვაქვს და ღამღამობით ავდივართ. ასე ვიკამყოფილებთ გადაკარგვის სურვილს იმ სახლებიდან, რომლებშიც შეიძლება ერთ დღესაც ველარ დაბრუნდნენ ჩვენი მამები.

ფერდობისკენ მარტო მივდივარ, მერე ალბათ ბიჭებიც ამოვლენ. დამტვერილ ფანჯრებზე მომწყდარ მისუსტებულ ნათებას უკან ვიტოვებ. სახლებისკენ მიმავალი მემახტეების ლაპარაკი ჩამესმის, ხმებს ვითვლი... მამაჩემის ხმას ვერ ვპოულობ სხვებში. ალბათ მესამე სოფლის ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილი რომელიმე სახლიდან გამოდის და დაღმართს მოუყვება, იშვიათად თუ ნახავ სახლში, მიტყდება, მაგრამ საკუთარ მამაზე მეტად სხვის მამებს ვიცნობ... ფიქრებიდან კენჭების აქეთიქით გადასროლის ხმას გამოვყავარ. უკან ვიხედები, ვიღაც მოდის. სიბნელით ნახევრად შეჭმული სხეულის კონტურებით მიჭირს ამოვიცნო სულიერი თუ არა, ქალია თუ კაცი... „მგონი, ოდნავ წელში მოხრილი უნდა იყოს. მოხუცია?“ ჩვენ შორის მანძილი მცირდება. ვიძახები. მიახლოვდება, მაგრამ არაფერს ამბობს. „უცნობია?“ უცნობს აქ რა უნდა, ამ დროს? - ამ ფიქრებში ვარ და თანდათან გამოსახულება მკვეთრდება, ადამიანის სახეც ცხადი ხდება. - კრავაი?! - ზედაც არ მიყურებს ისე აგრძელებს გზას. აქ რა ჯანდაბას აკეთებ? - ვეკითხები. ვერ დამიძახე შენ თუ იყავი? გული გამიხიბეთქი, გოგო! - ვკიდივარ, ისევე არაფერს მუხუბნება. კრავაი ერთადერთი გოგოა ჩვენს სამეზობლოში. ლურჯი ღამეები გვაქვს საერთო, ომობანაც და ფეხბურთიც, მოკლედ, მთელი ბავშვობა. რაღაც ფარული რომანტიკა ყოველთვის მქონდა მის მიმართ, სიღრმეში ჩაკარგული, აი, რომელიმე საღამოს რომ მონიდრობებს გაბნევის ახლადაფეთქებული და გადახსნილი ატმის ყვავილის სუნში. აბა მუდმივი რომანტიკისთვის ვის სცხელა აქ. ისიც ფერდობისკენ მოდის როგორც ჩანს, აქით გზა სხვაგან არსად მიდის.

საღამო ღამედ გარდაქმნისთვის ემზადება, მიღამო კრავაის კაბის ფერია. ესთეტიკურმა აღქმებ-

მა სიბრაზე გამიქრო და ახალა აღვიქვი მძიმე ტომარას რომ მოათრევს. დახმარებას ვთავაზობ, - უარზეა. რა მოგაქვს-მეთქი? - ვეკითხები. ცოდვებიო - მვასუსობს. ისე მსუბუქად მიაბიჯებს ამხელა ტომრით აღმართში ეს გამხდარი გოგო, რომ საკუთარი მძიმე ამოსუთქეების მრცხვენია. როგორც ქინა, ფერდობზე ავადმყოფი. კრავაი ტომარას ბეჭიდან იხსნის და ხესთან დებს. გულის არქარებაც კი არ ეტყობა. მე კიდევე, დაღლილობისგან ველარ ვძლებ და მინაზე ვჯვდები. ფერდობიდან ვარსკვლავურ მტვერში გახვეული სოფლის ირიბი ნათება მოჩანს. ჯობიდან გამხმარ მარისხუნას ვიღებ, ვახვევ და კრავაის ვანვდი. უარის ნიშნად თავს აქნევს. გულაღმა ვნვები და მოსანევის რამდენიმე ნაფაზად ბოლომდე ვისრუტავ. მეფიქრება კრავაის არაქალურ, მაგრამ მანაც სექსუალურ ფორმებზე, ჰაეროვან სხეულზე, ჯერ კიდევ გასაზრდელ და გამოსაკვეთ ძუძუებზე. აი, გაზაფხულის საღამოს რომ ნაზი სუნი ასდის ხოლმე, მაგ სუნის მსგავსი ფიქრებია, მეშინია ესთეტიკის ზედოზირება არ მომიადიდეს. წარმოსახვეში იზღაზნებიან. მინა შახტიდან გამოსული კაცის ხელობივით შავი და ოდნავ უფრო თბილია. მაგას რას უშვრები-მეთქი? - ტომარაზე ვეკითხები. მივხედავო, - მოკლედ მვასუსობს. თანდათან ზანტ სისუბუქეში ვეფლობი. აღარც ლაპარაკის თავი მაქვს, ცას ღრუბელი ამღვრევს. მე - მარისხუნა. მიღამო მისრუტავს, ვუჩინარდები.

ძიღმა რომელიღაც ფაზიდან გამომისროლა. თვალს ვახელ, შუალამის მთვარის შუქზე სილუეტად იკვეთება კრავაის სხეული. მინას ეჩალიჩება სათამაშო ნიჩბით. მონუქლზე რომ ასეთ საიდუმლოს მთავაზობს განგება, ცოტა არ იყოს ვიზაფრები. რა ჯანდაბას აკეთებ-მეთქი, ვეკითხები. - არაფერს, მვასუსობს. მინის თხრას აგრძელებს. გოგო, არ გვსმის შენ? რა გჭირს გამავებინე!

ნერვიულად ძიღის ტომარასთან, აპირქევაებს და ჩემ წინ მისი ძაღლის ლეუმი ვარდება. ყელგამოჭრილი ძაღლი. განზე ვხტები და ცხვირზე ხელს ვიფარებ ინსტინქტიურად. სპაზმები მეწყება. ეს ისევე აგრძელებს მინის თხრას და ლაპარაკს იწყებს; გუშინ მამაშენი იყო ჩემთან, დედა იკითხა, სახლში არ არის-მეთქი, არც მამა მოსულა ჯერ შახტიდან-თქო, დედაშენის გამოხდით არაყს არ დამალევივებო? - მკითხა, სახლში შემომყვა, ნასვამი იყო ისედაც და სწრაფად დალია ზედიზედ. ცოტა ხანში უცნაურად დამიწყო თვალღერება, დავიძახე, წამოვდექი და გარეთ გასვლა დავაპირე, იქნებ, მოიფიქროს, ადგეს და წავიდეს-მეთქი. წამოდგა და კარში გადამელო-

ბა, საშინლად თვალებჩანთლებული და ძარღვებ-
დაბერილი იდგა, უცებ კაბა ამინია და ხელების ფა-
თური დამიწყო. რას აკეთებ-მეთქი, სისხლი მომან-
ვა თავში, თავბრუ დამეხვა, წავბარბაცდი. - რა იყო,
დავიჯერო ამას ბიჭებთან არ აკეთებო? მაგიდაზე
დანა იდო და ხელი ვერ მივანვდინე, თორემ ალბათ
დავარტყამდი! - მოყოლისას ნიჩაბი ხელიდან უვარ-
დება და თვითონ იქვე იკეცება ძაღლის გვამთან,
ამბის გამხელით ძალაგამოცლილი. მოყოლისას იმ-
ხელა ინტერვალებს აკეთებს წინადადებებს შორის,
რომ ყველაფრის წარმოდგენას ცხადად ვასწრებ,
წარმოდგენები ტვინს მიფეთქებს. აგრძელებს: რო-
გორ გამოვექეცი არ მახსოვს, მარტო ერთხელ მი-
ვიხედე უკან და კიბეზე ჩამოვბოდა, მერე ძაღლის
ამოყმუფლება... დანარჩენი არაფერი მახსოვს...

მე ვერაფერს ვამბობ. იმის გააზრებით, რომ ასე-
თი ამბები ერთ პატარა, მემხატეების ოცნებებით
მიქნცულ სივრცეში შეიძლება ხდებოდეს, ისტე-
რიული რეალობის სიბლანტეში ვეფლობი. სპაზმე-
ბი მიძლიერდება და მინაზე საკუთარ წარწყვეტი
ფორთხავ. კრავაი ძაღლს ორმოს აზომებს და მი-
ნის თხრას აგრძელებს.

დასავლეთის ქარს საიდანაც მოსანევის სუნი
მოაქვს და ძაღლის ლემის სუნს უზავებს. შუალამე
განთიადად გარდასაქმნელად კოსმოსიდან დას-
ტურს ელოდება.



პური და სანახაობა

„დიდება შენდა უფალო, ჩემსავით თავისუფალო“

ერეკლე დვისიძე

ანაფორიანი მძიმედ დააბოტებს პურის ყანაში
და თავისივე ჯიპივით შავი ბათინკებით მსუბუქ
თავთავებს თელავს. საკმეველიან ხელს აქეთ-იქით
იქნევს და გაუგებრად ბუტბუტებს. ჯგუფ-ჯგუფად
დგანან თანასოფლელები. სამოცდაათ წელს მიტა-
ნებულ ამირანს თითები ისე აქვს ერთმანეთზე გა-
დაჯვარდინებული, მისი მარცხენა ხელის ცერა
თითზე ამოსვირინგებული ჯვარი რომ გამოჩნდეს,
თან საკმევლის კვამლს აყოლებს თვალს...

„ვინ დაგვწყევლა, მინამ უყოს პირი იმასო“, „ემ-
მაკშიც წასულა აქ დაბუდებული ემბაკიო“ - წყევ-
ლაში აზაგებენ თავსაფრიანი ქალები მღვდლის
ლოცვას და დასავლეთის ქარს ატანენ. აქ ოცდახუ-
თი წლის წინ მომხდარი უბედური შემთხვევის შემ-
დეგ მფლობელმა ხელი აიღო ადგილის პატრონო-
ბაზე, წლების შემდეგ კი მიტოვებულ მიწას სხვა
დაეპატრონა. მას შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდა,
ვისაც ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა სოფელში,
მინის პატრონიც ის ხდებოდა იმ წელს. დაამუშა-
ვებდა და მოსავალსაც მოიყვანდა. ახლა თვითონ
მინას უჭირს. სოფლის ერთობლივი გადაწყვეტი-
ლებით მღვდელი მოიყვანეს და აკურთხებენ აზიუ-
რი ფაროსანებისგან „განსანმენად“. სპეციალურ-
მა წამალმა ვერ უშველა და იქნებ ნაკურთხმა წყალ-
მა უშველოსო. „აქამდეც უნდა გვეკურთხებინა, ის
უბედურება რომ დატრიალდა მაშინო“- ჩემს გვერ-

დით მდგარი ქალი ეჩურჩულება მეორეს. „მაშინ
მღვდლები სად იყო ქალო, ვინ იცოდა ანდა კურ-
თხევანო“- იხსენებენ ოცდახუთი წლის წინანდელ ამ-
ბავს. თან ფაროსანებს იგერიებენ ხელით და ჩუმი
აგრესიულობით იძახიან ცალყბად: „ჭირმა გაგწყვი-
ტათო!“. მოკლედ, სანახაობა არის და პურიც იქნე-
ბა ალბათ...

* * *

მაშინ, ოცდახუთი წლის წინ, უნივერსიტეტს ვამ-
თავრებდი, ფილოლოგიის ბოლო კურსზე ვიყავი და
პრაქტიკაზე გამიმეცეს ჩემი სოფლის სკოლაში ქარ-
თული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად. რო-
ცა შენი ექვსი-შვიდი წლით უმცროსი მეზობლები
ოჯახივით პატარა, ნავთის სუნით გაუფენთილ სკო-
ლაში „მასწავლებელი“ მოგმართავენ, არის ამაში რაღაც
რომანტიკული. ჩხუბები და გარჩევები ყოველი დღის
ნაწილი იყო; მოზარდი ბიჭები ერთმანეთის ცემის
გარდა თავის თავს ვერაფერში გამოხატავდნენ. ნი-
კო საბაურისა და ილია ბერიძის მარადიული ქიშ-
პობა კი არ გავდა უბრალო ცემა-ტყეპას. ამაში მა-
შინ დავრწმუნდი, როცა ნიკო სკოლის უკანა კედელ-
ზე აკრულ დამფრთხალთვალეებიან, სხეულაცხცა-
ხებულ ილიას დანას უღერებდა. ნიკომ შემამჩნია
ფანჯარაზე მინის მაგივრად გაკრული ცელოფნის
ჭურჭრუტანიდან რომ ვიხედებოდი. ილიას ხელი გა-

უმჯობესა და დანა დემონსტრაციულად ჩაიდო ჯიბეში, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია. მეამბოხე მოზარდისთვის და საერთოდაც 90-იანებისთვის დამახასიათებელ „ხულიგნურ“ მუხტზე გაცილებით საშობი რამ ჩანდა ნიკოს თვალბეჭეში. ყველა გაურბოდა მასზე ლაპარაკს, მათ შორის სკოლის დირექტორიც, რომელთანაც მივედი და მოვუყევი რაც მოხდა. დაბნეულმა კარისკენ გაიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, მერე მომიახლოვდა, პირზე ხელი ამაფარა, საკუთარი საჩვენებელი თითი ცხვირზე მიიდო და თვალბეჭეფართოებულმა მითხრა: იცოდე, არაფერი დაგინახავსო! მერე კი ნაკლებად მკაცრი ტონით, უფრო შიშნარევი, გაბზარული ხმით დაუმატა: ნიკოს ბიძა იცი ვინ არისო? - კანონიერი ქურდი ტარიელ ხეთაგურიო. თან ისე გამომხედა, მაგრძნობინა, ეს თემა სამუდამოდ დაიხურაო. იმის შემდეგ, როცა შემთხვევა მიეცემოდა, ნიკო განგებ მიყურებდა ხოლმე თვალბეჭეში. გაფრთხილებას ჰგავდა მისი გამომეტყველება...

* * *


სკოლის დირექტორის მოთხოვნის მიუხედავად, შეუძლებელი იყო მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე მეკონტაქტა მოსწავლეებთან. სკოლის გარეთ მათთვის უზარალოდ ექვსი წლით უფროსი თანასოფელი გოგო ვიყავი. პატარა სოფლის მცხოვრებლებს მდინარე გვექონდა საერთო და ნავთისსუნიანი ლამეები. სკოლიდან დაბრუნებულები გადავივლიდით იმ მინდორს, სადაც ახლა პურის ყანაა და შუა სექტემბერში მდინარის პირას მოპარული, ჩამობერებული საზამთროს ჭამით ვაგვყავდა დრო. ოღონდ ჭამაზე მეტად დაჭრის რიტუალი გვართობდა. ნიკოც თუ შემოგვიერთდებოდა ხოლმე, მაშინვე დაძაბულობა და უარყოფითი მუხტი მოჰქონდა. არავის უყვარდა, მაგრამ ამას აშკარად ვერავინ გამო-

ხატავდა. ალბათ იმ ფარული შიშის გამო („იცი თუ გის ბიძა ვინ არის?“). მხოლოდ ილია იყო, ვინც ებასუსებოდა და მის ახირებებს მხარს არ უბამდა.

ერთხელაც, მდინარის მეორე ნაპირას სათევზაოდ გადასულ ბიჭებს გაგონილი ხმამაღალი ლაპარაკი და ჩვეული გინება არაფრად ჩაუგდიათ, მოვიანებით, როცა იმ ადგილისკენ ნავიდნენ, სადაც ნიკო და ილია დატოვებს, იქ არცერთი აღარ დაუხვდათ, მხოლოდ გადახსნილი, ფერდებდამტვერული, ნაჭრილობები საზამთრო ეგდო დანის გარეშე. იმ დღიდან გაჩნდა (შე)თქმულება, ამ ადგილს ბოროტი ძალა დაეპატრონაო. მომხდარიდან მხოლოდ ორი დღის განმავლობაში თუ შეამჩნევდით სისხლის კვალს მდინარისა და სოფლის მაკვებირებელ მდელოზე. ორი დღის შემდეგ ისიც გაქრა, როგორც თავად ილია ბერიძე, რომლის დაკარგვასაც ავსულებს აბრალებდნენ.

ვერაფერი გამოვნახე მაშინდელი ბნელი დროსავით ბნელი ამბის კლანჭებიდან თავდასახსნელად. კარგა ხანს გარეთაც ვერ გამოვდიოდი. სკოლას აღარ გავკარებიავარ. რაც ქვეყნიდან თავისუფლად გასვლა შეეძელი, მას შემდეგ მხოლოდ ახლა, პირველად დავებრუნედი სოფელს. ვდგავარ ადგილას, რომელსაც ოცდახუთი წლის წინ გადაუწყვიტეს, რომ დაწყვილილია და წყევლის გასანეიტრალებელ რიტუალს ახლა ატარებენ. (ისე, საკრალურობისა რა გიხრათ, მაგრამ მაგიური რიტუალი კი გამოვიდა).

მღვდელი თავს არ იზოგავს, რომ პურიც გვეკონდეს და სანახაობაც. გზადაგზა შემხედვრ ფაროსანებს გამეტებით ურტყამს ფეხს და იქვე კლავს. თითზე ჯვარმხატვლი ამირანის თვალში სიმბათიას იმსახურებს. ბუტბუტს აგრძელებს და აღარ მიყურებს ისე დაჟინებით, როგორც ნიკო საბაური, არამედ, ხანდახან ცალი თვალით გადმოხედავს ხოლმე, უკვე, როგორც მამა ნიკოლოზი.



გიორგი ჩუთლაშვილი

დანაკარგი


1
დროდადრო ვკარგავ ღრუბლებს შორის ტერიტორიებს.
ტერორისტის ყუმბარასავით ხელში უიმედობის
ჯოხი მიჭირავს და ვისზე
გადატყდება თუ არა ჩემზე?!

დროდარდო ციდან მეტეორის მსგავს პურს მესვრიან,
ვილაცის მკვდრები...
ჩემმა მკვდრებმა კი, ნუთუ დამივიწყეს?
ნუთუ ნაუყრუეს,
ჩემს თამაშის წესებს
და მტერთავი გამხადეს
თავიანთი განსაცდელების?!..
ნუთუ ის ხმა, რაც მინის ზედაპირზე დაცემისას
აღმომხდა, ვერ გაიგეს?
და თუ ვერ გაიგეს,
ვერც ჩემს ვითომ - უდარდლოობას
ვერც წამოიყვირებენ.
ვერც ჩემს სახეს ვერ ამოჭრიან
მინის ძირიდან...

2
დროდადრო ვაჯამებ ჩემს დანაკარგს;
სახეებს - სახლებს
ღრუბლებს - საყვარლებს
ჩიტებს - თვალებს
ცდუნებებს - დღეებს...
და მინდა მეგონოს, რომ არ შემშლია
ის ადგილი, სადაც
დიდი დანაკარგით გაქონილ ტანს
ზანტად მივათრევ...
და მინდა მეგონოს, რომ არ შემშლია
სააქაო...
და მინდა მჯეროდეს, რომ საიქიოც
არ შემეშლება...

ძია ჯოი

ნავსადგურთან ახლოს ცხოვრობდა...
გამდინარე წყალივით იყო აჩქარებული
და აქედან გამომდინარე,
ცაზე გამოტოვებული ღრუბლისკენაც
შეეძლო ხელის წაღება.
ხიდან აფრენილ ჩიტსაც სწვდებოდა.
კაუჩუკის ხის კენწეროსაც..
გოლფის თამაშიც უყვარდა დღეგამოშვებით..
ნავმისადგომთან, როცა ფიქრობდა ძია ჯოი
მწერლის თვალებით..
მჭრელ დანის პირზე არეკლილი ცა, თითქოს ხელზე უთროთოდა...
თითქოს თითები ეღრუბლებოდა...
ძია ჯოიმ, ყველა ჩაძირული გემის ამბავი
ყველა დაღუპული მეზღვაურის ამბავი კარგად იცოდა...



მეგობრები ხშირად შესძახებდნენ ხოლმე ამ სიტყვებით:

„მწერლის თვალები გაქვს - მეგობარო, მწერლის...
სამართების ბასრ პირზე შემოსკუპებულხარ,
თითქოს ქლიავის ხმელ - მოკლე ტოტზე
და ისე, უსმენ ამ სამყაროს ვითომ მოხუცი კაცი ხუმრობდეს...“

ნავსადგურთან ახლოს ცხოვრობდა
ძია ჯოი
და მაშინ მოკვდა
როცა ნავსადგურთან ახლოს
ფიქრობდა
ჩაძირულ გემზე
ვილაცის ცხოვრებაში
ჩაძირულ ადამიანზე.
ალბათ ჩემზეც...
ალბათ სარაზეც...

სარა

1

ენა დამება.
როგორც გაზაფხულს მერცხალი...
მიტოვებულ ქარხანას ქარი...
ქლიავის ხეს - მთვარის შუქი...
ნიუ-იორკის ქუჩას ხმაური...

2

ენა დამება.
ენება დამება.
ნება დამება.

საუბარი ვაგაბი უცნობ ქალთან,
როგორც თოკი სარეცხისთვის...
როგორც სადენი ინტერნეტისთვის...

უცნობ ქალს სარა ერქვა...

„სარა - 27 წლის მოცეკვავე
- შავგვრემანი
სვირინგიანი სული“.

3.

„სიეტლი“
43-ე ქუჩის გაჩერებაზე შემეყვარდა სარა
და 56-ე ქუჩის გაჩერებამდე გამყვა სიყვარული...
ახლა 63-ე ქუჩის გაჩერებაზე დღიურში ვინერ
თუ როგორ შემეყვარდა სარა
43-ე ქუჩის გაჩერებაზე და
კინალამ მანქანამ გამიტანა...

4

ჩვენ, გამართულად დავიწყეთ საუბარი, ამ ცხოვრებაზე
და ორივე უფრო და უფრო დავრწმუნდით იმაში, რომ ის გაუმართავი იყო
სარას მეზობელი, ძია ჯოის*, მანქანასავით...
მერე ცხოვრებას გვერდი შევუცვალეთ...
სიკვდილშიც გამოვტეხეთ ერთმანეთი,
სადღაც დაგვაგვიანდა



და უგრძნობლობის აღმართსაც ავუყვებით...

სუნთქვაც შეგვეკრა
ბავშვობისდროინდელი ამბების მოყოლით,
პირველი ონანიზმის გახსენებით...

სუნთქვა შეგვეკრა
როგორც ფოსტალიონის ჩანთას ზონარი.
დილის ანგელოზს მარტოობა.

5
მახსოვს, სარამ, როცა პირველად
სიტყვა გამომიყო, როგორც ენა
მე დავიბენი
და ჩემი ენით მოვუყევი მას,
ჩემი სისუსტის შინაარსი...
ჩემი მოძრაობის შინაარსი...
ჩემი უძრაობის შინაარსი...
მერე მიყრუებულ ადგილას გაგვეღვიძა.
სარას თითებზე დღე გადიოდა,
ჩემს მხრებზე ღამე...
ახლა ამ ყველაფერს ვიხსენებ
და ცრემლი მადგება
თვალზე კი არა,
თითქოს პირზე, თითქოს ენაზე...

„ახლა იმასაც ვხვდები, რომ
ჩემი ალუბლის ხე, ერთხელაც,
კვირტს კი არა სარას ჩრდილს გამოიღებს...“

6
სარა ცეკვავდა ყოველდღე
ღია ცის ქვეშ თვალდახუჭული
და ცეკვით ზუსტად აღწერდა,
საკუთარი შიშის საიდუმლოს...

7
ენა დამება.
დანა ავიღე და დრო ოთხად გავყავი
მარჯვენა ხელი სვიტერში
მარცხენა კი სარას
განვლილ ცხოვრებაში გავყავი და
სპექტაკლიც დაიწყო...

„სუფლიორს სძინავს.
მე და სარა სცენაზე ვწევართ
სავსე მთვარე სცენაზე ეშვება.
მე სარას ფეხებს შორის ხელს ვაცურებ
როგორც ქლიავის ტოტებს შორის
მთვარე სინათლეს...“
პ.ს
სარა ფრიგიდული არ არის...

8.
მე და სარა, ყოველ ღამე - სათადარიგო სიყვარულის
კედლებს კირით ვათეთრებდით...
მერე ვიძინებდით - და ყოველ ღამე...

მაღალი შენობის სახურავებსაც ხშირად ვლაშქრავდით,

პლედში ვეხვეოდით და ვარსკვლავებს
ვიგროვებდით თვალბეჭდით...
ბავშვობასაც ვიხსენებდით და სანოლის ქვეშაც
ვემალებოდით

დრო და დრო ერთმანეთს,
მაგრამ ყველაზე ხშირად ერთმანეთის
გულუბრყვილობის ქვეშ ვიმალებოდით...


9
ენა დამება...
არადა, თთქოს არაფერი გამიგონია
არადა, თთქოს არაფერი დამინახავს.
დანა გაწმინდე, ფეხსაცმელი გაწმინდე.
სული შიგნიდან - ხორცი გარედან...
სული შიგნიდან - ხორცი გარედან...
ენა მოვიჭერი - ენა მზარე და...
სიტყვა გამიწყდა...
სარამ მილალატა...
სარას ნაჩუქარი ქვიშის საათი
ქვიშით კი არა მისი ღამეებით აივსო
და აღარ დაიცალა...
მისი ტყუილის უმნო სხეულით აივსო და აღარ
დაიცალა...

მისი მდუმარებით აივსო და აღარ დაიცალა...
ბოლოს ქვიშის საათსაც დაება ენა...

10
ცამოწმენდილია - ჭიკა ვისკით ავივსე
და წყალივით შემოვარდა
მარტოობა საძინებელ ოთახში
და იატაკიდან ამოყვინთა ტრაგედია
ჩემს ფეხებთან...
ცოდვები დამიგროვდა
ხარახურით სავსე სხვენი...
(სხვენი უნდა დაინგრეს...)
ტკივილი დაინერწყა
ჩემი ცხოვრების ყულფში გასაყრელად
და სიკვდილი კიდევ ერთხელ გავახილე...

11
სარამ ამოიბრუნა სიყვარული - ჯიბეებივით
სარამ ამოიბრუნა რწმენა - ჯიბეებივით
სარამ გაისტუმრა სიყვარული - ვალივით
სარამ გაისტუმრა ბედნიერება - ვალივით
სარა - ნავიდა...





გაუნყოფა. განკაცება. ცდუნება. გაფრთხილება.

1

მათე, XIV, 22-34

„ხოლო ნავი უკვე გაშორებული იყო ხმელეთს მრავალ უტევანზე და ირყეოდა ტალღებისგან, რადგან იყო საპირისპირო ქარი. და ღამის მეოთხე სახმილავზე მივიდა მათთან იესო ზღვაზე სვლით; ხოლო როდესაც მოწაფეებმა დაინახეს ზღვაზე მავალი, შეძრწუნდნენ და თქვეს: მოჩვენებაა და შიშისაგან შეჰყვიერეს.“

წყალს, რაც არ უნდა გაატანო - სიზმარი,
თევზი, გემის კიჩო, ბოთლით წერილი..
ცოდებებიდან მობრუნებული ადამიანი
წყალს - ღანვზე მოიგროვებს ყველაფრიანად
მომავლის ცრემლთან ერთად
და სადმე რამეს მიეტმასნება...

ადამიანი მობრუნებული
წყლითაც დაინერება,
გაუნყოფაც დაემართება
და თუ ირწმუნებს
წყალზეც გაივლის, რადგან წყალზე
ცოცხლები დადიან...

წყალი - მზის სხივს,
პურის ლუქმას,
ქვას,
შუშის ნატეხს - ზურგზე დაილობს..
მერე
ადიდდება სირცხვილისაგან,
ანგელოზის ცისფერ თვალებს
ტალღებს აუნყებს და
უკან მოიტანს
ტალღით - სიზმარს,
ნახევარ თევზს,
გემს, სახელად „ვიქტორია“
და ბოთლს წერილის გარეშე...

ჩვენ უწყლოდაც ვიტყვი
სათქმელს და წყლითაც..
წყლით ნათქვამ სიტყვებს
სახლის საძირკველზე დავენთ..
უწყლოდ ნათქვამ სიტყვებს
სახლის სახურავზე...


„რომელ სიტყვასაც დაემართება გაუნყოფა
ხელისგულზე დავენთ, რომ არ დაგვაინყდეს:
და თევზგამოვლილ
და მკვდარგამოვლილ
და გემგამოვლილ წყალზე გავივლით“.

2

„იოანე 1;14

*და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენ შორის მადლითა და ჭეშმარიტებით
აღსავსე და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება“.*

კაცს, ვინც არ უნდა აადევნო
და რაც არ უნდა აადევნო - მკვლელი,
მეძავი,
ღამის დარაჯი
თუ
შენი სიკვდილი,
კაცი მაინც იპოვის
საკუთარ ადგილს,
განკაცდება და სადღაც,
ისიც კი წამოცდება,
რომ უკვე იცოცხლა:
ვილაცის ჯიბრზე
ვილაცის ხარჯზე
ვილაცის ჩრდილში
ვილაცის თვალში
ვილაცის გამო.



3

მათე 18:9


„და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისა? შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა“.

კაცს თვალი აცდუნებს..
ადგება ამოითხრის,
ტბაში ჩააგდებს...
„ერთიანობამ მიუბოძა ტბას სისავსე“
იტყვის - ლაო ძი.
თევზის თვალი
კაცის თვალის წილ...
„განიმარტება
როგორც სიმძიმე
იმ სინამდვილის
რაც ჯერ არ ვიცით“ ...
თევზის თვალი
ღმერთის თვალის წილ...
იტყვის სიკვდილის
გამომცხადებელი.
ტბა დაშრება -
ჰაერი ჩაიხუთება
და საჰაერო მიმოსვლას
შენწყვეტენ ცისფერთვალეა
ანგელოზები...




4

ცას გაუფრთხილდით.
ფეხი თუ დაუცდათ
ცისფერთვალეა ანგერლოზებს
ციცაბო ციდან
არ შეგეშინდეთ
მხარი აუბით
მათ
და მიწის კიდეზე
დამაჯერებლად დააციეთ
არა ცოდვით არამედ
გულუბრყვილობით...
ცას უყვარს კაცის - მარტოობა
კაცის - სიფხიზლე...
კაცის - სიფრთხილე...
წყალს გაუფრთხილდით.
წყალს უყვარს კაცი
მდინარის - სახლის
ქუჩის და ღმერთის..
მიწას გაუფრთხილდით.
მიწას უყვარს კაცი
წყლის და განთიადის
ტყის და ჭაობის...
და მაინც..
ყველაზე მეტად...
ყველაზე მეტად,
ყველაზე დიდი მონდომებით
სიკვდილს გაუფრთხილდით
ხმაგაუმტარ დღეებს შორის
ქარივით ჩამდგარს...
სიკვდილს უყვარს კაცი:
უკაცრიელი,
გაუვალი,
მეუვალი,
სავსე,
ცარიელი...



ალასი აივაზიანი



ალასი აივაზიანი - სომეხი მწერალი, ქვის მთელი, სცენარისტი და რეჟისორი, საქართველოში - აბასთუმანში დაიბადა 1925 წელს. ერზერუმიდან 1915 წელს გადმოსვენილმა მისმა მშობლებმა თავი საქართველოს შეაფარეს. 1942 წელს ალასი აივაზიანს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაუბარებია, 1945-49 წლებში სწავლა ერევნის სამხატვრო ინსტიტუტში გაუგრძელებია. 1948-1953 წლებში სწავლობდა ერევნის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

მოთხრობების გამოქვეყნება ალასი აივაზიანს დაუწყია 1954 წელს, თბილისის სომხურენოვან პრესაში, მოგვიანებით დაიბეჭდა მისი ნაწარმოებები ერევანშიც. 1965 წელს მწერალი საცხოვრებლად ერევანში გადადის და მუშაობას იწყებს ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში. 1969 წელს გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული. გარდაიცვალა 2007 წელს.

ალასი აივაზიანის მოთხრობების დიდი ნაწილი ძველ თბილისზეა. ერთი მხრივ, მისი პერსონაჟების სმა და დიალოგები, და მეორე მხრივ, ის მხატვრული ხერხები თუ სიმბოლოები, რომელთაც ალასი აივაზიანი ძველი თბილისისა და თბილისელების აღსაწერად იყენებს, მის მოთხრობებს თბილისზე - ძველი თუ თანამედროვე მწერლების მიერ დაწერილი ყველა სხვა ნაწარმოებისაგან გამოარჩევს.


მთარგმნელი

ემმაკის დახმარება

თარგმნა მედეა იმერლიშვილმა

აკოფს თავისი უბნიდან, ანჩისხატიდან, სხვაგან, ვთქვათ, ნავთულში ან დიდუბეში გადასვლა აზრად არ მოსვლია. ეს მთელი მოგზაურობა უნდა ყოფილიყო და თან უნდა მოჰყოლოდა ყველა ნაცნობი ხმისა და სუნის, ყველაფერი ჩვეულის და ახლობელის გაქრობა. ადგილი უნდა ეცვალა მისი სხეულის ნაწილებისთვისაც კი - ფილტვები ყელში უნდა მოებჯინა, ნაწლავები - თავის ქალაში, გული კი კუჭში გადაებარებინა... ჰოდა დაიშლება აკოფი და ყველაფრის თავის ადგილზე დაბრუნებას არაერთი დღე დასჭირდება. ისევ რომ მისწვდეს მის ნესტოებს მტკვრის კურთხეუ-

ლი სიმყრალე, ყურებს - კარის გულისგამანვრილებელი ჭრიალი, ბრტყელ სახურავებს რომ ისევ მოეფინოს შემოღობი ბეჭის ყოველდღიური ღრიალი... აი, თბილისი - წინ ფუნეკულიორი, უკან - ავლაბარი, აივანის ქვეშ - მტკვარი, პირსაბანი, სამრეცხაო, ნაგავსაყრელი, თევზაობა და პეიზაჟიც კი. აკოფი მტკვარში ირეცხავდა დაჩვრეტილ წინდებს, მტკვარშივე ყრიდა საჭმლის ნარჩენებს თავისი ერთადერთი ჯამიდან, ღამ-ღამობითაც მტკვარში აფურთხებდა და ცხვირის იხოცავდა, საღამოობით კი ტკბებოდა მდინარის ცქერით, თან რომ მოჰქონდა დახმარებალი კატები, მისი ჭუჭყი-



ანი ზედაპირით, ზედ ტიტველი და თავაშვებული მთვა-
რის ნებეგრობით...

დღისით მოსხვირდა მტკვარში თავის მარტივ
მონყობილობას, თოკის ბოლოს მდინარეზე დაკიდუ-
ლი აივნის ბოძს გამოაბამდა, თვითონ კი მიაშურებდა
ეზოს, სადაც ოთახი, რომელიც მტკვრის მხრიდან მე-
ორე სართული იყო, სარდაფად გადაიქცეოდა, და იც-
დოდა.

თუკი მტკვარს თევეზი მოჰყვებოდა და მის ბადეში
გახლართებოდა, თოკი ამოძრავდებოდა და აკოფის
მოფახფახებული აივანიც დაიწყებდა რნევას და სანყა-
ლობელ ჭრიალს მტკვრის თავზე, მივიდოდა აკოფი და
ამოსწევდა ბადეს. უპ, ლმერთმა არ ქნას, თევეზი მოს-
წყდომოდა, მაშინ მარტო თოკი კი არ განყდებოდა,
მის რიკულებიან აივანსაც ერთიანად მოგლეჯდა და
მტკვარში გადადუბანებდა... თევეზიც, ალბათ, ინდობდა
აკოფს თავის აივანიანად და ცდილობდა ხოლმე მისი
ბადისთვის გვერდი აექცია.

აკოფს აზრად არ მოუვიდოდა, რომ შეიძლებოდა
ოდესმე დამდგარიყო დღე და იმას თავი პეტრე-პავ-
ლზე ან კუკიაზე, ან დილოში და შვენაბადაზე, ან-
დაც არსენალზე და ტაბახმელაზე ამოეყო და თბილი-
სი მთელი თავისი შმოგარენით პატარა მოსწვენებო-
და, ისეთი პატარა, აკოფის დარდი ვერ დევიდა და
თუნდაც ერთი პანანია ბილიკი არ გამოეჩინა მისი
დარდიანი ფიქრებისთვის გარეთ გამოსაღწევად.

მერე რა, რომ აკოფის აივანი სავსე იყო ხვეულა
ორნამენტებით, არაფერი, არც ერთ სრულიად უმაქნის
ანდა შინაბერად დააჩენილ ქალსაც, ცალი თვალი-
თაც არ გაუხედავს არც მისკენ და და არც მაგისი აივ-
ნისაკენ... იყო აკოფი მარტო, სულ მარტოდ მარტო. ეგ
კიდევ არაფერი, მაგას მიჩვეოდა და კიდევაც გაუძ-
ლებდა. მაგრამ სულ მარტო იყო. აი, მოკვდებოდა, წა-
ვიდოდა და თბილისს კაცი დააკლდებოდა. „რა გამო-
დის, ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა აკოფ პიხამალია-
ნისა? იყო და აღარ იყო? იყო და არც იყო? და საიდან
უნდა მიმხვდარიყავი, რომ მართლაც იყო, როცა აღარ
არის და არც ყოფილა. ან ვინ იტყოდა, რომ იყო? მი-
დის მტკვარი, თან მიაქვს ყველაფერი, რაც კი უხი-
ლავს და ერთხელაც, დამჩრჩვალ კატებთან ერთად
მასაც წაიღებს. მტკვარი წაიღებს, და თან კი მანც
თბილისში დაჩრება, აკოფი კი... უპ, სანყალო აკოფ!
რისთვის მოველინე ქვეყანას, ხორციას და ძვლების
უბადრუკო გორგალო? რისთვის იფურთხებოდი ან
იხოცავდი ცხვირს მტკვარში, რისთვის ითმენდი და
რას ან რისთვის ელოდი?... იყო და აღარ არი აკოფ პი-
ხამალიანი. აღარ არი. მაგრამ დაიცა, როგორ აღარ
არი?!“

თავს იმტვრევდა აკოფი, რა უნდა ყოფილიყო ეს
არყოფნა. ფიქრობდა, ფიქრობდა და მაინც ვერ გაე-
გო. ჯიბეში რომ ფული აღარ იყო, ეს ესმოდა, მაგიდა-
ზე რომ ღვინო აღარ იდგა, ესეც ესმოდა, სახლში რომ
ერთი, თუნდაც სრულიად უმაქნისი ქალიც არ დაია-
რებოდა, ესეც ესმოდა, მაგრამ მისი არყოფნა თბი-
ლისში, არყოფნა დედამიწის ზურგზე, აი ამისი გაგება
არა და არ გამოისდიოდა. არ ესმოდა რა იყო ეს არა, არ
ყოფნა. და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით მე-
ტად უწყდებოდა ფორიაკი და ციებ-ცხელებდა. მის შივ-
ნით სხეულის ორგანოები თითქოს გადაადგილდებოდ-
ნენ, სადღაც მიიქაროდნენ, ტრიალებდნენ, ყირაზე
გადადიოდნენ. ასე მოიყარა აკოფი ორმოცდახუთი
წლისა, მხრებზე დაანჯვა განვლილი ცხოვრება, კისერ-
ზე ჩამოეკიდა და მოპირდაპირე სანაპიროსკენ, ქვიშე-

ბისკენ წააჩქარა. იქიდან კი თავის რიკულებიან აივ-
ნიან სახლში მოიყვანა ერთი შინაბერა, ყველასაგან
მიტოვებულ-დავიწყებული ზაბელი.

გადაადგებდა აკოფი ბადეს, ამოჰყავდა თითო-
ოროლა თევეზი, თან თვალს ზაბელის მუცლისაკენ აპა-
რებდა. ელოდა, ო, როგორ ელოდა, თავს მასხრად იგ-
დებდა, რომ მისი ამქვეყნად ყოფნა-არყოფნა ზაბე-
ლის მუცელზე აღმოჩნდა ჩამოკიდებული.

მართალიც იყო. აბა რა კინტო იქნებოდა, თუ სა-
კუთარ თავზე არ გაეცინებოდა და ყველაზე მწუხარე
ნუთებშიც კი არ გაეხუმრებოდა?

მაგრამ ზაბელის მუცელი იყო ბრტყელი და უტყვი.
ხუთი წელი ელოდა აკოფი, ხუთი წელი დღისით
თუ ღამით ხან ქურდულად, ხანაც მოურიდებლად უთ-
ვალეიერებდა ცოლს მუცელს. თითონ ზაბელს ზედაც
აღარ უყურებდა, დაავიწყდა კიდევ მისი სახე.

სამაგიეროდ, ზაბელის მუცელი ღამის ხატად ექ-
ცა. ძილის წინ აუცილებლად შეათვალეიერებდა, ძილ-
შიც ხელი ცოლის მუცელზე ედო. დღითი კი, გაიღვი-
ძებდა თუ არა, შეუდგებოდა მის გულმოდგინედ შეს-
წავლას. დადებდა ყურს ზაბელის ფიცარივით მუ-
ცელს და უსმენდა იქიდან ამომავალ ბუტბუტყს. ეს უსინ-
დისო მუცელი სულ სხვა სამღერებს მღეროდა და ყვე-
ლაფერზე ლაპარაკობდა გარდა იმ წმიდათა წმიდისა,
რასაც აკოფი მოელოდა...

თავიდან დატრიალდა მორევი აკოფის თავზე, ნაღ-
ვლის წვეწმა პირი გაუმწარა. ხუმრობა საქმე ხომ არ
იყო, ბუშტივით უნდა გამსკდარიყო ამ საყოველთაო
კარნავალზე კინტო აკოფ პიხამალიანი...

ორი მონასტერი იყო თბილისის მახლობლად. ისე
მოხდა, რომ ორივეს დამაარსებელს მაკარი ერქვა. ერ-
თი მარხულობდა, ხორცს აკვინებდა, დღე და ღამე
ლოცულობდა, მოკვდა სინმინდემი და საკუთარივე
მონასტრის კარიბჭეში დამარხეს. უწოდეს მონასტერს
წმინდა მაკარის მონასტერი - უფლის სახლი.

მეორე მაკარი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. კი
არ ლოცულობდა, პირიდან წყევლა-კრულვა ამოსდი-
ოდა, ერთს ამბობდა, მეორეს აკეთებდა და ღაღამო-
ბით თავისთან ქალესაც კი დაატარებდა. გაუგო ეს
ხალხმა, დაიჭირა და დაუსწყო ქვებით ცემა. ცოცხალმა
რისხვას თავი ძლივს დალანია. შებიღნული და მიტო-
ვებული მონასტერი გაპარტახადა, ბილიკები ბალახმა
დაფარა. იდგა ტაძარი, მუდმივად ღრუბლებში გახვე-
ული, ავი და მოღუშული. და შეარქვა ხალხმა ემპაკის
სახლი.

წმინდა მაკარის მონასტერი მოძლოცველობის აღ-
გილად იქცა, ცას აღწევდა მისი დიდება, მის სასწა-
ულმოქმედ ძალაზე გიჟმრისა და ვლადიკავკაზშიც კი
გავგონათ. და მოდიოდნენ, სწორადნენ მსხვერპლს
და ღმერთთან თავიანთ მიწიერ თუ ციურ სადარდე-
ბელს აბარებდნენ.

წმინდა მაკარს თავის ღვთის სახლში მიაკითხა
აკოფმაც. მუხლი მოიყარა და შესთხოვა:

- დამეხმარე, უფალო!.. ბევრს კი არაფერს გთხოვ,
მხოლოდ ვაუთიშოვს... ნურც მანთაშოვი იქნება, ნურც
ვორონცოვ-დაშოვი არ არსნა, თუნდაც ჩემმარი
უფედური და ობოლი, ოღონდ კი იყოს!..

მერე კი, თითქოს უნდოდა ღმერთისთვის ნატვრის
ასრულების სანაცვლოდ რამე შეეწირა, რითიმე მად-
ლობა გადაეხადა, გახელებული თავის დამდაბლებით
შესძახა:

- საცოდავი ვარ და ისიც საცოდავი იყოს, თუნდაც
ფეხზე ძლივსა დგებოდეს, გული ღამათ ქალებისკენ



მიურობდეს, მაგრამ ვერ კი პოულობდეს, თავის დაჩრეტილ წინდებსაც მტკვარში თვითონ ირეცხავდეს, ლუკმაპურსაც იქიდანვე მოიპოვებდეს... ოღონდ კი იყოს და დაივწყებას მიეცეს არყოფნა! ღმერთო, გინდა, უკან-უკან სიარულით აქედან ტიფლისამდე მივალ? გინდა, ანჩისხატიდან წმინდა გიორგიმდე დაოთხილი მივფორთხდები?..

მერე ორი თითი ყანყარატი გამოსწია (ისე, როგორც მარტო ტიფლისელებმა იცინა) და შეუდგა ხვეწნას:

- უფალო ღმერთო, მოწყალო უფალო!..

და მაშინ სიმშვიდემ დაისადგურა აკოფის სულში, ირგვლივ ყველაფერი განათდა...

დაბრუნდა სახლში რწმენით და იმედით და ნლეზის მერე პირველად შეხედა სახეზე ზაბელს.

იცადა ერთი თვე, ორი, მერე კიდევ ორი - ზაბელი კი არ იცვლებოდა, მუცელიც ისევ ისე ჰქონდა ფიცარივით, მალეებს აკრული.

კიდევ ერთხელ ეახლა აკოფი უფალს. იმანაც კიდევ ერთხელ დაამედა და გულში სიყვარული და მოთმინება შთაბერა და გამოუშვა სახლში.

სხვა დროს კიდევ ბევრჯერ მიაკითხა უფლის სახლს, მაგრამ არყოფნა არა და არ დასრულებულა... და მაშინ დაიწყო სმა აკოფმა. ამასობაში ორმოცდაათსაც მიაღწია, გაუთეთრდა თმა და უღვაში. შარვლის ნაცვლად მწუხარება ემოსა, ხალათის ნაცვლადაც - მწუხარება, ერთიანად მწუხარებით იყო მოსილი, მზის ნაცვლად თვალნი ჰქონდა ზაბელის მალეებს აკრული მუცელი, და შთვარის ნაცვლადაც - ბრტყელი მუცელი ზაბელისა... ღამით აკოფის ოხვრა მტკვრის მეორე ნაპირამდე აღწევდა, აირეკლებოდა, უკან ბრუნდებოდა და აღვიძებდა. მის სხეულში ერთად შეგორგლილი სასონარკვეთა, გაბოროტება და სიძულვილი არყოფნის მიმართ, გახეთქვას ღამობდა... და მაშინ გადაწყვიტა აკოფმა ახლა ეშმაკის ტაძრისკენ გაეწია. „სხვა რა დამრჩენია? - ამუნათებდა ღმერთს აკოფი - როცა ასეთი უმნიშვნელო რამეც კი არ შეგიძლია. ამდენი ადა-

მიანი შეგიქმნია, ამდენი ნაძირალა და ნაყარნუყარი და ერთი კინტოს დაბადება კი ველარ მოგხერხებია? განა შეიძლება ასე? როგორ გაძლოს ტიფლისმა უკინტოოდ, მტკვარმა კი უაკოფოთ?!”

აი რატომ მიაპურა იმედგადაწურულმა აკოფმა ეშმაკის ტაძარს.

მუხლი მოიყარა ჭუჭყიან, დანაგვიანებულ იატაკზე და კი არ სთხოვა, უფრო მოითხოვა ეშმაკისგან:

- შენთან მოვედი... მიველე და ბიჭი მარუქე! განყარე ზაბელის მუცელი ხერხემლისგან, ბიჭი მარუქე! თუნდაც ვირთხისხელა, თუნდაც კურდღელივით მშიშარა, ოღონდ კი იყოს! ოღონდ კი კიდევ დაიარებოდეს ქვეყანაზე პიხამალიანი, ოღონდ კი იყოს კიდევ ტფულისში აკოფი.

წარმოთქვა ესა და თითქოს ფეხები მოემჩვრა, გულ-მუცელშიც რალაცა ჩასწყდა... მაგრამ ეშმაკს ერთი კი თვალი ჩაუპაჭუნა და შინ დაბრუნდა.

მრისხანებამ ისევ გააჩინა ოხვრა, ეს ოხვრაც ისევ მოედო მტკვრის ნაპირებს. და ერთხელაც, ისე, რომ მეორე ნაპირამდე არც კი მიეღწია, მდინარის თავზე გასკდა და წყალს მუსიკად მოეფინა, ზურნის მოზიმი ხმებად და სიცილიად გაიშალა.

შეივსო და გამოიყო ზაბელის მუცელი ხერხემალს! არის აკოფ პიხამალიანი! იყო და დარჩება აკოფ პიხამალიანი! „ყოჩაღ, ეშმაკო!“ - კინაღამ გაიფიქრა, მაგრამ ეგრევე სხვა ფიქრებს ამოაფარა, რომ დაიწყო ბისთვის მიეცა და საკუთარი თავისთვისაც კი საიდუმლოდ ექცია.

კინტაურსა და ბაღდადურს უვლიდა აკოფი... ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა ზაბელმა. მაგრამ ტყუილად კი არ ჰყავდა ათვალწუნებული ჭკვიანი ხალხი. შუა კინტაურში, თავდავინყებულ სიხარულში, საიდანაც გამოტყვრა მეზობელი გერასიმ კონდახსაზოვი თავისი მჭრელი თვალითა და გონებით. სომხის მოედანზე ერთი აპარატი ედგა, ხალხს შიგ ერთ შაურად ცალი თვალით ახედებდა. გაიხედავდნენ და დაინახავდნენ მადრიდს, ლონდონს, ვერსალის ბაღებს შიგ მოსიერნე ლუ-





დოვიკო მეჩვიდმეტეთი. აკოფს კიდეც, წაავლო ხელი და ისეთი ადგილი დაანახა, თავისი სიმორით მადრიდსაც გაასწრებდა, ლონდონსაც და ვერსალის ბაღებსაც, - დაანახა ერთი საძაგელი ადგილი ქვიშებში. მიყვანა ჭოგრითან და უუბნება:

- აბა ერთი გაიხედე!

მიადო იმანაც თვალს და დაინახა მთელი თბილისი თავისი უბნებით და მტკვრით ერთი პირიდან მეორე პირამდე.

- კარგია!.. - ჩაილაპარაკა აკოფმა.

ტკბილად ჩაეღიმა კონდახსაზოვს და ჭოგრიტი ორნავ მიაბრუნა.

და დაინახა აკოფმა ვინრო შუკვებში მიმავალი წყეული ზაბელი, მუხრანის ხიდზე რომ გადადიოდა და მერე ქვიშებისკენ დაეშვა, იქ კი უღალი ლადოს სახელოსნოში გაუჩინარდა. ეს უღალი ლადო კიდე იმისთანა მექალთანე იყო! თავიდან ვერაფერს მიხვდა აკოფი, მაგრამ მეორე წამს კი უცებ გონება გაუნათდა და იგრძნო ძველისძველი, თითქოს გამქრალი ძმის და მეგობრის - მწუხარების მორევის სიახლოვე.

კონდახსაზოვის ღიმილი ისეთი იყო, თითქოს ეგ ჭოგრიტი მაგისი მოგონილი ყოფილიყო. ყოველდღე უთვალთვალებდა აკოფი თავის ბოზანდარა ზაბელს, ყოველდღე მიაცილებდა თვალით ლადოს სახელოსნომდე.

აკოფის ბიჭს მომწვანო-მოლურჯო თვალები ჰქონდა, ლადოსაც. თეთრი, ფითქინა კანი ჰქონდა ბავშვს,

ლადოზე ღია ფერისა კი ქვიშებში არავინ იყო. ხელი ჩამოისვა აკოფმა ნაყვავილარ სახეზე და გაიფიქრა, განა შეიძლებოდა ეს თეთრი ბავშვი ჩემი ყოფილიყო... გაიფიქრა, ახედა ცას, დახუჭა თვალები და გაახსენდა, რომ მისი შვილი ეშმაკის ძღვენი იყო. „ოხ, შე წყეულო, განა ასე უნდა დასაწუქრება?“ - მორჩა, ყველაფერი დამთავრდა... ცისკენ ველარ ახეხდა. ღმერთს თვალს ველარ უსწორებდა. ეშმაკს აღარაფერს სთხოვდა, კარგად იცოდა მისი დახმარების ფასი. მესამე კი, მესამე არ არსებობდა, რომ ახლა მისთვის დაეკოცნა ფეხები, ეთხოვა ამ დარდისაგან გათავისუფლება და ამ გამოუვალი მდგომარეობიდან, ამ არყოფნიდან თავის დაღწევა...

თავისი რიკულებიანი აივნიდან მტკვარში ბადე გადაავდო. შეეცოდათ თევზებს აკოფი. დაიძრნენ ოქროყანიდან და დიდუბიდან, მეტეხიდან და ორთაჭალიდან, მოცურდნენ და ყველა ერთად მის ბადეში გაიზლანდნენ. ამოძრავდა თოკიც და რა ამოძრავდა! ერთიანად მონყვიტეს აივანი სახლს და აკოფიანად მდინარეში ჩაიტანეს. მიცურავდა აივანი მტკვარზე, როგორც ვენეციური გონდოლა, აქეთ-იქიდან მიაცილებდნენ მტკვრის ნაპირები. მარცხენა ნაპირის აივნებიდან იღვრებოდა თარის, ემრჯევნა ნაპირის აივნებიდან კი ქამანჩის ხმები, ემშვიდობებოდნენ ბედკრულ აკოფს, გულამომჯდარი რომ ტიროდა და სამუდამოდ ემშვიდობებოდა თავის ტიფლისს...

ორთაჭალის ბაღები


ჩაიქროლა-ჩაიარა თბილისურმა კვირამ... უბრალოდ კვირამ კი არა, გზამ, ადამიდან ვიდრე ევამდე, მთვრალმა, ზეიმის მოლოდინით, გზამ - გადავსებულმა, ტკბილი სადღერდელით, კაენიდან ვიდრე ორთაჭალის ბაღების ლულუმდე, შორეულამდე, ლეილამდე...

ინებოდა პირველი დღით... ორშაბათი ზანტად ასწორებდა ადამიანური რუკის ნახაზებს: მდინა-

რეებს პირვანდელი კალაპოტებისკენ მიმართავდა და მათ დინებას აწესრიგებდა, ამშვიდებდა ჭაობების ზედაპირს. წესისამებრ, წვიმას მინისკენ, ორთქლს - ცისკენ მიერეკებოდა.

სამშაბათი თავს უყრიდა ნანახს და გაგონილს, ნაჭამს და დალეულს, ოთხშაბათი - გემოს და სუნს, მრისხანებას და დუმილს, ხმას და ღიმილს.

ხუთშაბათი მსხალსა და ლედვს აწვინანებდა და



საზამთროსა და ნესვებს მზით ავსებდა...

პარასკევი ყველაფერ ამას უთავბოლო ართურ-მად გადააქცევდა, ველურ და ნამხდარ ჭურჭელს ისევ ავხორცობით ამოავსებდა... მტკვარს კალაპოტში ველარ დაეტია, წვიმა მიწიდან ცისკენ ასხამდა, ღრუბლები კი მიწას ესუტებოდნენ.

შაბათს თბილისის ცა ორთაჭალის ბალებამდე ჩამოჰყავდა, უნდა გველო ღრუბლებში. სახლი მტრად გერქვენებოდა, მამადავითი - სულის მსუთავ ორმოდ... შაბათი კანონმორჩილ და პატიოსან თბილისელს შავი დენითი გამოტენიდა, იარაღს დაუტენიდა და ლულას ორთაჭალისკენ მიამართინებდა, სადაც სამყაროს ერთადერთი მიზანი ცოდევა იყო, სადაც სირცხვილი ტკბილ ქაფად მოედინებოდა, ერთ ნამად ქცეული მარადისობა კი თავაშვებული ფრანგი მოცეკვავეების ფერხითი ილხენდა...

ორთაჭალის კვირაც იმისთვის იყო, მომდევნო კვირიდან ყველაფერი ისევ თავის რიგზე წასულიყო: სირცხვილი სირცხვილად ქცეულიყო, განდევნილი ღმერთი კი თავის იავარქმნილ სამკვიდრებელში დაბრუნებულიყო...

მაგრამ ის კვირა კვირად არ ქცეულა. მხიარული სახლის, „სულიერი კლუბის“, კართან ქერუბიმივით იდგა განმეკარგულებელი გიგოლი და დამნაშავე, მოჟამული სახით ემზადებოდა სტუმრების დასახვედრად.

- ელენე აღარ არი... - მიეგება ყველაზე ადრე მოსულ ტყავის ფაბრიკის დირექტორს, ჩერკემტიანს.

- მერე რა, - ვერ მიუხვდა ჩერკემტიანი. - სხვები ხო არიან?

- დიას, არიან, - ამოიოხრა გიგოლმა, - მაგრამ...

- რა „მაგრამ“, - შეკრთა ჩერკემტიანი. - ვაგონილი ჯერ კიდევ ვერ გაეზარებინა. თუ დამატებაა საჭირო, პირდაპირ მითხარ!

- როგორ გეკადრებათ... ბატონო ალექსანდრე...

- ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა გიგოლმა, და ერთდროულად, შეტეხებით და ქედმაღლურად, დაუმატა: - გოგოებმა გლოვა გამოაზრდას...

- გლოვა?! - ფაბრიკანტი ყურებს არ უჯერებდა და თავშეუკავებლად ხარხარებდა, ვიდრე ყელში მობჯენილი ფინი სიცილს ხმას არ ჩააკმენდინებდა. - ეს რა გაუგონარი ამბავია - გლოვა ორთაჭალის ბალებში... ეგენი ავად ხო არ არიან?

„სულიერი კლუბთან“ ამასობაში ახალი ფაეტონი გამოჩნდა და ჩერკემტიანი ხეს ამოეფარა, იქიდან რომ ედევნებინა თვალი მოკლენების განვითარებისათვის. ფაეტონიდან ხალჩია-ფარდაგებით მოვაჭრე რამაზანოვი გადმობრძანდა. ჩერკემტიანმაც, სიამოვნების მოლოდინში ყურები დაცქვიტა.

- რაო?! - გიგოლას ნათქვამმა გააცოფა რამაზანოვი. - ეგენი რა, ავად არიან?..

ჩერკემტიანის სიტყვებმა, მოულოდნელად რომ აღმოხდა რამაზანოვს, მეტყვევ და ხალიჩებით მოვაჭრე მყისიერად დაახლოვა.

სტუმრები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. და როგორც კი ჩამოქვეითდებოდნენ, ეგრევე განდგომილებას ეძლეოდნენ. მერე აქეთ-იქით მიმოიხედავდნენ და ბალებზე უჩინარდებოდნენ. ორ საათში ორთაჭალის ბალებს სხვადასხვა კუთხეში დაიარე-

ბოდნენ მოსამართლე ენუქ ენუქოვი, ლუდის ქარხნის საქმეთა მმართველი ბუხბინდერი, ფანერის ქარხნის მეზატრონე ადამოვი, აფთიაქარი ამინთავეი, ანდრეოლეტის, ძეგლებისა და მარმარილოს სანარმოს მოქანდაკე ზანდუკელი, წიგნის დუქნის მუნუქებიანი გამყიდველი მარგაროვი, სათამაშოების ქარხნის დირექტორი ტიგერი, და ბულალტერი ლაიმის ხილისა და მინერალური წყლების ქარხნიდან, მუფკე...

ყურებანიტლებულები, დროდადრო ჩუმ-ჩუმად გადახედავდნენ ხან ერთმანეთს, ხანაც მოღუშულ გიგოლს და უკან გაბრუნების გარდა სხვა გზა ვეღარ დაეინახათ. გონების თვალს სტყორცნიდნენ საკუთარ, მთელი კვირის დაძაბულობით მოკრუნჩხულ, მთელი სამყაროს სიტკბოებითა და სიმწრთ, თრთოლვითა და ნეტარებით გადავსებულ შიგნულს და სხვა გამოსავალი კი მაინც ვერ მოუძებნათ. მაგრამ ვანა კი ეთქმოდა გამოსავალი დაბრუნებას, გამონვეულს თავს ზემოთ ძალის უქონლობით. კვირა თბილისში - სახუმარო არ არის, მან უკვე ჩაიღინა თავისი მზაკვრული საქმე, როცა ამით სამოთხის ნაყოფი და სიამოვნების სანეტარო იდუმალება აღუთქვა. ამიტომაც იყო, რომ მზად იყვნენ, რაც კი რამ ებოდათ, უმალ მტკვრისთვის გაეტანებინათ, ოღონდ კი ახლა უკან არ ყოფილიყვნენ გასაბრუნებლები. და როდესაც ბალები შემანუხებელმა სიჩუმედა აახმაურა, როდესაც თითოეული მათგანი თავის სამალავში დარწმუნდა, რომ სხვა აღარავინ გამოჩნდებოდა, ახალგაზრდა ხოჯაეინათოვმა სასოვნარკვეთილი გაბედულებით კვლავ გიგოლს მიაშურა.

- აპა, გამომართვი... დაე, დამარხონ, - კუმტად ჩაბურტყუნა და გიგოლს რამდენიმე კუბიურა გაუნოდა.

ქალაქის დანახვამ გიგოლი წამიერად გამოაცოცხლა, მაგრამ გამოსართმევად განვდილი ხელი უკან ისე მამოილო, ფულს არც შეხებია.

- რა იყო? - გააკვირვა ხოჯაეინათოვმა. - კიდევ მოხდა რამე?

- ენა ვერ მომიბრუნებია... ამოილულულა გიგოლმა. - ეს საძაგლები ამბობენ, მთელ თბილისში მავათ გარდა სხვა არავინ გვყავსო... თქვენ ამითი ყველაზე ახლოელი ადამიანები ხართ... და იმედი აქვთ, რომ დაასაფლავებთ კიდევ ელენეს...

ხოჯაეინათოვმა, ვითომ უნდა გაეცინა, მაგრამ ამის ნაცვლად იქაშობას მოავლო თვალი, თითქოს ბურქებში მიმოშალული, უბედურებაში თავისი თანამომძიების აღმოსაჩენად.

გონებაში უტრიალებდა ერთი უბრალო და ლოგიკური აზრი, რომელსაც ხოჯაეინათოვი ყველანაირად ცდილობდა გამკლავებოდა, მაგრამ ეს აზრი იყო მსუბუქი, მოქნილი, სწრაფი და ბოლოს და ბოლოს მის ტურტებზე მკრთალ ღიმლიად გამოისახა: „რა თქმა უნდა, აპა ვინ, თუ არა ყველაზე ახლობლები?.. ამაზე ახლობელი ვინდა უნდა იყოს, ორი წელია, ოლენკასკენ, ჩემი ცოლისკენ, ზურგიით მიიწავს“.

და ხოჯაეინათოვი ტიგერისკენ გაემართა.

- ბატონო ტიგერ... რას იტყვი? ევროპელი კაცი ბრძანდებით, უკეთ მოგხსენებათ ასეთი ამბე-



ბი...

ტივერმა სიცილით შეათამაშა მხრები. თავიანთი სამალავებიდან იმათ თვალს ადევნებდნენ პუგინოვი, ბუხბინდერი, ლალიძის წყლებს ბულალტერი, ანდროლოეტის საწარმოს მოქანდაკე. თავიდან ისეთი ეჭირათ, თითქოს ერთმანეთს ვერ ამჩნევდნენ, ვითომ „არც მე ვარ ამ სულელურ მდგომარეობაში და არც შენო“ - მაგრამ ახლა უკვე გასაცოდავებულებს და გულდაამძიმებულებს გადაენწყვიტათ ერთმანეთის დანახვა და დაიწყეს შექუჩება.

- ხომ არ წაგვეყვანა აქედან განსვენებული? - შესთავაზა პუგინოვმა. - თუნდაც არამიანცის საავადმყოფოში, ვითომ ავადმყოფი მიგვეყვანოს სამკურნალოდ...

- მართლაც, - ჩაიბურტყუნა ლალიძის წყლების ბულალტერმა. - კვირადღის გაფუჭება იქნება! გაუგონია ვინმეს გლოვა ორთაჭალის ბალებში...

- ეგრა? - უმწიოდ აასავსავა ხელები გიგოლმა, - მაგრამ მე რა შემიძლია?

- ხედები მაინც, როგორ იზარალებს დაწესებულება? - „სულიერი კლუბის“ საქმიან მხარეზე სიტყვა გადაუკრა საქმეთა მმართველმა ბუხბინდერმა.

- ვიცი, განა არ ვიცი! - ალაპყრო ხელები გიგოლმა, - მაგრამ იმათ შესამენ რამეს?

ჩერკეშტინი, რამაზანოვი და ენუქ ენუქოვი ცოცხალი გვერდზე გადგნენ, რალაც მოითათბირეს და მერე ისევ მიუახლოვდნენ გიგოლს.

- მიდი, უთხარი, რომ ჩვენ სამნი გადავიხდით...

გიგოლმა უმწიოდ ამოხედათ, - გგონიათ, არ მითქვამს? ერთმა პატივცემულმა კლიენტმა, სახელს არ ვიტყვი, მონიდომა ერთი კვირის გასამრჯელო გადაეხადა თითოეული მათგანისთვის, ელენესთვისაც კი...

- მერე?

- უარი თქვეს...

ჩერკეშტინი უცებ გაცხარდა: - ნავედით, ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება!.. უყურებ? ეგაა გვაკლდა, ვილაც ბოზებმა სცადონ, ასე გვამცირონ!.. - თავისთვის კი გაიფიქრა: „რალა სცადონ, დაგვამცირეს და ეგაა, მეტი რალა!“

ბუხბინდერის სიარულის მანერა იყო ისეთივე სხარტი, როგორც მისი გონება, და უცბად მოტრიალდა და წამში გიგოლთან გაჩნდა.

- იქნებ რამე სხვა სურთ, ჰა?

- არა, არა... ამბობენ, ვიგლოვთ, ჩვენც ადამიანები ვართო...

ნიგნის დუქნის მუნუქებიანმა გამყიდველმა, ლაპარაკის ყურმოკვრის იმედით, შორიახლოს რომ უტრიალებდა მოსაუბრეებს, გაიფიქრა: „ალბათ იმქვეყნადაც დავგჭირდებიან“.

- ხედავ, - ჩაიფხუტუნა ჩერკეშტინამ, - ჩვენწაირივე სიკვდილით მოკვდა!..

აფთიაქარი ამინთავეი თავს ძალას ატანდა, საკუთარი საბრალო ქალიშვილების მიმართ თავის მამობრივ გრძნობებს უხმობდა, რომ როგორმე მასში სინდისს გაევიძოდა, ჟინი ნაცარტუტად ექცია, - მაგრამ არაფერი გამოსდოდა.

მეფანერე ადამივი ხის ქვეშ წრიალებდა, მზად იყო მინა გასკდომოდა, მინა გასკდომოდა და ჩაე-

ტანა: ანალიზებდა გარდასულ ნეტარ სიამება დეტალებს და რცხვენდა, საკუთარ თავზე გულიწეროდა, მაგრამ ბალებიდან ფეხი მაინც ვერ გაედგა, თითქოს იქვე მიეღურსმათ... „ტფუი და კიდევ ტფუი ჩემს კაცობას! აბა რა არი შენი ფასი, თუკი ამ ბინძური ბალების მონად ქცეულხარ?“ - წუნუნებდა თავის განმარტობაში.

„კაცი რომ თავს არ ეკუთვნოდეს...“ - უღვაშებში იცინოდა ლალიძის წყლების გაკვირვებული ბულალტერი.

ასე იყო თუ ისე, უცებ ახალი სტუმარი გამოჩნდა: მთელ თბილისში განთქმულმა თეთრმა ცხენებმა, ბალებში მდიდარი უსაქმურის, ელჩივის კარეტა შეაგრიალეს. იქიდან გადმოხტა ლაქია და თითქოს უკვე იცოდა მომხდარის შესახებ, არც გიგოლისთვის უკითხავს რამე, არც სხვებისთვის შეუხედავს, ეგრევე „სულიერი კლუბისკენ“ გაემართა.

ყველა, მათ შორის გიგოლიც, კარს მიაჩერდა. გამოვიდა ლაქია. ერთიანად ოფლში ცურავდა. კარეტიდან ელჩივის თავი გამოჩნდა.

- აბა, რა ხდება?

- ამბობს, არაო... - სულელურად გაიკვირვა ლაქიამ.

- არ მოდის?

- არა. ამბობს, მეგობრებს ვერ მივატოვებო.

ელჩიევმა გადააფურთხა და იქაურობას თვალის შეავლო.

- ერთი კარგად უნდა განმინდო ამათი ბუდე!

ლაქიამ მხრები აიწურა, ვითომ, მიდი და განმინდე, ვინ გიშლისო. მერე ისევ შეძვრა კარეტაში და ისიც თვალის დახამხამებაში გაქრა ბალებიდან.

მაგრამ როცა ბალებში მიმოფანტული კაცები კიდევ ერთხელ შეიყარნენ „სულიერ კლუბთან“, კარეტა დაბრუნდა. ელჩივი იჯდა და ელოდა, რა მოხდებოდა.

- უნდა დავმარხოთ... - გაუბედავად შეათვალიერა იქ მყოფები ანდროლოეტის საწარმოს მოქანდაკემ.

მერე რა, რომ თითქმის დაიჩურჩულა, ყველამ კარგად გაიგოდა მისი სიტყვები, იმიტომ რომ უკვე მათშიც გაედგა ფეხები მუხანათურ აზრებს, მომდევნო კვირებს რომ წვდებოდა...

შუადღისას ორთაჭალის ბალების თავზე შავი დროშა აფრიალდა.

ორთაჭალის შშირი სტუმრები აყოვნებდნენ, დროს წელავდნენ, რომ დღის მინურულს, ღამის საფარველქვეშ აღესრულებინათ თავიანთი რიტუალი...

როგორც არ უნდა ცდილიყო ჩერკეშტინი ცოცხალი მაინც ჩამორჩენოდა კუბოს, არაფერი გამოსდოდა - მაინც მის გასწვრივ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ასე, ჩამორჩენა-თავის არიდებით, კუბოს მაინც მიყვებოდნენ.

მშვენიერი ელენე კი წინანდელივით ღამაში იყო, ოღნავ ღია ქუთოვებიდან, კეთილი და ალერსიანი მწუხარებით გადმოსცქეროდა ჭირისუფლებს - როგორც ადრე, სიცოცხლეში, ასეთივე მწუხარებით შეჰყურებდა თითოეული მათგანის სასიყვარულო თამაშებს.



მაგდა ნოვაკოვსკა

ლექსები

თარგმნა მვიად რატიანმა

პოლონელი მაგდა ნოვაკოვსკა 20 წელზე მეტია თბილისში ცხოვრობს, მისი სრულყოფილი ქართულისა ბევრ ადგილობრივს შეშურდება, რეგულარულად თარგმნის თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშებს პოლონურ ენაზე, „არილის“ არაერთი მკითხველი პირადად იცნობს, ზოგი კიდევ მეგობრობს მასთან, მაგრამ ცოტამ თუ იცის - და მეც, მათ შორის, ბოლო დრომდე არ ვიცოდი, - რომ მაგდა თურმე ლექსებსაც წერდა, და თანაც - ძალიან კარგ ლექსებს. ჩემთვის, როგორც პოეზიის მკითხველისა და მთარგმნელისთვის, დიდი სიამოვნება იყო ამ ლექსების თარგმანზე მუშაობა.

დამანახე, როგორ ხდება შენს მიწაზე,
როგორ გამოთქვამენ ადამიანები თავიანთ სიყვარულს,
როგორ ტყუიან, როგორ უდგანან ერთმანეთს მხარში,
რა ფასი აქვს სიკვდილს და სიცოცხლეს.

რითი ცხოვრობენ, რას აკეთებენ დროის მოსაკლავად,
რაზე წერენ, რას მღერიან, რას ხატავენ, რომელი ფერებით,
რა აქვთ სათქმელი, რაზე სდუმან,
დამანახე, რას დასტირის შენი ხალხი და რა ახარებს.

დილაობით ჩემთან ერთად ისაუბმე ფანჯარასთან,
აქედან მოჩანს მთელი ქალაქი.
სალამობით გამიძიხი ბნელ ქუჩებში,
დამანახე ამ ქალაქის მიწისქვეშა დინებები.


გამასინჯე ყველა ფერი, გემო, სურნელი
და მასწავლე შენი ენის იმდენი სიტყვა,
რათა შემეძლოს, როცა წლები გაივლიან,
სიცარიელე შევავსო საუბრით.

ჩემს შეყვარებულს ათასი სახე აქვს
რომლებსაც იცვლის ხედებივით
დღისით თუ ღამით
მზეში თუ წვიმაში
რომელთა შორის ვმოგზაურობ
და მაჯადოვებს ყველა მოსახვევი.

ვიდრე ჭრიჭინები დაღუმდებიან

მე გარდავქმნი ღვინოს სისხლად
და ბნელი ღვინით ვივსებ ძარღვებს
თავზე ვიფარებ
მზის წითელ თავსაფარს

ეს არ აქვს წესად ჩემს ხორბლის საძმოს
ვისი სახლებიც მათ გულებზე გამძლენი ჩანან
იქნებ მათი ძლიერების წყაროც ეს არის.



სახლს მეც ვაშენებ. ვინცებ სიმღერით.
საძირკველი ღია სივრცეა
და ჰაერი იბერება შუქით და მზერით
ნაზი სიტყვები, რიტორიკის კატისკუნუტები

აქაურებს მოსწონთ ეს სახლი
მოდიან ჩემთან, და ვსვამთ დილამდე
დავინწყების წიგნს ვესვრით ერთმანეთს
ვისხამთ სიტყვებს, ვსაუბრობთ ღვინოს

მეორე დღეს ყავის სუნი სდის
მინა იღვიძებს, მზენასუნთქული
შორი ძახილი მერძევე მწერების
დილის თეთრ გუდრონში.

სკუთარი გულით ხელში, და ზურგზე მოკიდებული სულით
მე ვდგავარ შენ წინ.

აქ ქვაა შენთვის, იქ დამწვარი ფურცელია
აქ გალობს ჩიტი, იქ კი სახლია
აქ კი - აქ არის არაფერი.

სკუთარი გულით ხელში, და ზურგზე მოკიდებული სულით
მე ვდგავარ შენ წინ.


ეს ქალაქი ჩემი ძველი სიყვარულია.
ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის
უცხოებს ერთად ვაჯადოვებთ
და ჩუმჩუმად ვილიმებით შეთქმულებივით

ის შემომჩივის თუ როგორი ქედმაღალია
რკინა-ბეტონის ფუყე სამყარო
ლამით თავისი ზარებით მიხმობს
საზეიმო სანთლებს ანთებს ჩვენს მაგიდაზე

ამბებს ვუყვები და ვუმღერი
ერთად ვსეირნობთ და მძინავს მასთან
მე ვგრძნობ მის სითბოს გაღვიძებისას
ვსუნთქავ მის სურნელს თვალის ახელამდე

ასე დაიწყო. მე ის დავინახე
გაუპარსავი, ზამთრის ძველ პალატოში.
ის ცახცახებდა სიცივეში ნაბახუსევი.
ცხოვრებაში არ მენახა არაფერი, მასზე მშვენიერი.

იმ დღიდან ვიცი, რომ ის არის ერთადერთი
და რომც დავშორდეთ, რომც დავწვეთ სხვებთან,
ვიცი, ყოველთვის დავუბრუნდები
იმ დღეს, როცა ჩამიხუტა და ვიგრძენი, რომ უხარია.



შენ, ვისაც გიყვარდა
მეგობრები, პატარძლები, და ეს სარდაფი, ღვინით სავსე,
და ახლა დგახარ მის ნანგრევებში, მე გადღეგრძელებ შენ
და ვტირი.

ველური და ტკბილი უოლო მიცოცავს წირთხზე.
კვამლის სუნს ვსუნთქავ, რომელიც ჯერაც იგრძნობა ჰაერში.
როგორ ამბობდი? „მეგობარო, ჩამოჯექი ჩემს ნეშტთან ღვინით
და მუსიკით. თუ გამიხმეს საცეკვაოდ, იქნებ წამოვდგე“.

ცრემლს შევინმენდ.
შემდეგ წავალ, შენი ბალის ნაყოფებს დავკრეფ
და როცა მოთოვს,
ვისუნთქავ ხოლმე იმათ სურნელს სიბნელეში.

ნასვლის დროა.
თრთის ჰაერი მუნჯის პირივით.
ვის აქვს სურვილი, თქვას უთქმელი -
რა არის კოცნა, ხმა რა არის, ან როგორი გემო აქვს წითელს?

შავი მინა შთანთქავს ყველაფერს და გულუხვად დაგვიბრუნებს.
მზე ღვინოში აქსოვს სიტკბოს და ოქროს თმაში.


ღღის სინათლის სიტყვები
მხოლოდ მინიატურული სარკეებია
გაბრწყინებულები თვალის მოსაჭრელად

სიმართლის სიტყვები
მხოლოდ ვერცხლის მონეტებია
კარგი კაცის საფულეში

სხვა სიტყვები შეგროვილან
საკვირაო ბაზრობაზე
და გარეულან თევზების გუნდში

მე ვუცდი ღამეს
რათა დალუქოს ჩემი ბაგე
წყვდიადის შავი აბრეშუმით

ვუცდი სიჩუმეს რომელიც უნდა აფეთქდეს სიტყვებით.



მონატრება იქცა ფონად ყოველი საგნის
გამჭვირვალე კინოფირი
მინათებული ყველაფერზე რასაც შევხედავ
და მთავარ როლში მუდამ შენ ხარ

შენი სახე ამ ქალაქის ყველა კედელზე
ყველა საქარე მინაზე და ვიტრინაზე
ის ტივტივებს ჩემი ყავის ზედაპირზე
როცა ვცდილობ ჩაენვდე მომავალს

ჩემად იძვრიან ჩემი ტუჩები
როცა ბუნდოვნად ვსაუბრობ შენთან
და მუდამ ვასრულებ იგივე კითხვებით -
დარწმუნებული ხარ? და როდის? მართლა?

დილა საბურთალოზე

სინათლის ჩარჩო, ოთხი მ. სიმალის
და სითბო, ექვსი კვადრატული
და სირბილე, ერთნახევარი

სამი ჭორიკანა ბელურა რაფაზე
და ორი კაცი გამოდის შუქიდან
რათა მათ ყველი შესთავაზოს მისაღებ ფასად -
ზოგ ადამიანს დღეს ისინიც დააპურებენ.

ნახევარი ცხოვრების და ათასობით კილომეტრს იქით
მოპარული რამდენიმე წუთი და ყავა.

მე მაქვს ღია ბარათების დიდებული კოლექცია
დედამინის ყველა კუთხიდან
ხელმოწერებით XXXX, ან სიყვარულით, ბ.

ისინი ცვივიან ყოველი უჯრიდან,
რომლებშიც ვეძებ მაკრატელს ან
საჭირო სიტყვას.

მე მაინცდება, რას ვეძებდი
და ვკრეფ ბარათებს,
თუნდაც ამას - ოთახის ფოტოთი.


ნარინჯისფერი სინათლე და სანახევროდ დაცლილი ბოთლი,
ფრინველები ბრუნდებიან სამხრეთიდან,
ვარშავა, მარტი; პოსტ-სკრიპტუმი:
„lovers will be left alive“.

ან ეს, ერთ-ერთი საყვარელი:
ბრწყინვალე მზე, ქვემოთ ტრამვაი,
ზენრების და ბალიშების თბილი სითეთრე.

„ჩრდილოეთის ქალაქიდან, მოულოდნელი სიმხურვალით“
(და კუთხეში მელნის ლაქა
ყინულივით ჩასრიალდა ჩემს ენაზე
და ნაბორძიკდა ლავინის ძვალთან)

არის სხვებიც, მთის მწვერვალებით,
კენჭებით, გზებით, მდინარის ნაპირით.
არის ერთიც ისეთი ადგილით,
რომელიც არასდროს არავის უნახავს
(„და მაინც, ღირდა გამგზავრება“)

დიდხანს ვეძებდი, ვაბრუნებდი
და ვკითხულობდი, დავყურებდი თარიღებს, ბეჭდებს,
ბოლოს ყველა ერთად შევეკარი
და ჩავმალე ისევ ყუთში, სადაც ვინახავ.
ჩემი განძი - ბარათები ოცნებებიდან.



დათო ქარდავა

გზამკვლევნი „განათებული სიბნელის“ დასაძლევად

„სერ ისააკ ნიუტონი - ადამიანთა მოდგმის მშვენიება“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019 წ. ავტ. გია მაჩაბელი. მხატვრული გაფორმება: რეზო გაბრიაძე. წინათქმის ავტ. გიგა ზედანია.

„ყოველგვარი სააზროვნო მოღვაწეობის მიზანია, გადააქციოს სასწაული ისეთ რამედ, რაც მისაწვედომია“

ალბერტ აინშტაინი

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“

ძველი აღთქმა. სიბრძნე სოლომონისა

„დილიდან მძიმე ამოცანას აკლავდა თავს ერთაოზი: 6:2?“

„შერეკილები“

ბუნება არავითარი დაყოფა არ იცის. ბუნება ერთიანია! ჩვენი შეზღუდული გონება კი სიმარტივისათვის სამყაროს ანანევრებს ფიზიკად, ბიოლოგიად, ფსიქოლოგიად და ა.შ. - ძნელია არ დაეთანხმო თეორიული ფიზიკის დიდი წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, რიჩარდ ფეინმანის, ამ მოსაზრებას, მით უფრო მაშინ, როცა მრავალი საუკუნის მანძილზე მართლაც ასე იყო: პოეზიას, მეცნიერებას, ფილოსოფიასა და ლეტისმეტყველებას შორის არ იყო გავლებული მკვეთრი საზღვარი. არისტოტელეს „ფიზიკაც“ უფრო ფილოსოფიური ტრაქტატი იყო, ვიდრე ფიზიკის სახელმძღვანელო, მაგრამ დროთა განმავლობაში მეცნიერებამ და, ზოგადად, ადამიანის ინტელექტუალურმა საქმიანობამ სპეციალიზაციის ისეთ დონეს მიაღწია, რაც წინათ წარმოდგენილი იყო. დღეს იშვიათია ერთ ნიგში ფილოსოფოსის, ფიზიკოსის, მწერლისა და მხატვრის ჰარმონიული, ბუნებრივი შეხვედრა (თავმოყრა), არადა, მრავალი საუკუნის წინ არაფერი უჩვეულო ამგვარ შეხვედრაში არ იქნებოდა, მეტიც, ასეთ ნიგს, ალბათ, ერთი, ფილოსოფოსი ავტორი ეყოლებოდა. თუმცა, XVIII-XIX საუკუნიდან მოყოლებული, ცალკე ადგილი ერთი ადამიანის შეზღუდული გონება/დრო ვედარ უმკლავდება ინფორმაციის სწრაფად მზარდ ნაკადს და სამყაროს დანანევრებაც ინტელექტუალური საქმიანობის ცალკეულ დარგებად, აღარ გვეჩვენება არაბუნებრივად.

ილიას უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ნიგს, „სერ ისააკ ნიუტონი - ადამიანთა მოდგმის მშვენიება“ - ყდაზე ერთი ავტორის, ფიზიკის დოქტორისა და მეცნიერების პოპულარიზატორის, გია მაჩაბლის, გვარი აწერია, თუმცა გია მაჩაბლის შესანიშნავ ტექსტს გამორჩეული ხიბლის ნიგნად აქცევს ფილოსოფოს გიგა ზედანისა წინათქმა („გრაფიტაცია და გრადაცია“) და აღიარებულ ხელოვანის, რეზო გაბრიაძის მხატვრული გაფორმება + მოთხრობა „ვორი პლიუსით თუ სამი მინუსით?“

(ცხადია, გასაკვირი არ იქნება, თუკი ნიუტონზე საუბრისას ხშირად ვახსენებთ გრაფიტაციას. არც ის იქნება გასაკვირი, თუკი ვიტყვით, რომ ამ ნიგნის მიზიდულობის (გრაფიტაციის) ცენტრი სწორედ ის ადამიანია, რომლის საფლავის ქვასაც შემდეგი სიტყვები აწერია:

„აქ განივსწავლეს სერ ისააკ ნიუტონი, რომელმაც ცონების თითქმის ლეთიური ძალით პირველმა ახსნა პლანეტების მოძრაობა და ფორმა თავისი მათემატიკური მოდელის საშუალებით. მან პირველმა გამოიკვლია სხივების ნაირგვარობა და, აქედან გამომდინარე, ფერების თავისებურება, რომელთა შესახებ მანამდე არავინ იცოდა.

მოკვდავთ უხაროდეთ, რომ მათ შორის ცხოვრობდა ადამიანთა მოდგმის ასეთი მშვენიება“.

დიახ, ისააკ ნიუტონია ამ ნიგნის მიზიდულობის ცენტრი, შემკვერელი და სულის ჩამდგმელი ძალა, რომელმაც ერთ სივრცეში, ერთ ნიგნში მოუყარა თავი ფილოსოფოსს, ფიზიკოსსა და ხელოვნების ოსტატს. ისიც ვთქვათ, რომ ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონით, მიზიდულობის ძალის სიდიდე პირდაპირპროპორციულია სიმძიმისა, ამ შემთხვევაში ავტორთა სიმძიმისა, იმ ავტორებისა, რომლებიც თავიანთი ტექსტებით ასევე ინტენსიურად ურთიერთქმედებენ.

წინათქმაში („გრაფიტაცია და გრადაცია“) გიგა ზედანია ნიგნის ყველა ნაწილს ეხმიანება: გვაცნობს ნიუტონის ხატების დეტალურ ბუნებას, რომ სერ ისააკი კაცობრიობისთვის ხან ლამის დემონური ფიგურაა, რომელიც თავისი აზროვნების ძალით ტოტალურად ცვლის სამყაროს, ხან კი ისეთი „ადამიანური მეცნიერია“, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური, მათ შორის კომიკური (თავში ვაშლის დაცემა რომ უნათებს გონებს) უცხო არ არის; ნარუდგენს მკითხველს გია მაჩაბლის - შესანიშნავი ქართველი ფიზიკოსისა და ინტელექტუალის, ილიას უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის ტექსტს, როგორც საუკეთესო შესავალს ნიუტონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში და ბოლოს, ვრცლად მიმოიხილავს რეზო გაბრიაძის - დიდი ქართველი ხელოვანის (მწერლის, მხატვრის, თეატრისა და კინოს რეჟისორის, მოქანდაკის) გრაფიტაციით მოჯადოებას, მის უსასრულო მცდელობას, შეებრძოლოს და დაძლიოს გრაფიტაცია, მცდელობას, თავის (გაბრიაძის) ნივთიერ თუ სიტყვიერი სამყაროს შიგნით სულ სხვაგვარი ფიზიკის, „გაბრიაძის ფიზიკის“ კანონები, რომელთა შესაბამისად, სიყვარული ვერტიკალურია და, მისი ეს ვერტიკალურობა „ექსპერიმენტითაც“ დასტურდება: ვის არ გამოუცვლია საკუთარ თავზე, რომ „პირველი სიყვა-

რული ცაში თუ ავაფრენს!"

ამგვარი გადაძახილი რეზო გაბრიადის შემოქმედებასთან გია მაჩაბლის, ანუ ნიგნის ძირითად ტექსტშიც არაერთია. თუნდაც ის თავი ავიღოთ, ენტროპიაზე რომ მსჯელობს ავტორი. თხრობა „შერეკილებიდან“ მოხმობილი ციტატით იწყება:

„მოინყინა ქრისტეფორემ, მალიხულია სენი დაემართა, მელანქოლიის მსგავსი. ერთაოზს მალარიამ გაუსხენა. ინვა სანყალი ქვაბთან, კანკალებდა და ენთროპიის ზრდის კანონზე ფიქრობდა კასპის ჭილოფში გახვეული“.

ამის შემდეგ, გასაგები რომ გახდეს, რაზე ფიქრობენ შერეკილები, გია მაჩაბელი შკითხველს აცნობს თერმოდინამიკის მეორე კანონის შინაარსს, რომ ეს კანონი შემზარავია, რადგანაც ნებისმიერი ჩაკეტილი სტატისტიკური სისტემა დროთა განმავლობაში მისწრაფის ქაოსისაკენ. ცოცხალი ორგანიზმისათვის „ქაოსისკენ მისწრაფება“ სიკვდილისკენ სვლას ნიშნავს, ენტროპიის ზრდაც, საბოლოო ჯამში, სიკვდილით სრულდება და აკი, პოემის ფინალში, ერთაოზიც და ქრისტეფორეც გადიან გაღმა, მარლზე...

ენტროპიისა და თერმოდინამიკის მეორე კანონის, ასევე ნიუტონის კანონების გარდა, ნიგნში შეზღვებით მსჯელობას ფიზიკის ლამის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რაც პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია ისააკ ნიუტონთან, ნიუტონთან კი ყველაფერი კავშირშია, ვინაიდან ის, რაც ნიუტონამდე იყო, ნიუტონისკენ მიემართება და რაც ნიუტონის შემდეგ შეიქმნა, ნიუტონიდან იღებს სათავეს, თუმცა ფიზიკა და ნიუტონის მიღწევები ნიგნის მხოლოდ ერგვარი ვარჯჯია, რომელიც მჭიდროდ არის შეესებული სხვადასხვა სიდიდის ტოტებითა და ფოთლებით - შესაბამისი ეპოქების კულტურული, მეცნიერული, თეოლოგიური, პოლიტიკური და ა.შ. კონტექსტებით. რეზო გაბრიადეც გია მაჩაბლის მიერ მოთხრობილ ამბავს აღარებს გრანდიოზულ შენობას, რომელსაც საუკუნეებში აგებდა ადამიანი.

„თითქოს ავტორს მივყავარ რალაც უსასრულო შენობაში და მაძღვეს საშუალებას, განვიცადო ამ შენობის მშენებლობის მთელი კანონობა. რაც ყველაზე უფრო მაჯაღაღებებს ამ ნიგნში, არის რწმენა, იმ დიდი მშენებლების ღვთაებრივი რწმენა, მათი სურვილი, გაიგონ მისი ჩანაფიქრი. ეს მოგზაურობა ამ ნიგნში უდიდესი შთა-





ბეჭდილება ჩემთვის“, - ნერს თავისი მოთხრობის და შეიძლება ითქვას, მთლიანად წიგნის post scriptum-ში რეზო გაბრიადე - მწერალი და მხატვარი, რეჟისორი და მოქანდაკე, რომელიც თვითონ არის განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ განადიდებული შენობის თუ მშენებლობის არქიტექტორი. ვგულისხმობ „გაბრიადის სამყაროს“, როგორც მას მწერალმა ანდრეი ბიტოვმა უწოდა.

„ასეთი მკაფიო მაგალითის სცენარისტის პირველადობისას პირადად მე არ ვიცნობ. ჩემთვის გაბრიადე ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც შეძლო თავისი სცენარის მიხედვით შექმნილ ფილმებში დაედასტურებინა დამოუკიდებელი არსებობა. იგი კი არ მთანთქეს რეჟისორებმა, არამედ მეტი ან ნაკლები წარმატებით განახორციელეს. და რაც უფრო ზუსტად, მით უკეთესად, გაბრიადე, რეჟისორის თავის ნებას თავს ახვევს იმიტომ, რომ უზრალოდ და განაფულად კი არ ინერს სიუჟეტურ ისტორიებს - იგი ქმნის სამყაროს. ეს სამყარო წარმოიქმნა და გამოიკვეთა მისი კალმის ქვეშ, და მაშინ ყველა მიხვდა, რომ ეს სამყარო ყოველთვის იყო: მიმოიხედეს და იცნეს იგი. გაუხარდათ, თურმე, სად ვცხოვრობთ!“ - წერდა ანდრეი ბიტოვი ჯერ კიდევ 35 წლის წინ.

გაბრიადე თავისი სამყაროს ნიუტონია. შესაბამისად, მისი სამყაროს კლასიკურ მექანიკაში გაბრიადის კანონები მოქმედებენ. გაბრიადის მიზიდულობის კანონის ფორმულაშიც

$$F = G \frac{m_1 m_2}{r^2}$$

G ანუ „გრავიტაციის მუდმივა“ გვარის (Gabriadze) პირველი ასოს მიხედვითაა ნაწარმოები, ხოლო R - სახელის (Rezo) პირველი ასოს მიხედვით. „შერეკილებშიც“ რიცხვი π, 3,1415... კი არ არის, როგორც საყოველთაოდ არის მიღებული, არამედ 3,16-ია პლუს სიყვარული პლუს ოჯახი (სხვათა შორის, ძველ ეგვიპტეში წრის ფართობის საპოვნელად „პი“-ს სწორედ ამ მნიშვნელობას - 3,16-ს იყენებდნენ). „პი“-ს მნიშვნელობა გაბრიადემ მიახატა მარგალიტა ამყოლადის პორტრეტს პოემა „შერეკილების“ პირველ გამოცემაში, ფორმულად და რიცხვით ასევე აქვს ჩანსული გრძელ და ხვეულ თემებში ნიუტონის პორტრეტსაც, რომელიც ვია მანაბლის წიგნის ყდაზეა გამოტანილი. ნიუტონის კანონებისა და ბინომის გარდა დიდი მეცნიერის სახე, უფრო ზუსტად ლოყა, დამშვენებულია ნიუტონის ლაყდავა ვაშლით, აი, იმ ვაშლით, რომელიც ყველასათვის ცნობილი ვაშლიცემით, თითქოსდა, დაეცა ნიუტონს და, რომელმაც მეცნიერს მსოფლიო მიზიდულობის კანონზე აუხილა თვალის... თუმცა, შესაძლოა, ნიუტონის ეს ვაშლიც ასევე გაბრიადის სამყაროშია მოყვანილი იმ დროში, როცა „ქიშია არ იყო და ვაშლიმ ჭია ცხოვრობდა“.

გრავიტაციას უტრიალებენ გაბრიადის პერსონაჟები „ქინ-ძა-ძა“-ში, „შერეკილებში“; გრავიტაცია დაძლეული და განულებულია ნიუტონის შესახებ დანერღულ ამ წიგნში ჩართულ მოთხრობაში „ვორი პლუსით თუ სამი მინუსით?“. რეზო გაბრიადისათვის გრავიტაცია მთავარი მასალა მარიონეტების თეატრშიც. როგორც გიგა ზედანია შენიშნავს ჰაინრიხ ფონ კლაისტის ნაშრომზე („მარიონეტების თეატრის შესახებ“) დაყრდნობით, მარიონეტის ყველა ასო სწორედაც რომ მიზიდულობის კანონის მისდევს. გრავიტაციის ერთგვარი ძეგლია გაბრიადის ცნობილი კოშკიც, რომლის სიმეტრია შეგნებულად არის დარღვეული იმის საჩვენებლად, თუ რა შეუძლია მსოფლიო მიზიდულობის ძალას. ამ ძალის ყველაზე ცნობილი ილუსტრაცია პიზის კოშკია თავისი

დახრილობითა და გალილეო გალილეის ცდებით, თუმცა პიზის კოშკი ნიუტონის სამყაროს ნაწილია, შავთერის ქუჩაზე მდებარე კოშკი კი - გაბრიადის სამყაროს.

რომელი სამყარო თვალსაჩინო და გამძლეა - დიდი მეცნიერის მიერ შექმნილი თუ დიდი ხელოვანის მიერ გამოგონილი? რა არსებითი განსხვავებაა მათ შორის?

გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი ამბობს, რომ ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოები ყოველთვის სწორუპოვარი იქნება და არასოდეს დაბერდება.

„ცალკეულმა ინდივიდმა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეაფასოს მისი მიმდევლობა, მაგრამ ვერავინ ვერასოდეს იტყვის სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომ ამას სრულყოფილებით მისი სწორი სხვა ნაწარმოები „აღემატება“. ამის საპირისპიროდ, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ მეცნიერების სფეროში მის მიერ გაკეთებული საქმე 10, 20, 40 წლის შემდეგ მოძველდება. ასეთია ბედი, უფრო მეტიც, ასეთია აზრი მეცნიერული შრომისა. ამ აზრს ექვემდებარება და ემსახურება მეცნიერება, და სწორედ ეს წარმოადგენს მის სპეციფიკურ განმასხვავებელ ნიშანს კულტურის ყველა სხვა ელემენტებთან შედარებით. მეცნიერებაში ყოველი სრულყოფილად შესრულებული ჩანაფიქრი ნიშნავს ახალი „საკითხების“ დასმას. იგი მთელი არსებითი ითხოვს თავის თავზე აღმატებულს. ამას უნდა შეურიგდეს ყველა, ვისაც სურს ემსახუროს მეცნიერებას“ („მეცნიერება, როგორც მონოღება და პროფესია“. თარგ. თამაზ ჩხენკელისა).

მაქს ვებერი იმასაც შენიშნავს, რომ ხელოვნების მსგავსად, დიდი მეცნიერული შრომებიც დიდხანს ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას და დიდხანს ჰკვირან „ტკბობას“ ადამიანებს. ცხადია, ისინი მეტად დაატკბობენ საკითხში გარკვეულ ადამიანებს, რომლებმაც, რეზო გაბრიადეს რომ დავესესხოთ, თავი დააღწიეს „განათებულ სიბნელეს“ ისე, როგორც გაბრიადის დიდებული პოემის მთავარმა პერსონაჟმა.

„აქ უნდა დავემშვიდობოთ ერთაოზ ბრეგვაძეს, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა სხვა სოფლელი ბიჭებისგან, მათასთან განათებულ სიბნელეში იმყოფებოდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ რამე არსებობდა ამ ქვეყანაზე გორების, ხეების, ორშიმოს, ძროხის და ვალების გარდა“, - ასე აღწერს რეზო გაბრიადე ძველ ერთაოზს, როგორც ის იყო ნასტუდენტარ ფიზიკოს-მეცნიერადამდე. სწორედ ამაში, „განათებული სიბნელიდან“ გამოსვლის სურვილის გაღვიძიებაში, დაეხმარება ყველა ასაკის ადამიანს ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტის გამოცემაში „ნერს ისაკი ნიუტონი - ადამიანთა მოდგმის კვიცება“. აკი, ნერს კვიცეც წიგნის ბოლო გვერდზე რეზო გაბრიადე: „ეს წიგნი აუცილებელია ყველასათვის: მოსწავლეებისათვის და ღრმა მოხუცებისათვის. ის ძალიან მოგვხმარებთ ლოცვაშიც... მათემატიკა და ფიზიკა ენება ყველას და უნდა უყვარდეს ყველას. ეს პოეზიის, ჭკმარიტების გაგებისა და ღრმა რწმენის სახეა. მათემატიკა და ფიზიკა მუსიკაა. რა საცოდავიო ადამიანი უშუქიოდ“.

მათემატიკა და ფიზიკა მართლა უნდა უყვარდეს ყველას, რადგან ეს სჭირდება ადამიანს და სჭირდება არა მხოლოდ ესთეტიკური ტკბობისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ ენტროპიის ზრდა შეანელოს, ანუ გადადოს როგორც თავისი, ასევე სამყაროს აღსასრული, შესაბამისად, ეს სჭირდება სამყაროს შემოქმედსაც, რომლის წინაშეც, როგორც დიდი აინშტაინი იტყოდა, ყველანი ერთნაირად ჭკვიანები ვართ, უფრო ზუსტად - ერთნაირად სულელები.

ნა პერიოდაზა ყოფილიყმ თქვანი რაქლაბა



ტელ: 577 747-719

ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ბ 61/44

2-10

